# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 25 ივნისი, 2008 წელი.

№ 116 (5974)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge    ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika    ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## არჩევანი მეო, შენ კი თხლეო... 5

ანუ როდემდე — უზნეობის მორევში?..





## „აფხაზეთში ომის ალბათობა მეტად გადაჭარბებულია“ 10

## „ბეჟუაშვილის ყუთები“ 4

საკითხავია, მიუშვებენ თუ არა ყველა წერილს გუბერნატორამდე და რომც მივიდეს, წაიკითხავს კი მათ?

## რეიტინგი, რომელიც წონით ბენდუქიძესაც აღემატება 8





## 3 ჩვენ წავაგეთ ბრძოლა, მაგრამ ომი უნდა მოვიგოთ...

რამ გააბრაზა კახა კუკავა?

## რუსეთი-ჰოლანდია - 3:1! 7 საქართველო-რუსეთი?

## ვის სასარგებლოდ წერენ „ყაზტრანსგაზის“ მრიცხველები?.. 6

ექსპერტი

**მთავრობაში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებზე „ინტერპრესნიუსი“ ეკონომიკურ საკითხებში ექსპერტს გია ხუხაშვილს ესაუბრა.**



**— ბატონო გია, კულუარებში ბევრს ლაპარაკობენ მთავრობაში მორიგ, სავარაუდო საკადრო ცვლილებებზე, რომ პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ გურგენიძეს გიგი უგულავა ჩაანაცვლებსო... თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს მორიგი საკადრო ცვლილებები მთავრობაში?**

— ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანი არაა, არც ჩემთვის და არც ქვეყნისთვის. ვინ რომელ სკამზე იჯდება, შეიძლება ოზივატელისთვის იყოს საინტერესო. მაგრამ ჩემი აზრით, ქვეყანას საკადრო ცვლილებებზე მეტად, სისტემური ცვლილებები სჭირდება. პრობლემა სახელებსა და გვარებში არ არის, ძირითადი პრობლემა ქვეყანაში ჩამოყალიბებულ მართვის სისტემაშია. ვინც არ უნდა დაჯდეს კონკრეტულ სკამზე, ის, ფაქტობრივად, იწყებს დამკვიდრებული თამაშის წესებით მოქმედებას. ვითარებაში, როცა კარუსელის მექანიზმი გაფუჭებულია, ვინ რა თანამდებობას დაიკავებს, მნიშვნელობა არა აქვს.

რაც შეეხება იმას, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი, გურგენიძე თუ უგულავა, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ სამეურნეო პროფესიული გამოცდილება უნდა ჰქონდეს პრემიერ-მინისტრს, ამისათვის უგულავა აშკარად ცუდი კანდიდატია, უფრო უარესია, ვიდრე გურგენიძე. გურგენიძისაგან განსხვავებით უგულავას ეკონომიკურ პროცესებზე წარმოდგენა საერთოდ არა აქვს, მაშინ როცა ეს საკითხები გურგენიძემ იცის.

**— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ საუბრები მერაბიშვილის ალასანიათი შეცვლის თაობაზე?**

— მერაბიშვილი-ალასანიას ტანდემის თემა მე არარეალისტურად მიმაჩნია იმიტომ, რომ მერაბიშვილის ალასანიათი ჩანაცვლება ნიშნავს ქვეყანაში ძირეული ცვლილებების დაწყებას, რისი წინაპირობა რეალურად არ არსებობს. ამგვარ საკადრო ცვლილებას მე არ ველოდები და მიმაჩნია, რომ ეს შეუძლებელია. თუ ეს მართლა მოხდა, მე პირდაპირ ვიტყვი, რომ ძალიან გამიკვირდა.

**— ამბობენ, კახა ბენდუქიძე ისევ ეკონომიკის მინისტრი გახდებაო...**

— ეს ჩემთვის გასაგებია. ამ ადამიანმა თვლა იცის და მთავრობაში ერთი კარგად დამთვლელი სჭირდებათ. ხელისუფლებამ ბენდუქიძის გარდა ისეთი უკიდეგანო ინტელექტუალური შესაძლებლობების ადამიანი ვერ მოძებნა, რომელიც ხელისმომწერია ყველა იმ აქტზე, რაც ეკონომიკურ საკითხებს ეხება და რომელსაც მთავრობა და პარლამენტი იღებს. ბენდუქიძის კვლავ გამინისტრება გამორიცხული არაა, ვინაიდან ბენდუქიძე ყველა მთავრობას მოერგო და ყველასთან კარგადაა.

**— რამდენად შეიძლება უკავშირდებოდეს მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ ვითარებას, რომელსაც თქვენ ხშირად აკრიტიკებთ?**

— ამ კუთხით მე ამ საკითხში ხელისუფლების ლოგიკას ვერ ვხედავ, ვინაიდან გურგენიძის უგულავათი ჩანაცვლება, ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, აბსოლუტურად გაუგებარი ნაბიჯი იქნებოდა. ამ შემთხვევაში ეკონომიკური პროცესები უფრო მეტად ქაოტური გახდება. თუმცა მას შემდეგ რაც პარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძე გახდა, ამ ხელისუფლებისგან გასაკვირი არაფერი არ არის.

საქართველოში საბოლოოდ დამკვიდრდა ე.წ. ნომენკლატურული კაპიტალიზმი. ეს ის ვითარებაა, როდესაც ხელისუფლება არის ბიზნესის დირექტორი. მთელი ქართული ეკონომიკის პრობლემაც ეგაა.

ქვეყანაში არ არსებობს კონკურენტული გარემო და მაღალი საინვესტიციო რისკებია. რის გამოც ჩვენი ძირითადი ინვესტორებია სახელმწიფო კაპიტალი, ან ოფშორული ზონებიდან საეჭვო წარმომავლობის კაპიტალი, ან არაბი შეიხები. ძალიან სამწუხაროა, რომ ცივილიზებული ევროპული კაპიტალი საქართველოში არ მოდის. ეს საბოლოო ჯამში ქვეყანას დიდ ეკონომიკურ რისკებს უქმნის გაცხადებული ვექტორიდან გამომდინარე.

ჩვენ ვამბობთ, რომ მივდივართ ევროკავშირისკენ, სინამდვილეში კი, ღმერთმა უწყის საით მივდივართ.

## გია ხუხაშვილი: ქვეყანას საკადრო ცვლილებებზე მეტად სისტემური ცვლილებები სჭირდება

SIC!

## მანანა ნაჭყებია: „ქართულ დასს“ დაფინანსება არ უნდა გამოეყოს

**„ქართულმა დასმა“ 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა ეროვნულ საბჭოში ყოფნით მოახერხა, ამიტომ მას ცალკე დაფინანსება არ უნდა გამოეყოს. ამის შესახებ გაერთიანებული ოპოზიცია-ახალი მემარჯვენეების წევრმა, მანანა ნაჭყებიამ განაცხადა.**

„ქართული დასი“ პარლამენტში შესვლას მარტო, საკუთარი ძალებით ვერ მოახერხებდა. ჯონდი ბაღათურიას დეპუტატობის შანსი გაერთიანებული ოპოზიციის საშუალებით მიეცა, ამიტომ ვფიქრობ, ბლოკიდან გამოსვლის შემდეგ მის პარტიას დამოუკიდებლად დაფინანსება არ უნდა მიეცეს, — განაცხადა ნაჭყებიამ.

მისივე თქმით, კანონში განსაზღვრული არ არის ბლოკიდან გამოსული პარტიის დაფინანსების საკითხი, ამიტომ გადაწყვეტილება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა მიიღოს.

**ХО-ЭОВ-ЭЕО**

კანონმდებლები

# გუშინდელ პლენარულ სხდომაზე

### ვიცე-სპიკერების კანდიდატურები დაამტკიცეს

**პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, პირველი ვიცე-სპიკერის თანამდებობა 104 ხმით არც ერთის წინააღმდეგ მიხეილ მაჭავარიანმა დაიკავა.**

საპარლამენტო უმრავლესობამ, რეგლამენტში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, სამი ვიცე-სპიკერი დაასახელა. კერძოდ, გუშინდელ პლენარულ სხდომაზე 105 ხმით არც ერთის წინააღმდეგ ვიცე-სპიკერად აირჩიეს **რუსუდან კერვალიშვილი;** 105 ხმით არც ერთის წინააღმდეგ — **გიგი წერეთელი,** ხოლო **ფრიდონ თოდუა** — 99 ხმით არც ერთის წინააღმდეგ.

ვიცე-სპიკერების დამტკიცება რეგლამენტის მიხედვით, ფარული კენჭისყრით მოხდა.

რაც შეეხება ვიცე-სპიკერებს ოპოზიციიდან, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებენ, რაც ოპოზიცია ფრაქციის შექმნას შეძლებს.

არსებული ინფორმაციით, თუ „ქრისტიან-დემოკრატები“ ფრაქციას შექმნიან, ისინი ვიცე-სპიკერად ლევან ვეფხვაძეს წარადგენენ.

ასეთ შემთხვევაში „ქრისტიან-დემოკრატების“ ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე გახდება.

ამასთან, „ქრისტიან-დემოკრატებს“ ფრაქციის ჩამოყალიბება შეეძლებათ მხოლოდ მაშინ, რაც კონსტიტუციაში შევა შესაბამისი ცვლილება და ფრაქციისთვის საჭირო 7-კაციანი კვოტა 6-მდე შემცირდება. ეს ცვლილება პარლამენტის რეგლამენტში უკვე შევიდა. კონსტიტუციაში ცვლილების განხორციელება კი, სავარაუდოდ, შემოდგომისთვის მოესწრება.

შესაბამისად, "ქრისტიან-დემოკრატებს" ამ ეტაპზე ფრაქციის შექმნისთვის კიდევ ერთი დეპუტატის დამატება სჭირდებათ.

ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ კონსულტაციები ფრაქციის შექმნის შესახებ ეროვნული საბჭოს ყოფილ წევრებთან პაატა დავითაიასთან და დიმიტრი ლორთქიფანიძესთან იმართებოდა.

### ორი ახალი კომიტეტის თავმჯდომარე დაამტკიცეს

**დეპუტატი გიორგი ასანიძე 97 ხმით არც ერთის წინააღმდეგ ახალგაზრდულ და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე გახდა, ხოლო ნუგზარ წიკლაური — 99 ხმით ერთის წინააღმდეგ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს.**

გუშინდელ სხდომაზე კიდევ ერთხელ აირჩიეს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარედ გიორგი გაბაშვილი — 96 ხმით 0-ის წინააღმდეგ.

გიორგი გაბაშვილის ხელმეორედ არჩევა იმიტომ მოხდა, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტი ორ ნაწილად გაიყო. კერძოდ, ამ კომიტეტს გიორგი ასანიძის კომიტეტი გამოეყო.



ორი ახალი კომიტეტის შექმნის თაობაზე რეგლამენტში ცვლილებები პარლამენტმა გასულ კვირას დაამტკიცა. ახალი მოწვევის პარლამენტში უკვე 15 კომიტეტია.

### უმრავლესობამ შეცდომების გამოსწორება დაიწყო

**საპარლამენტო უმრავლესობამ ქრისტიან-დემოკრატ ნიკა ლალიაშვილის განცხადების საფუძველზე ძველი შეცდომების გამოსწორება დაიწყო.**

ნიკა ლალიაშვილმა გუშინდელ სხდომაზე განცხადება ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან ქართული ენისა და ლიტერატურის ამოღების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე გააკეთა.

მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება პოლიტიკური რისკების შემცველია და საკმაოდ ნეგატიური რეზონანსი მოჰყვება.

ლალიაშვილმა განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტს აღნიშნულ საკითხზე სხდომის მოწვევაც მოსთხოვა.

კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილმა კი განაცხადა, რომ მედიაში ამინფორმაციის გავრცელების შემდეგ მასზე ოფიციალური განცხადება განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომაც გააკეთა.



ქართული ენისა და ლიტერატურის ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან ამოღება არც იგეგმება და არც დაიგეგმება. საზოგადოებაში ხელოვნური კლიშეების დანერგვა ხდება და მაშინ, როდესაც ამ ხელისუფლების პირობებში ყველაზე მეტი თანხა იხარჯება არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ქართულის შესწავლაზე, ისმის ბრალდებები ხელისუფლების მხრიდან ქართული ენის უგულებელყოფასთან დაკავშირებით, — აღნიშნა გაბაშვილმა.

რაც შეეხება უმრავლესობის მხრიდან შეცდომების გამოსწორებას, გაბაშვილის განცხადებით დაშვებული იყო შეცდომები, როდესაც ბევრი ბრალდება ხელისუფლებას უპასუხოდ დაუტოვებია.

გვიფიქრია, რომ ეს მაინც ტყუილია და კომენტარი არ გაგვიკეთებია, — განაცხადა გაბაშვილმა და ნიკა ლალიაშვილის ბრალდების პასუხს მისთვის რეგლამენტით გამოყოფილი დრო მთლიანად დაუთმო.

### ოპოზიცია გარემოვაჭრეების დარბევას აპროტესტებს

**პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ბოლო დღეებში გარემოვაჭრეების დარბევის ფაქტი „ქრისტიან-დემოკრატმა“ გიორგი ახვლედიანმა გააპროტესტა და განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც არჩევნები დასრულდა, ხელისუფლებამ გარემოვაჭრეებთან მიმართებაში ტრადიციული აგრესიის მანკიერი მეთოდები აამოქმედა.**

მისივე თქმით, გარემოვაჭრეებს უსწორდებიან ფიზიკურადაც და ართმევენ მათ ისედაც მწირ ქონებას.

ყველას უნდა, საკუთარი ქალაქი სუფთა იყოს, მაგრამ უპირველესი ღირებულება მაინც ადამიანია, — აღნიშნა ახვლედიანმა და გარემოვაჭრეების მიმართ განხორციელებული ქმედებების უკანონობის დასამტკიცებლად დეპუტატებს თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის დადგენილება გააცნო, რომლის მიხედვითაც, გარევაჭრობა აკრძალული არ არის.

საკითხში უფრო ღრმად გარკვევა ურჩია ოპოზიციას უმრავლესობის წევრმა პავლე კუბლაშვილმა და ახვლედიანს შეახსენა, რომ საკრებულოში შეუძლიათ მოითხოვონ უფრო დეტალური დოკუმენტაცია, სადაც მითითებულია, თუ სად და რა პირობებშია დაშვებული გარევაჭრობა.

ამასთან, უმრავლესობა ეთანხმება ოპოზიციას ადამიანის უპირველეს ღირებულებულებად მიჩნევის თაობაზე და აცხადებს, რომ შესაბამისი ნორმის დაცვის გარეშე გარევაჭრობა საფრთხეს უქმნის თავად ადამიანს და მის ჯანმრთელობას.

კუბლაშვილის თქმით, მნიშვნელობა არ აქვს, არჩევნებამდე თუ მის შემდეგ, წესრიგი დაცული უნდა იყოს და წესრიგის დაცვა კანონით გათვალისწინებული ნორმებით მოხდება.

### დეპუტატები მთავრობას სტიქიით დაზარალებულებისთვის თანხის გამოყოფას სთხოვენ

**სტიქიის მიერ მიყენებული ზარალის შესახებ განცხადებები ტყიბულის მაჟორიტარმა დეპუტატმა პავლე კუბლაშვილმა, გურჯაანის მაჟორიტარმა გიორგი ღვინიაშვილმა და ახმეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა პეტრე ცისკარიშვილმა გააკეთეს.**

კუბლაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ დაზარალებული ოჯახებისთვის კომპენსაციის გასაცემად გაზრდილ ბიუჯეტში თანხები გათვალისწინებული იქნება.

პეტრე ცისკარიშვილმა კი, იმავდროულად, ახმეტაში სტიქიის შედეგად დაღუპულების ოჯახებს მიუსამძიმრა. ახმეტაში მეწყერმა სამი ადამიანი იმსხვერპლა.

**ინტერპრესნიუსი**

ოპოზიცია

# ჩვენ წავაგეთ ბრძოლა, მაგრამ ომი უნდა მოვიგოთ...

## რამ გააბრაზა კახა კუკავა?

*უცნაურია, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაერთიანებული ოპოზიციის პოლიტიკური აქტივობა პერიოდულად პასიური ხდება. მეტიც, მთლიანად ოპოზიციური სპექტრი, ცოტა არ იყოს, დაბნეული ჩანს, რაც იმითაც დასტურდება, რომ ბოლო ხანს მისი წევრებისგან ხშირად ისმის ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები. მაგალითად: გოგა ხაინდრავამ სატელევიზიო გამოსვლებში არაერთხელ განაცხადა, რომ ოპოზიცია ე. წ. საზაფხულო არდადეგებს იწყებს, რასაც კატეგორიულად უარყოფს კახა კუკავა, გუბაზ სანიკიძე კი, მათგან განსხვავებით, ყურადღებას ამახვილებს ქარიზმული ლიდერის „დეფიციტზე“. და, ზოგადად, ოპოზიციის წარუმატებლობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზადაც ამას ასახელებს.*

*ამიტომ ვფიქრობ: სავსებით ლოგიკურია ის „მითქმა-მოთქმა“, რომელიც ბაღათურიას, ცაგარეიშვილისა და თორთლაძის ეროვნული საბჭოდან წასვლამ გამოიწვია. კერძოდ, მაშინ და დღესაც ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ გაერთიანებულ ოპოზიციაში სერიოზული შიდაუთანხმოებაა, რომ მოსალოდნელია მალე კიდევ რამდენიმე ოპოზიციონერი ვიხილოთ „მოღალატე თანაგუნდელის პარლამენტისაკენ მიმავალ გზაზე“ გამდგარი...*

*თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეროვნული საბჭო „დანაკარგების“ აღდგენაზეც აქტიურად ზრუნავს, ანუ უახლოეს მომავალში ახალი „პოლიტ სახეები“ გამოჩნდებიან მათ რიგებში... იმედია, თანაგუნდელთა არჩევანში ამჯერად მაინც არ დაუშვებენ შეცდომას და ისევ „დეპუტატობის მანიით“ შეპყრობილებთან არ დაიჭერენ საქმეს.*

*მანამდე კი ამ და სხვა საკითხებზე გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი წევრი კახა კუკავა გვესაუბრება.*



**— ბატონო კახა, გაერთიანებული ოპოზიციის ზოგიერთი წევრი მიიჩნევს, რომ ეროვნულმა საბჭომ, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, თავისი ფუნქცია ფაქტობრივად დაკარგა, თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

— არ ვიცი, რომელ წევრს გულისხმობთ, ალბათ ასე ყოფილი წევრები ფიქრობენ.

**— არა მარტო ყოფილი. კონსტანტინე გამსახურდიას ხუთპუნქტიან მემორანდუმში აღნიშნულია, რომ ოპოზიციას არა აქვს არც საარჩევნო სია და არც შტაბი...**

— საარჩევნო სია და შტაბი, ბუნებრივია, არა აქვს, რადგან არჩევნები დამთავრდა, თუმცა ძალიან გარკვევით ითქვა, რომ ვაპირებთ გადავერთოთ წინააღმდეგობის მოძრაობაზე, რაც კორექტივს მოითხოვს...

**— რაც შეეხება ოპოზიციის საგაზაფხულო არდადეგებს, ეს ნაბიჯი რამდენად მართებულად მიგაჩნიათ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ამან შეიძლება ოპოზიციის რეიტინგზე უარყოფითად იმოქმედოს?**

— ეს არის არასწორად გავრცელებული ინფორმაცია, როგორც ხედავთ, არანაირი არდადეგები არ არის, ოპოზიციური შტაბები ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობენ; როგორ შეიძლება ახლა არდადეგებსა და მოდუნებაზე ლაპარაკი, როცა პოლიტიკურად ასეთი დაძაბული ვითარებაა!..

**— თუმცა, გოგა ხაინდრავამ ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა...**

— არ ვიცი, გოგამ რა და როდის განაცხადა, მაგრამ ფაქტია, რომ ორი თვით ხელისუფლებას „ბურთსა და მოედანს“ ვერ დავუთმობთ. ეს შეიძლება ძალიან ძვირად დაგვიჯდეს ჩვენც და ქვეყანასაც.

**— სექტემბრიდან რას აპირებთ, რამე სამოქმედო გეგმა თუ გაქვთ?**

— ამჟამად ამაზე აქტიურად ვმუშაობთ, თუმცა სექტემბრამდე ივლისი და აგვისტოა, რაც ნიშნავს, რომ დრო გვაქვს...

**— ანუ კონკრეტული გადაწყვეტილებები ჯერჯერობით არ არის მიღებული?**

— ამ ეტაპზე ჩვენი პრიორიტეტია ორგანიზაციული სტრუქტურების დახვეწა, ორგანიზაციებში ახალი ხალხის მოყვანა; წამსვლელები თვითონ მიდიან, აუცილებელია მათი შევსება ახალი ადამიანებით.

**— ახალ ადამიანებში ვის გულისხმობთ?**

— არიან „სუფთა“ პოლიტიკური წარსულის მქონე ადამიანები, რომლებიც ჯერჯერობით აქტიურ პოლიტიკაში არ ჩანან, მაგრამ მათ აქვთ ყველანაირი რესურსი იმისთვის, რომ ოპოზიციაში ღირსეული როლი შეასრულონ.

**— ხმები გავრცელდა, რომ ეროვნულ საბჭოში სერიოზული შიდაუთანხმოებაა, რომ შესაძლოა გაერთიანებული ოპოზიცია კიდევ ზოგიერთმა წევრმა დატოვოს, რამდენად საფუძვლიანია ეს ეჭვები?**

— იცით რა, ნათქვამია — ენას ძვალი არა აქვსო — ვისაც რა უნდა, იმას ამბობს, მაგრამ მთავარია, ხალხი არ აყვეს ჭორებს. ყველამ კარგად იცის, ვინ ავრცელებს ასეთ ინფორმაციებს და მგონი, ამაზე არც ღირს საუბარი; ვინც წამსვლელი იყო, წავიდა კიდეც...

**— გუბაზ სანიკიძის განცხადებით, ოპოზიციის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილი ქარიზმული ლიდერის არყოლაა. კერძოდ, გაზეთ „ალიასთან“ ინტერვიუში ის ამბობს, რომ ლევან გაჩეჩილაძემ თავისი შესაძლებლობები უკვე ამოწურა. რამდენად ეთანხმებით ამ აზრს?**

— ლევან გაჩეჩილაძე არც არასდროს ყოფილა ქარიზმული ლიდერი, ის იყო, უბრალოდ, ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი, ასე ვთქვათ, ფიგურა; გაერთიანებული ოპოზიცია არ არის ბელადზე ორიენტირებული ორგანიზაცია და ამდენად, მას „წინამძღოლი“ არ სჭირდება. თუმცა, მე და გუბაზს, ხშირად გვისაუბრია იმაზე, რომ აუცილებელია ლიდერთა შორის გარკვეული სტრუქტურის, იერარქიის დამყარება, რომ, საერთო ჯამში, ოპოზიცია უფრო მობილური იყოს.

**— და ვინ წარმოგიდგენიათ სამომავლო ლიდერად? ამაზე საუბარი ხომ არ ყოფილა ეროვნულ საბჭოში?**

— არა მგონია, ახალი ლიდერი ჩამოფრინდეს მთვარიდან, ვინც არიან დღეს, მათ შორის, ალბათ, ყველაზე უფრო აქტიურები გაუძლებიან მომავალში... ეროვნულ საბჭოში ამაზე არანაირი საუბარი არ ყოფილა. როგორც გითხარით, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

**— როგორ ფიქრობთ, ზოგადად რა პერსპექტივა აქვს ოპოზიციას, რამდენად რეალური გეჩვენებათ იმ მიზნების განხორციელება, რომელიც დასახა ეროვნულმა საბჭომ?**

— ჩვენი მთავარი ამოცანა ამ ეტაპზე, არის ძალების რეორგანიზაცია, გადაწყობა, გადაჯგუფება და ახალი ძალებით შეტევა... ჩვენ წავაგეთ ბრძოლა, მაგრამ ომი უნდა მოვიგოთ...

**— რამ განაპირობა ის, რომ წააგეთ?**

— უწინარესად, ძალთა უთანასწორობამ. საერთოდ, ყველა ბრძოლას ვერავინ იგებს... ჩვენ შევძელით სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება გარკვეულ დონეზე, მაგრამ რაღაც მომენტში, ვფიქრობ, ჩვენც მოვეშვით. საერთოდ, 21 მაისისთვის ოპოზიცია ბოლომდე მზად არ იყო...

**— თქვენ თქვით, რომ გარკვეულ დონეზე ხელისუფლებაც დამარცხდა. კონკრეტულად რომელ დამარცხებას გულისხმობთ?**

— მთავარი დამარცხება ამ ხელისუფლებისა არის ის, რომ სააკაშვილი პოლიტიკურად გაკოტრებულია, არ ჰყავს იდეური მომხრეები საკუთარ ქვეყანაში. რეალურად მისი ამომრჩეველი მოსახლეობის ის ნაწილია, რომელსაც აშინებენ, ატერორებენ ან ყიდულობენ. ნაციონალების ჭეშმარიტ მომხრეთა რაოდენობა დღეს უკვე მიზერულია.

**ბოლოთქმა:**

**მართლაც, შექების ღირსია გაერთიანებული ოპოზიციის წევრთა ოპტიმიზმი, „შეუპოვრობა“, რომლის წყალობითაც „დათა თუთაშხიას“ ავტორის თქმისა არ იყოს, სეთურის ხალხივით დღემდე ჭაში სხედან და მოთმინებით ელოდებიან მოშორებით გვირაბის მთხრელთა ნიშანს, რათა ჩამორეკონ ზარი და საზოგადოებას ამცნონ კაცობრიობის ნათელი მომავლის შესახებ...**

**...რას არ გაუძლეს, რა არ გადახდათ, მაგრამ დღემდე მოაღწიეს და თანაც, როგორ... ორმეფობის ხანა ლამისაა სანატრელი გაგვიხადონ...**

**ჩემი კითხვებით გაბრაზებულმა კახა კუკავამ იქვე შორიახლო მჯდომ ბიძინა გუჯაბიძეს სასოწარკვეთილი ხმით მიაძახა: ო, ეს გაზეთები, საერთოდ უნდა ავკრძალოთ!..**

**არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ ცხადია, გარკვეულ თემებზე ლაპარაკს ოპოზიციონერები თავს არიდებენ.**

**...სიმართლეს კი გავრცელებას არ აცლიან ისე „მიაკერებენ“ მედიის მიერ გავრცელებული ჭორის იარლიყს...**

ესაუბრა
ჯაბა კუტალია

პრესკონფერენცია

# გარემოვაჭრეები გამოსავალს აქციების გამართვაში ხედავენ

**პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ლაღიძემ თბილისის ბაზრობების მოვაჭრეებთან ერთად პრესკონფერენცია გამართა.**

გიორგი ლაღიძემ ხელისუფლებას მიმართა, დროულად მოაგვაროს გარემოვაჭრეების პრობლემები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მერიისა და პარლამენტის შენობასთან დაიწყება ყოველდღიური ფართომასშტაბიანი აქციებიო.



პარტია „მომავალი საქართველოს“ ოფისში გარე ვაჭრობის ყველა წარმომადგენელი ბაზარში შესასვლელად ითხოვს 500-500 ლარს.

**მზია სალაყაია:** აფხაზეთიდან დევნილი და მოსკოვიდან დეპორტირებული გარემოვაჭრე: — ბაზარში ჩვენი შესვლა ვიღაცას ჯიბის გასასქელებლად სჭირდება. გარემოვაჭრეებს ისეთი ხალხი უპირისპირდება, რომლებსაც ბაზარში საუკეთესო ადგილი უკავიათ. 20 ლარის სურსათით როგორ შევიდეთ ბაზარში, როცა 8 ლარი მარტო ყოველდღიური გადასახდელია? თუ შვიდი თვის განმავლობაში ჩვენი ქუჩაში ვაჭრობა შეიძლებოდა, ახლა რატომ არ შეიძლება? ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ მოგვატყუა.

გარემოვაჭრეები გამოსავალს აქციების გამართვაში ხედავენ.

მირანდა ფორჩხიძე

ქართულ-ოსური მეგობრობის ზეიმი

# „ერთიანი წარსულით ერთიანი მომავლისკენ“

**სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითმა ადმინისტრაციამ, მუშაობის ერთი წლის იუბილის აღსანიშნავად, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, ლოზუნგით —„ერთიანი წარსულით ერთიანი მომავლისაკენ“კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლა, რომელიც თავად სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დიმიტრი სანაკოევმა გახსნა.** მან ქართველ და ოს ხალხს შორის ოდითგანვე არსებულ მეგობრობასა და ისტორიულ წარსულზე ვრცლად ილაპარაკა და აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები სისტემატურად უნდა გაიმართოს.

კონცერტში მონაწილეობის მისაღებად სამხრეთ ოსეთის სხვადასხვა რაიონიდან რამდენიმე დელეგაცია ჩამოვიდა. მათ შორის ქალთა და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი: „ლიახვი“ (ცხინვალიძ, ფოლკლორული თეატრი „ნაბადი“, ერედვის მუნიციპალიტეტთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „აჭარული“, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჩვენი შვილები“ და სხვები.

თეატრის ფოიეში დიმიტრი სანაკოევის მიერ ოსურ-ქართული კონფლიქტის თემაზე დაწერილი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც სამშვიდობო მისიის წარმომადგენელთათვის საგანგებოდ ინგლისურ ენაზე გამოიცა. ასევე, მოეწყო ქურთის ადმინისტრაციის ერთი წლის მიღწევების ამსახველი ფოტოების გამოფენა.

ჯაბა ქვანია

კახეთის მხარე

*პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში მოსახლეობასთან დასაახლოვებლად და ადგილობრივებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო. „დავალება გუბერნატორს“ — ასეთი წარწერით ყუთები უახლოეს დღეებში რეგიონის თითქმის ყველა სოფელში განთავსდება, რომლის მეშვეობითაც კახელებს გუბერნატორისთვის წერილის გაგზავნა და საკუთარი აზრის გაზიარება შეეძლებათ. თელავის, გურჯაანისა და ლაგოდეხის რამდენიმე სოფელში ასეთი ყუთები უკვე განთავსდა. როგორც სამხარეო ადმინისტრაციაში აცხადებენ, ყუთები ორ კვირაში ერთხელ გაიხსნება და წერილებს პირადად ლევან ბეჟაშვილი გაეცნობა, მოსახლეობის პრობლემებზე რეაგირებას კი გუბერნია შეძლებისდაგვარად მოახდენს... ადგილობრივები მიიჩნევენ, რომ ბეჟაშვილმა ამ ჟესტით დინჯი კახელების გაბრიყვება დააპირა და ეს ყუთები თვალის ასახვევად მოიფიქრა...*



# „ბეჟაშვილის ყუთები“

## საკითხავია, მიუშვებენ თუ არა ყველა წერილს გუბერნატორამდე და რომც მივიდეს, წაიკითხავს კი მათ?

პრეზიდენტის რწმუნებულის ინიციატივას კახელები არაერთგვაროვნად აფასებენ და აცხადებენ, რომ უმჯობესია გუბერნატორი თავად ეწვიოს მოსახლეობას და მათი პრობლემები წერილების ნაცვლად პირადად მოისმინოს, რითაც ბეჟაშვილის მუშაობა უფრო ეფექტური გახდება... როგორც გაგზავნილი წერილებიდან ირკვევა, ადგილობრივები პროექტს ეჭვის თვალით უყურებენ და აცხადებენ, რომ მსგავსი წერილები ხელისუფლებას უამრავი მისდის, ჩინოსნები კი მათი კითხვით თავს არასოდეს იწუხებენ... მოსახლეობის უიმედობა იმ წერილებშიც შეიმჩნევა, რომლებიც ყველაფრის მიუხედავად ყუთში მაინც ჩაყარეს. ჩვენი ყურადღება წერილების სათაურებმა მიიპყრო.

„გთხოვთ არ დაიზაროთ წაკითხვა“ — ასეა დასათაურებული გუბერნატორის სახელზე გაგზავნილი ერთ-ერთი წერილი, რომელიც ხელში ჩაგვივარდა. „ბატონო გუბერნატორო, თუ ეს ყუთი თვალის ასახვევად არ არის დაკიდული და ჩემი გასაჭირი თქვენამდე ნამდვილად მოვა, მაშინ თხოვნით მოგმართავთ წინანდლის მკვიდრი ნანა მალხაზის ასული არჯევანიძე, 35 წლისა, მყავს ინვალიდი მეუღლე, უმუშევარი... მას სასწრაფოდ ესაჭიროება ფეხის პროთეზი, რაც 350 ლარი ღირს. ვინაიდან ჩემი ოჯახის შემოსავალი თვეში სულ 55 ლარია, ორი მცირეწლოვანი შვილი მყავს (რომელთაც ასევე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ), უსახსრობის გამო პროთეზის შეძენას ვერ ვახერხებთ. მოგმართავთ თქვენ, ერთ-ერთი უმუშევარი დიასახლისი, იქნებ, ჩემს ოჯახს გამოუყოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება. საგულისხმოა, რომ არ ვსარგებლობ პრეზიდენტის სუბსიდიით სიღარიბის ზღვარზე მყოფთათვის. ამისთვის საჭირო საბუთები ვერ მოვაგროვე... ჩემი 2 წლის ბიჭი სულ გაიძახის „მიშა მაგარიაო“... იქნებ, ჩემი „ლატარია-წერილით“ მეც გამიმართლოს და დავიჯერო, რომ თქვენი გუნდი მართლაც მაგარია.“ — წერს ნანა არჯევანიძე (სტილი დაცულია).

ნებისმიერი წერილი მოსახლეობის უკიდურეს სიდუხჭირეზე მეტყველებს, მათი დიდი ნაწილი კი სახელმწიფოსგან არანაირ დახმარებას არ იღებს.

„ბატონო გუბერნატორო, მაქვს ახალგაზრდა ოჯახი, გვყავს 5 წლის ბიჭუნა — თორნიკე, რომელსაც დღემდე ვერ ავუსრულეთ ოცნება და უსახსრობის გამო ვერ შევუძინეთ საწოლი... მეუღლე უმუშევარია, ჩემი შემოსავალი კი ოჯახის ყოველდღიურ ხარჯებსაც ვერ სწვდება. ჩემი, ერთ-ერთი უბრალო მოქალაქის თხოვნაა (თუ ეს თხოვნა, რა თქმა უნდა, არ აღემატება თქვენს ძალებს), პატარა თორნიკეს აუსრულოთ ეს ნატვრა, რომელიც ყოველდღე, ძილის წინ საკუთარ საწოლზე უშედეგოდ ოცნებობს. ბატონო ლევან, ალბათ დამეთანხმებით, რომ 5 წლის ბიჭუნას მშობლების საწოლში აღარ უნდა ეძინოს, მაგრამ... მჯერა თქვენი გულისხმიერების“... — წერს თორნიკე ოდიშელიძის დედა (სტილი დაცულია).

გუბერნატორის ინიციატივა ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ მთავარია, ის მარტო პიარზე არ იყოს გათვლილი და ბეჟაშვილის მისამართით გაგზავნილმა წერილებმა ოდნავი შედეგი მაინც გამოიღოს. ისე, ურიგო არ იქნებოდა, თუ რწმუნებული ადგილობრივების თხოვნას გაითვალისწინებდა და კახელების ჭირ-ვარამს პირადად მოისმენდა... სირცხვილიც კია, გუბერნიამ გაჭირვებული მოსახლეობის თხოვნა რომ არ დააკმაყოფილოს. ისინი თხოვნაშიც გაჭირვებულები არიან და ელემენტარულ დახმარებას სჯერდებიან. ერთი მათგანი გზის სახიფათო მონაკვეთზე დამცავი ჯებირის აშენებას ითხოვს, მარტოხელა ავადმყოფი ქალი — ტელეფონის დადგმას, რათა წამდაუწუმ ავად გახდომის შემთხვევაში სასწრაფო დახმარებასთან დაკავშირება შეძლოს...

„ბეჟაშვილის ყუთებთან“ დაკავშირებით კახელების დამოკიდებულების გასაგებად ქუჩებში გავიარეთ. 57 წლის ნათელა მესტიაშვილი მიიჩნევს, რომ გუბერნატორის ინიციატივა არცთუ ეფექტური იქნება. ამ უკანასკნელის აზრს ადგილობრივების დიდი ნაწილი იზიარებს. მათ ეჭვი იმაშიც ეპარებათ, რომ ასე მოუცლელმა ბეჟაშვილმა დრო უამრავი წერილის კითხვაში გაფლანგოს...

„ტყუილად რატომ ტრაბახობენ — პირადად გუბერნატორი გაეცნობა მოქალაქეების წერილებსო. ეს ხომ აბსურდია და რატომ გვაყრიან თვალში ნაცარს? ვერავინ დაიჯერებს, რომ ლევან ბეჟაშვილი დაჯდება და უამრავ წერილებს თვითონ წაიკითხავს... ალბათ, ამ წერილების გაცნობას გუბერნიის ერთ-ერთ სამსახურს დაავალებენ, ბეჟაშვილს კი მოქალაქეთა პრობლემების საერთო სურათს მოკლედ წარუდგენენ. ეს პროექტი ბეჟაშვილის პიარისთვისაა გამიზნული და მეტი არაფერი. თუ რწმუნებულს ამ ნაბიჯით მოსახლეობასთან დაახლოება და მათ პრობლემებში სრულად გარკვევა სურდა, უპრიანი იქნება, თუკი სავარძლიდან წამოდგება და თავად მოინახულებს რეგიონის მცხოვრებთა აუტანელ ყოფას. ამბობენ, ახალი რწმუნებული რაიონებს „სასეირნოდ“ უფრო ხშირად სტუმრობს, ვიდრე ოფიციალურითო. კარგია, თუკი გამგებლებს ხშირად ესტუმრება ხოლმე, მაგრამ უკეთესი იქნება შიმშილის ზღვარზე მყოფ მოსახლეობას ეწვიოს და ჩვენი რჩევებიც გაითვალისწინოს. ამაზე მჭიდრო კავშირს წერილებით ნამდვილად ვერ დაამყარებს. ჯერ ისიც საკითხავია, მიუშვებენ თუ არა ყველა წერილს გუბერნატორამდე და რომც მივიდეს, წაიკითხავს თუ არა მათ ბეჟაშვილი? რწმუნებულმა ამ ჟესტით დინჯი კახელების გაბრიყვება გადაწყვიტა და ეს ყუთები ხალხისთვის თვალის ასახვევად მოიფიქრა. წერე და იკითხეს პრინციპი იქნება, რომელსაც ტრადიციისამებრ ორი ყურის პრინციპით მიუდგებიან. ვეჭვობთ, რეალური შედეგები მოჰყვეს...“ — წუხან კახელები.

**ილია მარტყოფლიშვილი**
**კახეთიდან**

სამეგრელოს მხარე

# დიდი ნგრევა და შენება ზუგდიდში

**ზუგდიდი აღმშენებლობის თვალსაზრისით დედაქალაქის „ტყუპისცალია“.**

შენდება ატრაქციონები, იხსნება შადრევნები, რემონტდება შენობები, იგება გზები, თუმცა შენების პარალელურად ნგრევის პროცესიც მიმდინარეობს. „შენება-აღმშენებლობა“, რითაც ხელისუფლება იწონებს თავს, ხშირად უარყოფით ემოციებს იწვევს, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას აშენებენ, სად და როგორ აშენებენ. მაგალითად, ააშენეს და დაანგრიეს დადიანების მუზეუმის შესასვლელთან და თსუ ზუგდიდის ფილიალის შენობის წინ აშენებული კაფე-ბარები. დააგეს და ისევ აყარეს ტროტუარებზე ფილები, აღარ ფუნქციონირებს ძვირადღირებული შადრევანი და ნაჩქარევად და სახელდახელოდ გახსნილი ე. წ. ფრანგული პარკი. სავალალო მდგომარეობაშია ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი და ახლადგარემონტებული შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის დრამატული თეატრი. სუბტროპიკულ ზონაში მდებარე ზუგდიდის ცენტრალურ ქუჩაზე „დარგული“ ძვირადღირებული ხელოვნური ფერადი პალმები აიღეს და განმუხურის პატრიოტთა ბანაკში „გადარგეს“.



გარე ვაჭრობისა და ქალაქის იერსახის გაუმჯობესების მიზნით ზუგდიდის ცენტრალური ბაზრის გარშემო დაანგრიეს კანონიერად აშენებული 27 მაღაზია, მიყენებულმა ზარალმა 270 000 ლარი შეადგინა. ამჟამად კი ზუგდიდის ცენტრალური ბაზარი ისევ გარემოვაჭრეებითაა გარშემორტყმული, ამის გამო ბაზრის ადმინისტრაცია უკმაყოფილებას გამოთქვამს, რადგან მოსახლეობა ბაზრის გარეთ იძენს მათთვის სასურველ ნივთს თუ პროდუქტს და არ შემოდის ბაზარში.

რაც შეეხება ხელისუფლების მიერ ზუგდიდის ცენტრალური ბაზრის მთავარი შესასვლელის დაკეტვას — ეს პროცესი დიდი ხანი იყო მითქმა-მოთქმისა და ცემა-ტყეპის ობიექტი. ყოველგვარი მოტივაციის გარეშე ადგილობრივ ხელისუფლებას თითქმის ორი წელიწადი ჰქონდა ბაზრის ცენტრალური შესასვლელი დაკეტილი და მოსახლეობას შემოვლითი გზებით უხდებოდა ბაზარში შესვლა. იყო საპროტესტო აქციები, სასამართლო პროცესები, ამოგმანული შესასვლელის განგრევა, შეხლა-შემოხლა სპეცრაზმელებთან, რომლებიც იცავდნენ ჩაკეტილ შესასვლელს. როდესაც ზუგდიდელებს ყოველგვარი იმედი გადაეწურათ და წინააღმდეგობასაც შეეშვნენ, ხელისუფლებამ მოულოდნელად „გაიღო მოწყალება“ და გახსნა ბაზრის ცენტრალური შესასვლელი და ამჟამად ეს შესასვლელი გაცილებით უარესად და სავალალოდ გამოიყურება, ვიდრე ეს დაკეტვამდე იყო, ხოლო მოსახლეობას კი დღემდე ვერ გაუგია ან რატომ დაკეტეს და ან რატომ გახსნეს ეს გაუბედურებული შესასვლელი.

ხელისუფლებამ არც მისთვის არასასურველი პიროვნების, ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატის გოჩა ფიფიას მიერ მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე 2003 წელს გაშენებული „თეატრონი“ დაინდო, რომლის მშენებლობაც 200 000 ლარამდე დაჯდა და რომელიც გოჩა ფიფიამ ზუგდიდსა და ზუგდიდელებს აჩუქა. ამჟამად „თეატრონი“ გაძარცული და გაპარტახებულია.

ხელისუფლების სურვილი იყო დადიანების ეკლესიის უკან „ეშმაკის ბორბალი“ აღემართათ, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ფეშენებელური სასტუმრო აეშენებინათ, ქალაქის მთავარ მოედანზე კათოლიკური მონუმენტი ღვთისმშობლისა და მაცხოვრის გამოსახულებით დაედგა, მაგრამ მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობის გამო ეს სურვილი ვერ განახორციელეს, მაშინ როდესაც მძიმე პირობებში უხდება ღვთისმსახურება ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის მიტროპოლიტს გერასიმეს. ამის მიზეზი რეზიდენციის უქონლობაა. მეუფე გერასიმე ზუგდიდიდან ათი კილომეტრის მოშორებით კორცხელის დედათა მონასტერშია დაბინავებული.

დიდი ბჭობა არ სჭირდება იმის გამოცნობას, რომ ყველა ამ უბედურების მიზეზი ძალადობაა, რომელიც თავად „ვარდების რევოლუციის“ საფუძველში იდო. ესაა ძალის ლეგიტიმური გამოყენება ხალხის სახელით, ხალხისთვის და უკვე შემდგომ ხალხის საწინააღმდეგოდ.

**ლადო ქირია**
**ზუგდიდიდან**

## ყველას თავისი აზრი აქვს

# არჩევანი მეო, შენ კი თხლეო...



## ანუ როდემდე — უზნეობის მორევში?..

***...დაახლოებით** ამ სათაურით გადმოცემული აზრითა და პრინციპით „ჩაატარა“ ამჟამინდელმა უაღრესად გაკადნიერებულმა ხელისუფლებამ არჩევნები, თავად მიითვალა და მიითვალა ხმები, ჩვენ კი თხლენაჭამებად და თხლედ მიგვიჩნია. ზემორე სიტყვა „ჩაატარა“ ბრჭყალებში ჩავსვი, რადგანაც ეს არ იყო არჩევნების ჩატარება. ეს იყო, არც მეტი, არც ნაკლები, — გაყალბება. საბჭოთა სისტემაგამოვლილ ადამიანს გაყალბებით ვერ განაცვიფრებ, მაშინ დეპუტატებს კი არ ირჩევდნენ, არამედ ნიშნავდნენ. ამიტომაც საბჭოურ არჩევნებში მონაწილეობა არ მიმიღია: ვიცოდი, რომ ჩემს ხმას არავითარი ფასი არ გააჩნდა, არჩევნებამდე ყოველივე წინასწარ იყო გადაწყვეტილი. თუმცაღა ერთი უდავოა, კომუნისტები ცდილობდნენ, ღირსეული და სახელოვანი ადამიანები შეერჩიათ და ამ მხრივ მათ წუნს ვერ მოუძებნიდი.*

პირველად არჩევნებზე ეროვნული მოძრაობის ზეობის დროს წავედი, როდესაც მას ფაქტობრივად ეროვნული ძალები წარმართავდნენ. აქვე უნდა დავსძინო, რომ ის დღემდე რჩება, როგორც საუკეთესო ნიმუში სამართლიანი, გაუყალბებელი და ხალხის ნების გამომხატავი არჩევნებისა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამის შემსწრენი გავხდით, არჩევნებიც ყალბდებოდა განსხვავებული მასშტაბებით. როგორც წესი, არჩევნებს ხელისუფლება აყალბებს სხვადასხვა ხერხითა და მეთოდებით. ამგვარად, გაყალბებაში თანდათან დაიხვეწნენ შევარდნაძის გამოწვრთნილი „ლეკვები“. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ხათუნა გოგორიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი და სხვები. მათ, ვგონებ, სპეციალური წვრთნაც კი გაიარეს „დემოკრატიის მატერიკზე“ — აშშ-ში. მაგრამ ქართველი რის ქართველია, რომ მასწავლებელს არ აჯობოს, შეგირდებმა თავიანთი ოსტატები უკან მოიტოვეს. განსაკუთრებით გაკადნიერდნენ ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, იმ ზომამდე მივიდნენ, რომ აღნუსხვაც ეზარებოდათ და დაუთვლელ კონვერტებს ლუქავდნენ და ზედ თავიანთთვის სასურველ ციფრებს აწერდნენ, ვთქვათ, ნაცმოძრაობა — 1500, ოპოზიცია — 00; მ. სააკაშვილი — 2000, ნათელაშვილი — 1 და ა. შ. გამკითხავი კი არ ჩანდა. ამ სიყალბის გარკვევა მხოლოდ ხელისუფლებას ძალუძს, ამის სურვილი კი მას არ კლავს, ხოლო ოთხი წლის შემდგომ ეს საარჩევნო ბარათები ცეცხლს მიეცემა და დაიწვება. მერე წადი და უყარე კაკალი... შემიძლია უყოყმანოდ განვაცხადო, რომ ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ არჩევნები, გნებავთ, პრეზიდენტის, გნებავთ, პარლამენტის თუ ადგილობრივი, შემაძრწუნებელი გაყალბებით ჩატარდა. მაგრამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა სულ ბოლოს ჩატარებულმა პრეზიდენტის და ახლახან დასრულებულმა პარლამენტის არჩევნებმა. რა არ მინახავს, რა არ გადამხდომია თავს, მაგრამ ამდაგვარი ზღვარდაუდებელი გაყალბება არც მსმენია და დასაბამიდან ადამიანთა მოდგმას საერთოდ არც ახსოვს.

და მაინც, მოსალოდნელი იყო თუ არა ამდაგვარი შედეგი?! იყო და ამის შესახებ ადრევე ვაფრთხილებდი საზოგადოებას. ვარწმუნებდი, რომ მიხეილ სააკაშვილი აუცილებლად „გაიმარჯვებდა“; იმასაც ვაკონკრეტებდი, თუ რა ხერხს და რა მეთოდებს გამოიყენებდა: სახელმწიფო რესურსები, სახელმწიფო ხაზინიდან გაცემული უსაზღვრო რაოდენობის ფული, სხვადასხვა სახის დახმარებები, არჩევნების გაყალბების ათასგვარი მეთოდი და მისთ. რაც მთავარია, მას მხარს დაუჭერდნენ აშშ-ის ხელისუფლება და ე. წ. ევროსტრუქტურები, რომლებიც ამ გაყალბებულ არჩევნებს დემოკრატიის გამარჯვებად ცნობდნენ (იხ. „კვირის ქრონიკა“, №48, 10-16. XII. 2007 წ.; „ახალი თაობა“, №315, 15. XI. 2007 წ.).

ამასვე ვამტკიცებდი პარლამენტის არჩევნების დაწყებამდე. აღვნიშნავდი, რომ პარლამენტში გაყალბების გზით კვლავ „ნაცები“ მოვლენ უმრავლესობით და ამას აშშ-ისა და ევროპელი „ობიექტური“ დამკვირვებლების წყალობით კვლავაც დემოკრატიის გამარჯვებად აღიარებენ-მეთქი (იხ. „ახალი თაობა“, №100, 11. IV. 2008 წ.; „ასავალ-დასავალი“, №14, 7-13. IV. 2008 წ. და სხვ.).

ამის „წინასწარმეტყველება“ არ იყო ძნელი, თუკი ჩვენში არსებულ რეალობას ჯანსაღი გონებით ობიექტურად შეაფასებდი. კონკრეტულად მაინც რა არგუმენტები ამაგრებს ამდაგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს:

ა) ქართულ სინამდვილეში არსებული გაყალბების საკმაოდ მდიდარი გამოცდილება.

ბ) რამდენიმე თვის წინათ ჩატარებული პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა თავზეხელაღებულად, ჯიქურ გააყალბა.

გ) ხელისუფლების გულუხვობა: სახელმწიფო ბიუჯეტიდან უზომო თანხის განუკითხავი გაცემა. ამას ზედ ერთვოდა ბიზნესმენებზე „შეწერილი“ ფულის განსაცვიფრებელი რაოდენობა.

დ) სახელმწიფო რესურსის გამოყენება. პოლიციის, სპეცნაწილების, უშიშროების, სოდ-ისა და კუდ-ის აქტიური ჩართვა, მოსახლეობის დაშინება და იძულება „ნაცებისთვის“ მიეცათ ხმა.

ე) ბიზნესმენები აიძულეს, რომ მაჟორიტარად ეყარათ კენჭი. იმავდროულად დააკისრეს გაეღოთ ერთი, ერთნახევარი მილიონი დოლარი თუ ლარი და ამ გზით მოესყიდათ ამომრჩეველი.

ვ) ეს „რჩეული“ კი ადვილად ახერხებს ღირსებადაკარგული, ეკონომიკურად შეგნებულად გაჩანაგებული და უკიდურეს სიღატაკეში მყოფი მოსახლეობის (და არა ხალხის) მოსყიდვას.

ზ) არაქართველი მოსახლეობის: აზერბაიჯანელების, სომხების, ქურთების და სხვათა, რომლებიც, როგორც წესი, ხელისუფლების მხარეს იჭერენ, თავის სასარგებლოდ გამოყენება.

თ) იქ, სადაც ფული არ ჭრიდა, ფიზიკური, უხეში ძალის ჩართვა — კომისიის ოპოზიციური წევრების, დამკვირვებლების შეურაცხყოფა, საარჩევნო უბნებიდან გაძევება, ამომრჩეველთა ფიზიკური ანგარიშსწორება.

ი) საარჩევნო ბარათების ჩაყრა, გამოცვლა და გადატანის დროს წინასწარ სასურველი ბარათებით ავსებული ყუთებით ჩანაცვლება.

კ) საარჩევნო სიების გაბერვა, მკვდარი სულების მიმატება.

ლ) ზედმეტი (დაახლოებით 120 ათასი) პირადობის მოწმობის დაბეჭდვა და გაცემა, რომლითაც სარგებლობდნენ გაყალბებაში ჩართული, ხელოვნურად გამოჩეკილი ე. წ. ამომრჩევლები.

მ) დახურული უბნების გახსნა, სპეც. სიებით მანიპულაცია, როცა სამხედრო თუ პოლიციის თანამშრომლები ორგზის აძლევენ ხმას: ერთხელ დახურულ უბანში და მეორედ — ჩვეულებრივ, სადაც არის ჩაწერილი.

ნ) კარუსელების დატრიალება, ოდნავ შეცვლილი ფორმით: ადრე თუ ამას ჯანსაღი, დაკუნთული ახალგაზრდები სჩადიოდნენ, ისიც არჩევნების დახურვის ჟამს, ახლა დილაადრიანად ქართველი მანდილოსნები და სათნო სახის მოხუცი ქალბატონები, რომელთა ძირითადი ბირთვი საბავშვო ბაღისა და სკოლის პედაგოგები იყვნენ, აშკარად ღალატობდნენ სინდისს და ყალბისმქმნელებად მოგვევლინენ.

ო) ე. წ. სომხური კარუსელის ჩართვა.

და კიდევ ვინ იცის და ვინ მოთვლის, რამდენი უკადრებელი იკადრა მიხეილმა და მისმა გუნდმა!.. მაგრამ ყველაზე დიდი, უპატიებელი დანაშაული ის არის, რომ მათ ქართველი ხალხის დიდზე დიდ ნაწილს ღირსება აჰყარეს, ეკონომიკურად გააჩანაგეს და ფაქტობრივად მათხოვრად აქციეს, რამდენიმე გროშის გამო სინდის-ნამუსს რომ ყიდის... რას იზამ, შიმშილი და გაჭირვება რას არ ჩაადენინებს ადამიანს, მორჩილ მონად აქცევს, მამულს გააწირვინებს. ერთი სიტყვით, ქართველი ხალხის გალატაკების მიზანი, ჩვენი „მეგობარი“ მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი შეგნებულად რომ მიმართავდნენ, ესეც გახლდათ: არჩევნების დროს უაღრესად გაჭირვებული ხალხი, რომელსაც უზარმაზარი სააგიტაციო მანქანის საშუალებით ისედაც ტვინი გამოურეცხეს, რობოტივით წარემართათ და მათი ნების მორჩილი აღმსრულებელი ყოფილიყო. მოკლედ, ქართველი ხალხის დიდი ნაწილი ორ გროშად იყიდეს, კიკუდ აქციეს და ნამუსი აჰხადეს. ნამუსახდილს კი, აბა, რა მოეთხოვება, ის საკუთარ თავს ყიდის და სამშობლოს არ გაყიდის?! აკი გაყიდა კიდეც: მავანმა 20 ლარად, მავანმა — 200 ლარად, მავანმა კიდევ — 500 ლარად. ამის დამამტკიცებელი უამრავი უტყუარი ფაქტი არსებობს. ყოველივე ამის მნახველსა და შემატყობარს აღარ უნდა გაუკვირდეს დიდი მგოსნის გულისმომკვლელი განაჩენი: „ამას კი ვიტყვი, თუ გინდ ჩამქოლონ, ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო... “

ამჟამინდელი ხელისუფლების აღვირახსნილი ამორალობა ისიც არის, რომ ისინი არჩევნების დროს პატიმართა ბედით მანიპულირებენ. დამნაშავე თუ უდანაშაულო ადამიანებს, რომლებითაც ციხეები გადაავსეს, ციხიდან უაპელაციოდ უშვებდნენ მხოლოდ ერთი პირობით — თუკი ისინი საარჩევნო ხმებს შეუქუჩებდნენ. გამოშვებული თუ არგამოშვებული პატიმრები და მათი ჭირისუფალნი, რომლებიც ხელისუფლების მიერ მკაცრად კონტროლდებოდნენ, წელზე ფეხს იდგამდნენ, ტყავიდან ძვრებოდნენ, რომ როგორმე ასეულობით ამომრჩეველი ხელისუფლების მომხრედ ექციათ. აღწევდნენ კიდევაც მიზანს, ქართველთა ხასიათის გამო, რაც, უპირველესად, ჭირში თანადგომის უზადო სურვილით გამოიხატება.

არანაკლები მორალური გახრწნილობის დასტურია ისიც, რომ ამჟამინდელი ხელისუფალნი ხელს უწყობენ ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელებას და ამ გზით დიდად ითბობენ ხელს. მაგრამ კიდევ უფრო თავზარდამცემი ის გახლავთ, რომ თავად ხელისუფლების ამ სენს ზიარებული „თვალისჩინები“ სარგებლობენ ავადმყოფთა აუტანელი მდგომარეობით, „ლომკას“ რომ ეძახიან, თავად ურიგებენ ე. წ. „ჩეკებს“ არჩევნებში „აქტიური მოღვაწეობის“ სანაცვლოდ. კიდევ უფრო საგანგაშო ის არის, რომ ეს ხდება დაუფარავად, დღისითმზისით. ამის შემსწრე პირადად გახლდით და საკუთარი თვალით რომ არ მენახა, არაფრით დავიჯერებდი.

ასე გარყვნეს და გაათახსირეს ქართველი ხალხის დიდი ნაწილი. ამ ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ ხელდასხმით და ტრანსნაციონალური ძალების გამოკვეთილი მხარდაჭერით მათ ქართველ ხალხს წაჰგვარეს დღესდღეობით ყველაზე დიდი ფასეულობა — თავისუფალი არჩევანი, საკუთარი ნებით ხელისუფალთა არჩევა და მხოლოდ გარეშე ძალების ნების აღმსრულებლად აქცია. ერთი სიტყვით, დღეს საქართველოში არჩევნები არა ხალხის ნებაზეა დამოკიდებული, არამედ იმ ძალებზე, ვინც დღევანდელი ხელისუფლება სახელმწიფოს სათავეში მოიყვანა. ვგონებ, ყველასთვის ცნობილია, თუ ვინ არის ეს ძალა — აშშ-ის ხელისუფლება და მისი საგარეო პოლიტიკა, პლანეტარული იმპერიის შექმნის საფუძველს რომ წარმოადგენს. ამიტომ აშშ-ს და მისი კარნახით ევროსტრუქტურებს ჯერჯერობით ხელს აძლევთ მიხეილ სააკაშვილი და ისეთი პარლამენტი, რომელიც ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე კვერს დაუკრავს მის დამანგრეველ პოლიტიკას. ამას ხედავს ყველა თვალხილული, ხოლო ის, ვისაც სწამს, რომ ამერიკა და ევროპელი დამკვირვებლები დაგვეხმარებიან სამართლიანი არჩევნების ჩატარებაში და ამ გზით ქართველი ხალხის გამარჯვებას შეუწყობენ ხელს, ან ბრიყვია, ან სულგაყიდული, ან კიდევ საკუთარი ერისა და ქვეყნის სიძულვილს ისე დაუბრმავებია, რომ თეთრი და შავი ველარ გაურჩევია.

ერთი სიტყვით, ბოლო პარლამენტის არჩევნები ისეთი სიყალბით და სიცრუით ჩატარდა, რომ თავად გაყალბების დიდოსტატი ხათუნა გოგორიშვილი, სიცრუისა და სიყალბის ხელმწიფეთა ხელმწიფე მიხეილ სააკაშვილიც კი, რომელსაც

იხ. 6 გვ.



## ინფორმაცია

### გაგრაში დასასვენებლად ჩრდილოკავკასიელი ბავშვები ჩავიდნენ

**გაგრაში** დასასვენებლად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს დაღუპული ჩრდილოკავკასიელი მებრძოლების შვილები ჩავიდნენ. ყაბარდო-ბალყარეთიდან, ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან, ადიღედან და სამხრეთ ოსეთიდან ჩასული 100 მოზარდი გაგრაში მდებარე დასასვენებელ სახლ „ნიკიტაში“ 12 დღის განმავლობაში დაისვენებენ.

სეპარატისტრული აფხაზეთის ე. წ. ვიცე-პრემიერის ლეონიდ ლაკერბაიას თქმით, ბავშვებისათვის მათი აფხაზეთში ყოფნის პერიოდში მოეწყობა ექსკურსიები და ისინი ახალი ათონის გამოქვაბულსა და რიწის ტბას დაათვალიერებენ. მისივე ინფორმაციით, ბავშვების დასვენების ხარჯებს აფხაზეთის ე. წ. სოციალური დაზღვევისა და შრომის დაცვის სახელმწიფო ფონდი გაიღებს.

### საბერიოში რუსეთის სამშვიდობო ძალებმა კომენდანტის საათი დააწესეს

**რუს** სამშვიდობოებთან ერთად აფხაზი შეიარაღებული პირები აკონტროლებენ გალის ცენტრისაკენ მიმავალ ყველა საავტომობილო გზას. რუსმა სამშვიდობოებმა ადგილობრივ მოსახლეობას სახლიდან გასვლა საღამოს 7 საათის შემდეგ აუკრძალეს.



სამშვიდობოები ადგილობრივი მოსახლეობის პირადობის მოწმობებს ამოწმებენ.

ინტერპრესნიუსი

## ყველას თავისი აზრი აქვს

(მეხუთე გვერდიდან)

დღემდე ჩადენილი ბოროტებანი არ მოეკითხა და ახლა აუხდენელის ახდენა სურს და სწადია „მთვარის მოპოვება“, განაცვიფრა. მით უმეტეს, ქართველი საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს ეს განცვიფრება ისე დაეუფლა, რომ გაირინდა, სიტყვა ვერ უთქვამს, მხოლოდ განცვიფრების გამომხატველი შორისდებულები აღმოხდება ხოლმე...

არადა სავიშვიშო და საქოთქოთო მართლაც გვაქვს. მრავალ უბედურებაგამოვლილ ქართულ პოლიტიკურ ისტორიაში ასეთი უსახო, უგუნური, უვიცი, ქვეყნისა და ერის მოძულე პარლამენტართა კრებული ჯერ არ ჰყოლია. საკმარისია, თვალი შეავლოთ „ერის რჩეულთა“ უტყვ სახეებს, გაიხსენოთ მათი განვლილი ცხოვრების გზა, მათი პროფესიონალიზმის დონე, მათი პოლიტიკური მრწამსი, რომ დარწმუნდეთ — ამათ ხელში საქართველოს და ქართველ ერს ნორმალური ცხოვრება არ უწერიათ. რას იზამთ?! ხომ გაგიგონიათ, რაც ალხანა, ის ჩალხანაო. რაც ხელისუფლება გვყავს, იმ დონის პარლამენტი ავირჩიეთ. ისინი ხომ ერთსულ, ერთხორც და ერთსისხლ არიან და მიზანიც ერთი აქვთ — გადააგვარონ ქართველი ერი, ამოშანთონ ქართული კულტურა, ზნეობა, სულიერება, ტრადიცია, რწმენა და ამ გზით გარდაქმნან ქართველი კაცის ფსიქიკა და აზროვნება. მოკლედ, ქართველი გაამერიკელონ. ეს არის მათი აუხდენელი ოცნება. მათ სურთ მთვარე ჩაიგდონ ხელში, არადა ეს შეუძლებელია. ვერ გაუგიათ, რომ მთვარე, ბადრი თუ ნამგალა, ცაში ჰკიდია და მის ანარეკლს დადევნებულთ ბოლოს ვირის თავ-ფეხი შერჩებათ ხელში.

უნდა გამოვტყდე, რომ ერიჟამია ვირთხების ყოფა და ბედი სავსებით არ მანაღვლებს, ისე უქნიათ, ურთიერთი დაუჭამიათ... საგანგაშო ის არის, რომ მათი მოღვაწეობის მწარე ნაყოფს უკვე იმკის ჩვენი ბედკრული სამშობლო. სწორედ მათი გარჯისა და ცდის შედეგია ჩვენი ხალხის სავალალო ფიზიკური მდგომარეობა და ავადმყოფობა, ეკონომიკური გაჩანაგება; როცა ადამიანისთვის უმთავრესი საზრუნავი ლუკმაპურის მოძიებაა, რათა როგორმე სიკვდილს გამოგლიჯოს შვილები, შვილიშვილები და საკუთარი თავიც. სწორედ ამდაგვარად მოაზროვნეთა „დამსახურებაა“ ისიც, რომ ის ადამიანები, რომელთაც გაჭირვება კი არა, ფუფუნება ახრჩობთ, უზნეობის ჭაობში არიან ჩაფლულნი და ცხოველური ინსტინქტების დაოკების გარდა, არავითარი ამაღლებული, სულიერი ორიენტირები აღარ გააჩნიათ.

რამდენ ხანს გასტანს ნაცების ნაბოძები „თავისუფლება“ და ის გროშები, სულ მალე ვნახავთ. საქართველო და ქართველი ხალხი თუ რა სიდუხჭირეში აღმოჩნდება, სულ რამდენიმე თვეში საკუთარ თავზე ვიწვნევთ, კარგ ჭოტს დავიჭერთ! მაგრამ გვიან იქნება თითზე კბენანი!.. არ გჯერათ ჩემი, კეთილი, ბატონო. აღდგომა და ხვალეო!

ერთი სიტყვით, არჩევნების გაყალბებით სოროსის ჭიპლარს გამობმულმა ხელისუფლებამ საქართველო კიდევ ერთხელ აბუჩად აიგდო, ჩაუკლა სამართლიანობის გრძნობა, არჩევნებისადმი ტრადიციულად არსებული სკეპტიციზმი კიდევ უფრო გაუმძაფრა.

როცა ტრადიციულ სკეპტიციზმზე ვსაუბრობთ, უპირველესად, მხედველობაში გვაქვს ჩვენი ქვეყნის არც თუ შორეული პოლიტიკური წარსული, რომელიც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ქართველი ხალხი, უფრო სწორად, საქართველოს მოსახლეობა არჩევნების დროს ყოველთვის როდი იჩენდა პოლიტიკურ სიმწიფეს და ქვეყნის მომავლისათვის სასარგებლო პოზიციის მიღების უნარს. ასე, მაგალითად, სოციალ-დემოკრატების გარჯის შედეგად 1912 წელს რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროში



# არჩევანი მეო, შენ კი თხლეო...

## ანუ როდემდე — უზნეობის მორევში?..

თიანეთიდან არ აირჩიეს ქართული პოეტური აზროვნების არწივი, ეროვნული სულიერების სრულყოფილი გამოვლინება — ვაჟა-ფშაველა; იმავე სათათბიროში საჩხერედან არც საქართველოს უგვირგვინო მეფე — აკაკი წერეთელი აირჩიეს და მის ნაცვლად გაიყვანეს შალვა გელოვანი, რომელიც ოდენ თამადობით იყო ცნობილი. საგულისხმოა ისიც, რომ იმავდროულად ფოთის საზოგადოებამ უარი თქვა ნიკო ნიკოლაძისა და მისი კონკურენტის იონა მეუნარგიას კანდიდატურებზე და ვინმე უგვანო პიროვნებას დაუჭირა მხარი. მეტიც შეიძლება ითქვას: როცა ნიკო ნიკოლაძეს სურდა, თბილისის მერად კენჭი ეყარა, ამისათვის, უპირველესად, საჭირო იყო, „ხმოსნებში“ დაემკვიდრებინა ადგილი, მაგრამ მან ესეც ვერ მოახერხა იმდროინდელი თბილისის ჭრელი საზოგადოების წყალობით.

რაზე მეტყველებს ეს ყოველივე?! ასი წლის წინათაც მძვინვარებდა ანტიეროვნული ჟამი, ღირსეული მამულიშვილებისადმი ზერელე დამოკიდებულება, ქართველთა გულარხეინობა, რითიც სარგებლობდნენ იმ დროს აქტიურად მოღვაწე სოციალ-დემოკრატები და თავიანთ გულისწადილს ქართველი ერის მოსპობის თაობაზე გულმოდგინედ ახორციელებდნენ. დღეს, ასი წლის შემდგომ, იგივე ვითარება სუფევს. ნაცები, რომლებმაც უზარმაზარი ფულით, ტრანსნაციონალური ძალების ხელდასხმითა და დაფინანსებით განახორციელეს ე. წ. „ვარდების რევოლუცია“ და ხელთ იგდეს ხელისუფლება, გულდაგულ ცდილობენ მიაღწიონ სასურველ მიზანს — მოსპონ და გადააგვარონ ქართველი ერი როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად.

თუ საქართველოს ისტორიას თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ ეს მიზანი მრავალს ჰქონდა: სპარსელს, არაბს, მონღოლს, თურქს, ბიზანტიელს, რუსს და ვინ მოთვლის კიდევ ვის, მაგრამ ვერც ერთი ეწია მიზანს. თუმცა მაშინ გარეშე, მომხდური მტერი გვიტევდა, შინაურიც არ აკლებდა ხელს, ოღონდაც ის არ მახსენდება, რომ საკუთარი ხალხი და ქვეყანა რომელიმე ხელმწიფეს ასერიგად გაემეტებინოს. ასეთი რამ იშვიათად ხდება ხოლმე. ეს ხდება დღეს, როცა ხელისუფლება საკუთარ ხალხს და ქვეყანას სასიკვდილოდ წირავს. მხოლოდ ეს მიზანი ამოძრავებს ამ ძალით მაცხონე ხელისუფლებას და მის „მეგობარ“ აშშ-ს ხელისუფლებასაც, „ძორებისგან“ რომ არის დაკომპლექტებული. აი, ეს გახლავთ პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნების გაყალბების საფუძველთა საფუძველი.

მართალია, მზაკვრობითა და თაღლითობით აღწევთ პატარ-პატარა „წარმატებებს“, ყოველ შემთხვევაში, თქვენ ასე გგონიათ, რომ არჩევნების გაყალბებით გაიმარჯვეთ, მაგრამ ეს თქვენი გამარჯვება, სწორედაც რომ, თქვენი გარდაუვალად დამარცხების, თქვენი მოღვაწეობის დასასრულის დასაწყისია. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ „ხალხის რჩეული“ თქვენი პარლამენტარები საკუთარი „ამომრჩევლის“ და ხალხის შიშით, როგორც წრუწუნები, დილაუთენია ლაჩრულად შეიპარნენ პარლამენტში და იქიდან უკვე გამარჯვებული იერით გადმოჰყურებდნენ „მეამბოხე“ ხალხს. თქვენ თუ ამას წარმატებად მიიჩნევთ, კარგად ყოფილა თქვენი და ქვეყნის საქმე! პარლამენტარიზმის ისტორიაში მსგავს ფაქტს ვერ გაიხსენებენ მეისტორიენი. ხალხის არჩეული კრებული აჩრდილივით კედელ-კედელ შეიპაროს პარლამენტში, ჯერაც გაუგონარი რამ არის. თქვენ კი არ გაიმარჯვეთ, ძვირფასო პარლამენტარებო, თავს ლაფი დაისხით, სამუდამოდ თავი მოიჭერით.

თქვენი ეს ლაჩრული ნაბიჯი მოწმობს მხოლოდ ერთს: ახლად არჩეული პარლამენტის ყველა წევრი სინდისგაყიდული და ღირსებაწაგვრილია. სრულიად საქართველოს სირცხვილია, როცა ქართველი ხალხის „რჩეულთ“, გაყალბებით თუ ძალის გამოყენებით გაპარლამენტარებულებს, „ერთგულების ფიცს“ ადებინებს პირველი გამყალბებელი ლ. თარხნიშვილი, რომელიც სულ ცოტა ხანში თაღლითობის მუხლით გასამართლდება...

თქვენ ეს არ გაღელვებთ, არც გაწუხებთ, რადგანაც ამ სიყალბის შემოქმედნი თავადვე ხართ!.. თქვენ არც იმის გრცხვენიათ, რომ „სრულიად საქართველოს წარმომადგენელნი“ დებთ ფიცს, რომელიც ნასესხებია და ცუდად გადმოთარგმნილი. განა ქართველი ასე მეტყველებს: „ვიქნები კონსტიტუციური წყობილების, ქვეყნის დამოუკიდებლობის, ერთიანობის და მთლიანობის... საქართველოს ძლევამოსილების დაცვის სამსახურში“. საერთოდ, ქართველ პარლამენტართა მეტყველება და წერის კულტურა რომ კრიტიკას ვერ უძლებს, ეს ყველასთვის ცნობილია. მაგრამ ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ მავანს ხუთსიტყვიანი ფიცი ქართულად გაემართა?! ბუნებრივი ქართულით კი ასე აჟღერდებოდა: „დავიცავ კონსტიტუციურ წყობილებას, ქვეყნის დამოუკიდებლობას და ა. შ.“ და არა ხელოვნურად, ყურით მოთრეული ფრაზა: ვიქნები... „ძლევამოსილების დაცვის სამსახურში“ (!!!ძ.

ახლა მკითხველი გამიგულისდება, ქვეყანა თავზე გვენგრევა და რა დროს ენის სიწმინდეზეა საუბარიო. ჰაი, ჰაი, რომ სწორედ აქედან იწყება ქვეყნის ნგრევა:

**ერის ცხოვრება,**
**მისი დიდება**
**მის ისტორია დაცულ არს ენით;**
**რა ენა წახდეს,**
**ერი დაეცეს...**
**წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..**

ამათი უმთავრესი მიზანიც ხომ ის არის, „ჩირქი წასცხონ ტაძარსა წმინდას“, მოაშთონ ქართული სულიერება, დასცენ ერი, გააცამტვერონ იგი. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის პრობლემა ჯერაც გაუგონარი სიმწვავით გამოიკვეთა, „ჯაყოები“ ვერასოდეს ეწევიან მიზანს, რადგანაც ჩვენი ქვეყნის გმირული წარსული ამის დასტურია. უნებლიეთ მახსენდება სულით და გონით ქართველი პოეტის რეზო ამაშუკელის ლექსი „მე ბოლნისის ლომებს ვთლიდი“:

**„იქით ვეშაპს ხმალს ვუქნევდი,**
**აქეთ დიდოს,**
**ლეკს და ხიზანს,**
**წიგნიც დაწვეს,**
**ვაზიც ჩეხეს,**
**მაინც ვერ ეწიენ მიზანს! “**

დიახ, ჩვენი მტრები ვერც ცეცხლით ეწიენ მიზანს და ვერც თქვენ, სატანის მოციქულნო, სიყალბით, სიცრუითა და ორპირობით ეწევით საწადელს. უზნეობის მორევში თქვენი ფაფხური ამაოა, ის მორევი თქვენვე ჩაგითრევთ. საქართველო და ქართველი ერი კი, უფლისა და ჭეშმარიტი მამულიშვილების წყალობით, კვლავაც მარადიული ნათებით იქნება გასხივოსნებული.

**ელიზბარ ჯაველიძე**



## გუშინდელი ფოსტიდან

# ვის სასარგებლოდ წერენ „ყაზტრანსგაზის“ მრიცხველები?..

**დამთავრდა ერთი არჩევნები. დამთავრდა მეორე არჩევნები... და ხელისუფლებამ, ჩვეულებისამებრ, მკაცრი თვალით მიმოიხედა. სიმკაცრეს ვინ ჩივის, ოღონდ სამართლიანი იყოს, უსამართლო სიმკაცრე და სისასტიკეა რომ ყოველდღიურობას გვიმწარებს, რაც საკუთარი უფლებების დასაცავად განგვაწყობს ადამიანებს.**

აი, თუნდაც „ყაზტრანსგაზის“ ხალხისგან სისხლისგამომწოვი პოლიტიკა ავიღოთ, ჯერ ისედაც ძლივს ვუძლებთ (ამას თუ გაძლება ჰქვია!ძ ამდენ გაათმაგებულ გადასახადს და ახლა თურმე ჩვენი თანხით უნდა გამოვცვალოთ (108 ლარიძ რატომღაც დროზე ადრე მოძველებული ჩინური მრიცხველებიც ბევრად უფრო უკეთესი უკრაინულით. არადა გაზს უნდა დავემშვიდობოთ. თან გვაშინებენ კიდეც, თუ არ გამოცვლით, ძველ მრიცხველებს ლაბორატორიულად შევამოწმებთ და მცირედი დარღვევის შემთხვევაში 600 ლარით დაჯარიმდებითო.

ერთი სიტყვით, მოსახლეობა ნამდვილად მოლას იმ ვირის მდგომარეობაშია, რომელმაც სწორედ მაშინ გაჭიმა ფეხები, როცა ჭამას უკვე გადაეჩვია.

თქვე ეშმაკის ფეხის ხმას აყოლილო მეგაზე ყაზახებო თუ ყაზახებთან წილში ჩამსხდარო ფულის შოვნით გაგიჟებულო ეგრეთ წოდებულო ახალო ქართველებო, ხომ გაგიგონიათ, რომ ნამუსიც კარგი საქონელიაო, ანდა, ქათამმა წყალი დალია, ღმერთს შეხედაო. ნუთუ ყოველგვარი ნამუსი დაკარგეთ და უგვანო ქათამიც კი გჯობნით ღმერთისკენ ყურებაში?!.

იქნებ ამერიკელები ბევრს გულზე არც გვახატია, მაგრამ კეთილი სიტყვა მაინც უნდა ითქვას, როცა ეს საჭიროა. „თელასი“ რომ იყიდეს, მთელი გაყვანილობა და მრიცხველები იმათ თავიანთი ფულით დააყენეს, თანაც მთელ ამხელა, მილიონიან თბილისში მრიცხველები გარეთ გაიტანეს, კაბელები გამოცვალეს და მოსახლეობისთვის ერთი თეთრიც არ გადაუხდევინებიათ. ამ ჩვენს „გაყაზახ-გაქართველებულ“ მეგაზეებს მაშ რაღა დაგემართათ, რომ ნამდვილი წურბელებივით ბოლო თეთრის წვეთებსაც გვწოვთ ხმელა პურის ამარა დარჩენილ მოსახლეობას?!

ადრე ამ საკითხზე თბილისის მერიამ თითქოს პრინციპულად ამოიღო ხმა. გვახსოვს, მერმა უგულავამ საქვეყნოდ განაცხადა, ასეთი რამ არ მოხდებაო, არ დავუშვებთო. ახლა კი კრინტს აღარავინ არ ძრავს. „ყაზტრანსგაზი“ კი მოსახლეობას აიძულებს, რომ 30 ივნისამდე ყველამ გამოცვალოს ძველი მრიცხველი, რომელიც რატომღაც 108 ლარი გვიჯდება.

ადამიანურობასთან მწყრალად მყოფო, მეტი და მეტი ფულის წყურვილით შეპყრობილო „ყაზტრანსგაზელებო“, ეს მრიცხველები ხომ თქვენს დიდ შემოსავლებს აღრიცხავენ?! თუ მთელი თანხის გადახდა თქვენი ჯიბიდან არ გინდათ, იქნებ მოგვეღოთ ერთი მოწყალება მაინც და ეს 108 ლარი მოსახლეობისთვის ერთად კი არ შეგვეტანინებინათ, არამედ ექვს თვეზე ან ერთ წელიწადზე მაინც გადაგვენაწილებინათ!

**ხალხს მოთმინებას ნუ აკარგვინებთ, უფრო სწორად, მოთმინების ფიალას მრისხანების გაზით ნუ უვსებთ!..**

**ნუგზარ ყუფარაძე,**
**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი 1964 წლიდან.**

◉ სათქმელი უნდა ითქვას

# რუსეთი-ჰოლანდია - 3:1! საქართველო-რუსეთი?

*ნებით თუ უნებლიეთ, მოხდა, რომ აგერ უკვე მერამდენედ ამ ბოლო ხანს ფეხბურთზე მიწევს წერა. ბოლოს, ამ ერთი თვის წინათ, სწორედ ფეხბურთის თემით შევაწუხე ჩემი მკითხველი. „პოლიტიკა ფეხბურთში და ფეხბურთი პოლიტიკაში“ — ასე გახლდათ დასათაურებული წერილი, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია როგორც კონკრეტულად ჩვენი გაზეთის მკითხველთა შორის, ისე ზოგადად საზოგადოებაშიც.*

*თუმცა ახლა, როდესაც ევროპის მიმდინარე ჩემპიონატმა თითქმის ყველაფერი გადაფარა, იქნებ უპრიანიც კია, რომ კვლავ ფეხბურთის თემით ვეხმაურები მკითხველს.*



## ამ კაცს კრამიტი ხომ არ დასცურებიაო?

**იფიქრებს ალბათ მკითხველი წერილის სათაურის გამო. რა შუაშია საქართველო და რუსეთი?** არა, ბატონებო! ნამდვილად სრულ ჭკუაზე ვარ და ვიცი, რომ საქართველოს ნაკრები არ თამაშობს ევრო 2008-ზე ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით. ტოპი იქით იყოს, და, ვეჭვობ, უახლოეს ევრო თუ მსოფლიო საფეხბურთო ზეიმებზე ჩვენც გველირსოს ბურთის გორება. თუმც ამჟამად ეს სხვა თემაა, რომელსაც აუცილებლად დავუბრუნდები ახლო მომავალში.

ამას წინათ ჩვენმა ელჩმა რუსეთში ეროსი კიწმარიშვილმა ქართველ ჟურნალისტებს სთხოვა, რომ მეტი პასუხისმგებლობით და ზომიერად გააშუქონ ის პროვოკაციები, რომელთაც ლამის ყოველდღიურად გვიწყობს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი. ეროსი კიწმარიშვილის თხოვნის შინაარსი ის იყო, რომ ჩვენ, ქართველმა ჟურნალისტებმა, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი პუბლიკაციებით თუ ტელერეპორტაჟებით ხელი შევუწყოთ რუსეთ-საქართველოს შორის უკიდურესად დაძაბული ვითარების განმუხტვას.

შეუძლებელია არ დაეთანხმო კაცი ამ გონივრულ თხოვნას თუ რჩევას. ფაქტია, რომ ზოგადად ქართული ჟურნალისტიკა ხშირად ცეცხლზე ნავთსასხამს ზატულინ-ჟირინოვსკის, მიგრანიან-ზიუგანოვების თუ სხვათა და სხვათა ავყია გამონათქვამების დაუფიქრებელი, მოუზომავი ტირაჟირებით.

## „კოკავ, შენ გეუბნები, ლიტრავ, შენ გაიგონეო“

**ეროსი კიწმარიშვილის თხოვნა ყველამ, მათ შორის სპორტულმა ჟურნალისტებმაც უნდა გაითვალისწინონ, რადგან იქ, სადაც დიდი სპორტია (მით უფრო ფეხბურთი), არც დიდი პოლიტიკაა შორს. ჰოდა, მეც მანდა ვარ.** არა მგონია, ის, რაც და როგორც ხდება დღეს, ევრო 2008-ის გაშუქებისას საქართველოს ტელესივრცეში, ხელს უწყობდეს რუსულ-ქართული ურთიერთობის ნორმალიზებას. ეს რომ ასეა, ამის დასტურად რუსეთ-ჰოლანდიის საფეხბურთო ჯახის ტელეგაშუქების ანალიზით შევეცდები.

„რუსთავი-2“-ის სპორტულ მიმომხილველს დიმიტრი ოზოლაძეს თითქოს ენაზე გირები ეკიდა, მთელი მატჩის განმავლობაში აღფრთოვანების ეპითეტი არ დასცდენია რუსეთის კარგი ნაკრების ბრწყინვალე თამაშის გამო, რომელმაც მართლაც, რომ იტყვიან, მასტერკლასი ჩაუტარა ნარინჯისფერებს — 3:1 გაანადგურა ლამის იმთავითვე ჩემპიონატის უპირობო ფავორიტად მიჩნეული ჰოლანდიელები. ერთადერთი, რაც მან ბოლოს გაიმეტა რუსებისთვის, იყო სიტყვები — რუსების დიდი მოყვარული არა ვარ, მაგრამ ვაღიარებ მათს დამსახურებულ გამარჯვებასო.

მსგავსი ტონალობით ჩაერთო „საქმეში“ მატჩის შემდეგ ე. წ. ჰოლანდიელთა ფანკლუბი, რომლის სპონსორი ლუდი „ნატახტარი“ ყოფილა (მაგრამ ამ ე. წ. ფანკლუბებზე ქვემოთ და უფრო მძაფრად).

შე კაი კაცო, კბილები მარტო მწვადის საჭმელად კი არა, სხვა რამისთვისაც მოუცია ღმერთს — სანამ რამეს იტყოდე, უნდა იფიქრო, ენას კბილი დააჭირო და მერე წარმოსთქვა „სიბრძნე“. ასე რომ ექნა, ალბათ იტყოდა „არა რუსების“, არამედ „რუსული ფეხბურთის დიდი მოყვარული არა ვარ“, მაგრამ... და ა. შ.

მერე და მერე, როცა წინამდებარე წერილის მსგავსი პათოსით დარეკეს მაყურებლებმა, დიმა ოზოლაძე „გატყდა“, გული მოულბა და არშავინის ვარსკვლავობაც აღიარა. ჩემი მხრივ, ერთსლა ვიტყვი და ამით ამოვწურავ წმინდა საფეხბურთო, პოლიტიკის გარეშე თემას — ყველამ ისწავლა, დიახ, ისწავლა ფეხბურთის თამაში. გუს ჰიდინკმა, ამ მართლაც გენიალურმა მწვრთნელმა, ჩვენი „საამაყო“ ტოპმიოლერის თითქმის იდენტური ანაზღაურებით შექმნა ქრიერი, მონოპოლიური გუნდი, რომელსაც, ვფიქრობ, თუკი რამ გამეგება ფეხბურთში, დიდი მომავალი აქვს. ანდრეი არშავინი კი ამ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ მიმაჩნია. გულით და სულით ვულოცავ ჩვენს ერთმორწმუნე, ეკლიან, მაგრამ მაინც მეზობელ რუს ხალხს ამ უკვე ბრწყინვალე შედეგს!

რაც შეეხება ჩვენს, ქართულ ფეხბურთს, რომელიც წინა წერილში მკვდრად გამოვაცხადე, რის გამოც ბატონი დურმიშხან ცინცაძე განმირისხდა, კომპრომისზე წავალ და ვიტყვი — რეანიმაციაში მყოფ ფეხბურთს, იქნება ვინმე მადლიანი გამოუჩნდეს და გაგვახსენოს (დიახ, გაგვახსენოს და არა გვასწავლოსძ, რომ ქართველებს დიდი ფეხბურთის თამაში არა თუ შეგვიძლია, ვალდებულებიც ვართ, ვითამაშოთ. დათო ყიფიანის მშობელ ერს, სასწავლი და, მით უფრო, ანა-ბანიდან დასაწყები არაფერი გვჭირს. მაგრამ ეს არაფრით და არასგზის არ მოხერხდება „ჩომბიკას“ ფედერაციაში. ჰიდინკი მოვიყვანოთ კი არა, თვით დიდი ანდრო ჟორდანიაც რომ ადგეს საფლავიდან. და კიდევ, სანამ არ დამთავრდება ის კრეტინიზმ-დეგენერატობა, გნებავთ, აბსურდის თეატრი, რასაც...

## კოტ დ'ივუარის ფანკლუბი ჰქვია...

**ეს იდიოტიზმი საქართველოში მგონი 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატიდან დაიწყო.** მაშინ გაჩნდა პირველი ფანკლუბები, რომელთა ყმაწვილი წევრები: ქართველი გერმანელები, ბრაზილიელები, ფრანგები, ინგლისელ-ჰოლანდიელები და რა ვიცი კიდევ ვინ აღარ — „თავისი“ გუნდის გამარჯვების შემდეგ, „თავისი“ დროშების ფრიალ, წივილ-კივილით რომ დაჰქროდნენ თბილისის ქუჩებში. მაშინ იყო, ერთმა ჭკუათხელმა ბობოლა „ნაციონალმა“ კოტ დ'ივუარის ფანკლუბის გახსნა რომ მოინდომა. ასეთი რამე სხვაგან გაგონილა სადმე? არა მგონია. ახლა ვინმე მიპასუხებს, რომ იმ „სხვაგან“, თავიანთი გუნდები ჰყავთო „საბალელშჩიკო“. უმეტეს შემთხვევაში ალბათ ასეც არის, მაგრამ...

მაგალითად, ახლა ინგლისის ნაკრები ვერ მონაწილეობს „ევრო-2008“-ზე. ამიტომ რა, ლონდონში იგივე უაზრო ისტერია სუფევს? იქაც დაჰქრიან ავტოებით ინგლისელ-გერმანელები „დოიჩლანდ, დოიჩლანდის“ ყვირილით, რომელთა სპონსორიც იქაური „ნატახტარია“?

რაღაც ეჭვი მეპარება. მტკიცედ მწამს, რომ ეს იდიოტიზმ-კრეტინიზმი მომავალში მაინც აღარ უნდა გავიმეოროთ. საქართველოში მხოლოდ საქართველოს ფანკლუბი უნდა იყოს. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო, მაგრამ დღეს? დღეს მთელი ევროპა იცინის ჩვენზე. ყოველ შემთხვევაში, თბილისში მყოფი უცხოელები მაინც, რომლებიც მხრებს იჩეჩავენ ქართული „ნოუჰაუ“-კრეტინობის შემხედვარე.

პოლიტიკურად მაინც გამოგვეყენებინა ეს უაზრობა! მამაცხონებულო, თურქეთის ფანკლუბს თუ ასპონსორებ, ერთი რუსული ფანკლუბიც გაგვეხსნა. ეს ხომ პატარა, მაგრამ მაინც პოზიტიური ჟესტი იქნებოდა რუსეთის მიმართ? აფხაზეთს არ დაგვიბრუნებდნენ, მაგრამ უბრალო, რიგით რუსს ხომ გაუხარდებოდა?

მაგრამ არა! ყველა — მინუს ერთი, ანუ რუსეთი.

მე ის პერიოდიც კარგად მახსოვს, როცა სსრკ-ს ნაკრებს არ ვგულშემატკივრობდი, იმის მიუხედავად, რომ ერთი-ორი ქართველი იქ ყოველთვის თამაშობდა. ამას იმიტომ ვაკეთებდით, რომ საუკეთესოებს: მიშას, სლავას, ვოვას, დათოს გვიჩაგრავდნენ. ასეთივე რუსოფობი ვიყავი იმ სპორტის სახეობათა მიმართ, სადაც ქართველი ვერ ითამაშებდა. მაგალითად, ჰოკეიში კანადას, აშშ-ს, ჩეხებს ვქომაგობდი.

ამას იმათ გასაგონად ვამბობ, ვინც ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, შეიძლება რუსოფობიაში დამდოს ბრალი.

## დრონი მეფობენ და არა მეფენი

**დაინგრა სსრკ — ბოროტების იმპერია, რომლის ნანგრევებში სხვებთან ერთად ჩვენც მოვყევით.** იმ განსხვავებით, რომ იმ „სხვებმა“ მეტ-ნაკლებად მაინც იხეირეს. ჩვენ კი, პირველ რიგში ჩვენივე უჭკუობის გამო, ყველაზე მეტად დავზარალდით. რა თქმა უნდა, რუსული „დერჟავნიკული“ ამბიციების გამოც. ამ ამბიციებს თუ გასული საუკუნის 90-იან წლებში წყალი შეუდგა, დღეს ასე აღარ არის, რუსეთმა დაიბრუნა მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუკაზე ის, რისკენაც ისწრაფვოდა, და ეკონომიკური ამოუწურავი რესურსების გამო, პირველ რიგში ევროკავშირისთვის მიმზიდველი, ანგარიშგასაწევი „დერჟავა“ გახდა. აშშ-ს ფარული თუ აშკარა უკმაყოფილების მიუხედავად, ევროკავშირი დამოუკიდებელ თამაშს თამაშობს რუსეთთან მიმართებაში.

ჩვენი ხელისუფლების, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ფრთის ძალისხმევით, რომელმაც, სამწუხაროდ, ახლაც შეინარჩუნა სახელმწიფოს მართვის ძირითადი ბერკეტები, რუსოფობია ლამის ქვეყნის იდეოლოგიად აქცია.

ჩვენმა შვილებმა საყველპურო რუსულიც არ იციან, ჩვენ კი დიდ რუსულ ლიტერატურას დედანში ვკითხულობდით. სამაგიეროდ, ინგლისურად ჟღურტულისკენ ისწრაფვიან. „ნატოც“ კარგია და ევროკავშირიც, მაგრამ რატომ რუსეთთან ღია კონფრონტაციის ფონზე“? დღეს ჩემს თაობას რუსეთის ხსენებაზე, ადრინდელისგან განსხვავებით, პირველად ჟირინოვსკი, ზატულინი და სხვა ოდიოზები კი არ გვახსენდება, არამედ — ვასილი შუკშინი, ვლადიმერ ვისოცკი, მიხეილ ბულგაკოვი, თუნდაც ალა პუგაჩოვა და რა ვიცი, კიდევ ვინ. ერთი სიტყვით, ის ხალხი, ის რუსები, რომლებსაც ჩვენსავით ენატრებათ ის ადამიანური ურთიერთობები, რომელთა გახსენება ნოსტალგიურ ტკივილნარევ სითბოს მგვრის.

სხვისი არ ვიცი და, ჩემთვის გაუგებარი, მიუღებელი, ერთი სიტყვით, ნონსენსია — ჩვენს „ისტორიულ მეგობარ“ თურქეთში უვიზოდ მივდიოდეთ და „ისტორიულ მტერ“ მოსკოვში ჩასვლა მენატრებოდეს. წინწკლები თურქეთის მიმართ რატომაც ვიხმარე, გამგები გაიგებს. რაც შეეხება რუსეთს, ბევრი სიმწარე გვახსოვს, თუნდაც 70-წლიანი კომუნისტური მმართველობა, მაგრამ სწორედ ისტორიულ რეტროსპექტივაში არც იმის დავიწყება ეგების, რაც, ნებით თუ უნებლიეთ, სასიკეთოდ წაადგა საქართველოს ორი ქვეყნის 200-წლოვანი თანაცხოვრების განმავლობაში.

...ისე კი, ხსენებული იდიოტური ფანკლუბომანიის „ეგიდით“ ერთი იდიოტური რუსული ფანკლუბიც გაგვეხსნა, ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა.

**დავით მხეიძე**



***P. S. როგორც „ასავალ-დასავალი“ იუწყება, ცნობილ ჟურნალისტს ვალერი კვარაცხელიას, ჰოლანდია-რუსეთის მატჩის შემდეგ, ერთი ღამის გათენება КПЗ-ში მოუწია. მისი დაკავების ფორმალური მიზეზი, ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა იყო. თუმცა თავად ბატონი ვალერი თვლის, რომ იგი მისი ავტომობილიდან რუსული დროშების ფრიალის გამო დააკავეს.***

***დ. მ.***

№ 116. ოთხშაბათი, 25 ივნისი, 2008 წელი.

ოჰ, ეს რეფორმები!

# რეიტინგი, რომელიც წონით ბენდუქიძესაც აღემატება



**ამას წინათ ერთმა ჩემმა კოლეგამ თავის რესპონდენტს სრულიად მოულოდნელად მძიმე კითხვა აჯახა: კი მაგრამ, რა გახდა ეს ბენდუქიძე, რომ წლების განმავლობაში ქვეყანას თავის ხოშზე ატრიალებს. ბოლოს და ბოლოს, ველარ უნდა მოვიშოროთო?**

რესპონდენტის პასუხი, რა თქმა უნდა, ადეკვატური იყო, თუმცა ჟურნალისტი და მისი თანამოსაუბრე ალბათ არ დამემდურებიან, თუ ბენდუქიძის პერსონის შეფასებაში დამატებით ნიუანსს შევიტან. კერძოდ, ვფიქრობ, უფრო მისადაგებული იქნება, თუ გამოთქმის „დგას და დგას“ ნაცვლად, ვიხმართ „ზის და ზის“, რადგან ყველასთვის ცნობილი მიზეზისა გამო, ბატონ კახას მუდმივად დგომა ძალიან უჭირს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდა ამ ძნელად გადაადგილებადი პიროვნების გადაადგილება (რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული) და მისი იქვე, კანცელარიაში, ერთი სკამიდან მეორე სკამზე გადასმით დაკმაყოფილდა.

ეს რაც შეეხება მსხვილი სახელმწიფო მოხელის გადაადგილების ტექნიკურ და ფინანსურ მხარეს, მაგრამ მთელ ამ მძიმე და დამქანცველ საქმიანობაში არის სხვა უფრო წონადი მნიშვნელობის ფაქტორიც — საერთაშორისო სარბიელზე ბატონ კახა ბენდუქიძის სარეიტინგო მოღვაწეობა, რაშიც მას, უნდა ვაღიაროთ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (და არა მარტო იქ) ბადალი არ მოეპოვება. ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა ამ დღეებში, როცა საქართველო ეკონომიკური განვითარებისა და ჩატარებული რეფორმების მხრივ მსოფლიოში წამყვანი ქვეყნების პირველ ათეულში ვიხილეთ. მართალია, ამასთან დაკავშირებით ბენდუქიძის სახელი არსად უხსენებიათ და სპეციალური ჯილდოს გადასაცემად ვაშინგტონში ქალბატონი ეკატერინე შარაშიძე მიიწვიეს, მაგრამ ამერიკამ თუ არა, ჩვენ ხომ მაინც ვიცით, მშობლიური ქვეყნისათვის ასეთი სანუკვარი რეიტინგის მოსაპოვებლად ბატონ კახას რა ზღვა ოფლი აქვს დაღვრილი.

ლაპარაკია იმ გაუსაძლის კატორღულ შრომაზე, რაც თავის დროზე სახელმწიფო მინისტრის პოსტზე მყოფმა ბენდუქიძემ თავის ერთგულ გუნდთან ერთად გასწია რეფორმების გზით ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისთვის. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — საქართველომ ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობებით გაუსწრო ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებსაც კი, როგორიც გერმანია და ჰოლანდიაა. მერე რა ვუყოთ, რომ ეს ბევრს არ სჯერა, თანაც არა მარტო უცხოეთში, არამედ თავად საქართველოშიც? სამაგიეროდ მთავრობა და ბენდუქიძე იმდენად არიან დარწმუნებულნი საკუთარ მიღწევებში, რომ უხერხულობის გრძნობაც კი განუქარვდათ.

ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ეს გრძნობა მაინც და მაინც არც იმ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში მომუშავე არბიტრებს უნდა აწუხებდეთ მოჭარბებულად, რომლებსაც ასეთი რეიტინგები გამოჰყავთ, თორემ ვიდრე ამა თუ იმ ქვეყანას შეაფასებდნენ, ეკონომიკურ პარამეტრებში ხომ უნდა ჩაეხედათ? რომელ პარამეტრებში? მაგალითად, ისეთში, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე. როგორია, ვთქვათ, ამ პროდუქტის ზრდის ტემპი? ინფლაციის მაჩვენებლები, დასაქმება, საგადასახადო შემოსავლები? როგორია ექსპორტ-იმპორტის ბალანსი, რამდენია საგარეო ვალი? და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

როგორც წესი, პროფესიონალი ექსპერტები, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური რეიტინგის განსაზღვრას აპირებენ, სწორედ ზემოთ დასახელებულ პარამეტრებს ეყრდნობიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენ ანგარიშს გვიწევენ — რეიტინგს განგებ გვიმაღლებენ, რათა უცხოელი ინვესტორები დაინტერესდნენ, საქართველოში დიდძალი ინვესტიციები დააბანდონ ისე, რომ რისკის შიში გულში ოდნავაც არ გაივლონ. თუ ასეა, რას ვერჩით, მადლობა ვუთხრათ ქართული ეკონომიკის რეიტინგომანებს და უცხოური ინვესტიციების მოზღვავებას გულისფანცქალით დაველოდოთ.

თუმცა, სიფრთხილე მაინც გვმართებს: ხომ შეიძლება ადგილზე ჩამოსულ უცხოელ ინვესტორებს რაღაც ეჭვი მაინც გაუჩნდეთ, ვთქვათ, ინფლაციის ზრდის ტემპთან დაკავშირებით, ან მოსახლეობის რეალური შემოსავლებით დაინტერესდნენ? არც ამისი უნდა შეგვეშინდეს, აბა მთავრობა რისთვისა გვყავს, თუ ასეთ დროს დაიბნევა და რეალურ მაჩვენებლებს გამოაჭენებს? რეალობა ის არის, რაც ოფიციალურ სტატისტიკაშია აღრიცხული! ინფლაციის ზრდა წლეულს 8 პროცენტს არ გადააჭარბებს იმ შემთხვევაშიც კი, მან სამომხმარებლო ბაზარზე რეალურად 30 პროცენტსაც რომ მიაღწიოს. რა თქმა უნდა, მოსახლეობის შემოსავლებიც გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე მას არსებობის შესანარჩუნებლად სჭირდება. პენსიებს ხომ ნუღარ იკითხავთ, მალე იგი 100 დოლარამდე გაიზრდება და სოციალურად დაუცველთა ცხოვრებას გასაჭირი აღარასოდეს დაემუქრება(!).

ცოტა დამაფიქრებელი კია, თანაც ალოგიკური — ისეთი მაღალი ეკონომიკური რეიტინგის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მასობრივი უმუშევრობა და სიღარიბე საიდან უნდა შემოპარულიყო ისე უჩუმრად, რომ მთავრობას, ვიდრე მის წინაალმდეგ მასობრივი საპროტესტო აქციები არ დაიწყებოდა, ვერ ეგრძნო? ამაში დამნაშავე, რა თქმა უნდა, ოპოზიციაა, რომელმაც იმდენი ქექა აქაურობა დასიცხული ქათამივით, ვიდრე სიღარიბე შემთხვევით არ გამოქექა, შემდეგ კი ეს შემთხვევითობა მთავრობის გადაყენების მოთხოვნის საბაბად არ გამოიყენა.

ვერ მიართვეს! არაფერი გამოუვიდათ, მთავრობამ ქვეყანაში შემთხვევით აღმოჩენილი სიღარიბეც თავის სასარგებლოდ და ოპოზიციის დასამარცხებლად გამოიყენა. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს რაღაც სიღარიბე რომ არ გამომცხვარიყო, ხელისუფლება მის დასამარცხებლად ამხელა პიარს ვერ ააგორებდა, ვერც მშიერ ხალხს დაიყაბულებდა მათხოვრულ ერთჯერად საჩუქრებზე და საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებსაც პირწმინდად წააგებდა (!?).

**ნამდვილად ასეა, სიღარიბემ და ოპოზიციონერთა უთვალსაწიერობამ იხსნა ხელისუფლება დამარცხებისგან. თანაც დრო აჩუქა — 50 თვე იმისათვის, რომ მთავრობამ სიღარიბეს ცალყბად ებრძოლოს, ნაფოტიც ვერ ააგდებინოს და სამომავლო არჩევნების მოსაგებადაც იმავე საყრდენს (სიღარიბეს) დაეყრდნოს.**

**ამასობაში ინფლაციასთან ბრძოლის ფორმებსაც ხვეწს. ხელისუფლების რჩევით, ქვეყანაში ბანკებმა სესხებზე საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად გაზარდეს. ასეთ დროს, როგორც წესი, მომხმარებელი კლებულობს, მიმოქცევაში ფულის მასა მცირდება და შესაბამისად ინფლაციის ზრდის ტემპიც. რა ვუყოთ, რომ ასეთ დაწოლას წარმოება ვერ უძლებს, სამაგიეროდ, მთავრობა გრძნობს თავს ყინჩად და ბედნიერად. მით უფრო, თუ საერთაშორისო არენაზე ბენდუქიძეზე მაღალი წონის რეიტინგი აქვს. აღარაფერს ვამბობთ თავად ბენდუქიძეზე, რომელიც ასეთ დროს ყოველთვის ჩუმად ყოფნას ამჯობინებს.**

ოთარ ხუციშვილი

ინფორმაცია

## თბილისის მერია გარემოვაჭრეებს საკოლმეურნეო ბაზრებში გადანაწილებას სთავაზობს

**ანტისანიტარიისა** თუ საზოგადოებრივი წესრიგის მოგვარების მიზნით, თბილისის მერია გარემოვაჭრეებს სხვადასხვა საკოლმეურნეო ბაზრებში გადაანაწილებს და ვაჭრობის გადასახადს წლის ბოლომდე დაუფარავს.

როგორც თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა, თბილისში 1700 გარემოვაჭრეა რეგისტრირებული, რომელთა გადაყვანა 13 საკოლმეურნეო ბაზარშია შესაძლებელი, სადაც 2000 ადგილი თავისუფალია.



გიგი უგულავამ ბრიფინგზე ჟურნალისტებს მეველის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადებაც წარუდგინა, სადაც აღნიშნულია, რომ გარევაჭრობის გამო ტროტუარებზე სიარული შეუძლებელია, სადარბაზოები ტუალეტებად არის ქცეული და მომრავლდნენ მღრღნელებიც.

თბილისი მერიამ უკვე დაიწყო სპეციალური პროგრამის განხორციელება, ვაჭრობის უფლებისთვის ყოველდღიურ გადასახადს წლის ბოლომდე, ანუ 6 თვის განმავლობაში მერია დაფარავს. თუ ამ პროექტმა გაამართლა, მომავალ წელსაც გავაგრძელებთ დაფინანსებას. ამით გარემოვაჭრეებს აღარ ექნებათ სათქმელი, რომ ბაზარში მაღალი გადასახადის გამო არ შედიან, — განაცხადა გიგი უგულავამ.

დედაქალაქის მერის თქმით, გარევაჭრობა სოციალური პრობლემაა და მუნიციპალიტეტი ყველაფერს გააკეთებს, რათა აღნიშნული პრობლემა თბილისს აღარ ჰქონდეს.

მისივე ინფორმაციით, დიდუბეში 1100 გარემოვაჭრეა, რომლებიც „კახოვკის“, „დეზერტირების“, „ციგნების“, „პირამიდისა“ და დილმის ბაზრებში გადანაწილდებიან.

სამგორი-ვარკეთილის ტერიტორიაზე 350-მდე გარემოვაჭრეა, რომელთა გადანაწილება შესაძლებელია შპს „კედარის“, „მწვანე ბაზრის“, „ნავთლუღის“, „სამგორი 2004“ და „ედელვაისის“ ტერიტორებზე, სადაც 800-მდე ადგილია ასათვისებელი.

გლდანი-ნაძალადევში 250-მდე გარემოვაჭრეა, მათი გადანაწილება შესაძლებელია ე.წ. კართოტეკის, მეტროსადგურ „ღრმაღელის“ და შპს „შმაგის“ მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც 300-მდე ადგილია ასათვისებელი.

გარემოვაჭრეების ბაზრებში გადანაწილების ორგანიზება გიგი უგულავამ თავის მოადგილეს ნიკო ხაჩირაშვილს დაავალა.

## შიდა ქართლის გუბერნატორი თანამშრომელთა გაყინული ხელფასების გადახდას არ აპირებს

**როგორც** არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან“ იტყობინებიან, აღნიშნული ინფორმაცია მათ გუბერნატორის მთავარმა ბუღალტერმა ეკა სოიტაშვილმა დაუდასტურა.

ორგანიზაციის ინფორმაციით, კონტროლის პალატის რევიზიის 2008 წლის 25 მარტის აქტში წერია, რომ 2008 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით გუბერნატორის ადმინისტრაციას 62 600 ლარის კრედიტორული დავალიანება აქვს, მათ შორის 16 000 ლარი — მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება; 5 000 ლარი - სოცანარიცხები, ხოლო დანარჩენი 45 500 ლარი წარმოადგენს სხვა საქონელსა და მომსახურებას (კომუნალურ ხარჯს).

ეკა სოიტაშვილის განცხადებით, ლადო ვარძელაშვილმა ფინანსთა სამინისტროს წინაშე დააყენა მოთხოვნა, რომ ეს ვალები ჩამოწერონ. ბუღალტერი გადაწყვეტილებას თანხების არარსებობით ხსნის.

## ახალმშენებლობა მოსკოვში

**მოსკოვის** მთავრობამ ქალაქის ცენტრში მდებარე „ზემლიანოი ვალის“ ტერიტორიაზე აფხაზეთის კულტურული და საქმიანი ცენტრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთი გამოყო. როგორც მერიაში განმარტავენ, მოსკოვში აფხაზეთის საქმიანი ცენტრისა და სოხუმში მოსკოვის სახლის აშენების შესახებ გადაწვეტილება აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა და მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა ჯერ კიდევ 2006 წლის ზაფხულში მიიღეს.

მათივე ინფორმაციით, გასულ წელს, მოსკოველმა ინვესტორებმა გაგრაში არსებული ყველაზე დიდი სასტუმრო „მოსკოვი“ იყიდეს და გაარემონტეს.

აფხაზეთის სახლი მოსკოვში კი 2010 წლამდე უნდა აშენდეს და იგი დიდ სასტუმრო-საოფისე კომპლექსში უნდა განთავსდეს.

აფხაზეთის სახლში აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლობები, აფხაზური ფირმები, ტურისტული სააგენტოები და აფხაზურ-რუსული ბიზნესწრეების ოფისები განთავსდება, — აცხადებენ მოსკოვის მერიაში და დასძენენ, რომ საქართველოსთან დიპლომატიური პრობლემების თავიდან აცილების გამო, მოსკოვში, აფხაზეთის სახლის ასაშენებლად თანხას კერძო ინვესტორები გაიღებენ.

მათივე ინფორმაციით, მოსკოვის ცენტრში არსებული მიწის ნაკვეთი გრძელვადიანი იჯარით რუსულ ფირმას გადაეცემა, რომელიც კომპლექსს ააშენებს და თავის მხრივ, იჯარით გადასცემს აფხაზ ბიზნესმენებს.

ეს ყოველივე კი სახელმწიფო სტრუქტურების ჩაურევლად მოხდება, — იუწყება მოსკოვის მერია.

ინტერპრესნიუსი და ХИ-ЭЙБ-ЭНИ

ჩვენი ბიბლიოთეკა: ახალი თარგმანი

# მესამე ნაწილი

## 1. ფორთოხლის ზეთჩაწვეთებული მავრიტანული ყავა

— **მაშ**, შენი ფიქრით, ეგ ყველაფერი ეგრე იყო, — მითხრა ლიზამ, ჩემი ზოგიერთი ვენეციური ჩანაწერი რომ წავუკითხე, იმის მერე. — ჩემთვის მთლად ნათელი მაინც არ არის ბეჭდის როლი, საერთოდ ნათელი არ არის იმ ლექსის, ანუ შელოცვის როლი, ერთადერთი, რის საჭიროებაც მეტ-ნაკლებად მესმის, ღვთისმშობლის ცრემლებია, ის ღვთიური წყალია, მე და შენც რომ შევსვით.

იმხანად ერთ პირქუშ ბინაში ვიდექით, დორჩოლაზე და სულ იმის ცდაში ვიყავით, როგორმე მოგვერჯულებინა ჩვენი გაავებული სადგომი. ის როგორც ნადირი, ისე გვექცეოდა და არც ოდესმე შეგვჩვევია. დღისით კიდევ შეიძლებოდა გაძლება, მაგრამ ღამღამობით ნამდვილ ველურ ცხოველად გადაიქცეოდა ხოლმე, რომელიც ყოველი მხრიდან გვიდარილებდა. ჭერი სუყველა ოთახში ნაირნაირი სიმაღლისა იყო, როგორც ჩანს, ან იქ დაეტანებინათ რამე, ან ჭერზე და იატაკში, ჩვენს თავზე. შენობის კიბეზე სართულებს შუა საფეხურთა რაოდენობა სულ სხვადასხვა იყო, ლიზას რაღაც იძულებულსა ხდიდა, რომ მუდამ საწოლის გარდიგარდმო სძინებოდა, თითქოს საწოლი კომპასი იყო, ხოლო თვითონ ლიზა ისარი, რომელიც ქვეყნიერების მხარეებს აჩვენებდა. ბინაში მუდმივად რაღაც ირწეოდა, იატაკი კოჭებზე იყო დაგებული, და გასული საუკუნის პარკეტს ფეხქვეშ ტკაცატკუცი გაჰქონდა.

სუყველა ამ ხათაბალას ხან რა ხერხით ვაღწევდით თავს და ხან რა ხერხით.

ჩვენი საოჯახო ხატის წინ სულმუდამ კანდელი გვენთო, და კმევით რამდენჯერმე ვაკმევდით მთელ სახლში, საწოლი ჩვენ ქვეშ პუდინგსაებრ თამთამებდა, რადგან არც ერთი დღე არ ვიკლებდით სიყვარულს. ლიზას ამისთვის უფრო დღისით ჰქონდა მეტი დრო, ვიდრე ღამით, თუმცაღა იცოდა, რომ ღამე დროის წყალია, ხოლო დღე — დროის ხმელეთი. გარდა ამისა, ლიზასთვის სულერთი არ იყო, საწოლის რომელ მხარეს ვსიყვარულობდით. ჩვენი ეროტიკული ცხოვრება სავსებით დამაკმაყოფილებელი გახლდათ, ანუ, თუ ლიზას ფორმულირებას გამოვიყენებთ, ეს იყო მუდამ ძვირადღირებული ორგაზმი, სტილისტურად უზადოდ შესრულებული და შესაბამისი ეროტიკული ფანტაზიის სიუხვით გამორჩეული. დროდადრო არც კლიტორულ ორგაზმზე ვამბობდით უარს, რაც არაფერს არ გვავალდებულებდა... ოღონდ სხეულს აღვიქვამდით არა ოდენ როგორც სიამოვნებისთვის განკუთვნილ ორგანოს.

ხანდახან ლიზას ვეუბნებოდი ხოლმე, რომ, არსებითად, არ ვგრძნობდი საკუთარ სხეულს როგორც ჩემსას. ლოგინში არცროდის არ ვიცოდი, სად წამეღო ხელები. და როცა მეძინა, ერთი ფეხი აუცილებლად ძირს მქონდა გადმოვარდნილი.

— მატერია მოხერხებული ვერ იქნება. მხოლოდ ასტრალში გასულთ ველარ შეგვიშლის ხელს ვერაფერი, — მომიგებდა ლიზა. — მაშინ ჩვენს სხეულს სხვა სიმკვრივე ექნება. და ყოველსავე ოცდაათ წამში ვერ ვიგულმავიწყებთ, როგორც ამას ოცდამეერთე საუკუნის ადამიანები სჩადიან.

ამ სახლში, ერთ ადგილას გახირული ათასგვარი სუნით სავსე ჭერქვეშ ლიზამ ინგლისიდან ჩამოიტანა თავისი ჩვეულებები, რომელთა ადგილიდან დაძვრაც აგრეთვე შეუძლებელი იყო,და ჩიპენდეილის ავეჯი. საწერი მაგიდის გამოსაწევ უჯრაში ჯერეთ კიდევ ბავშვს, მოწაფეობისას, ერთი რამ თარიღი ამოეკვეთა კალმის დანით.

— როგორა ფიქრობ, რა თარიღია ეს? — მკითხა მან სიცილ-სიცილით.

— რა ვიცი. მნიშვნელოვანია?

— დიახ. მნიშვნელოვანი იყო, ჩემთვის კი დღესაც მნიშვნელოვანია, ოღონდ საიდუმლოა, ამიტომაც არის აგრე ფარულ ადგილას ჩაწერილი. ეს ჩემი სიქალწულის დაკარგვის დღეა.

— სხვა თარიღები? — ვკითხე. — აქ კიდევ სამია. შენ რა, რამდენჯერმე მოახერხე სიქალწულის დაკარგვა?

— ეგ ის თარიღებია, როცა ჩემი დობილები კარგავდნენ სიქალწულეს. ჩემთან მოდიოდნენ ხოლმე და ჩემი უჯრით სარგებლობდნენ.

ამ სამახსოვრო თარიღთა გარდა, ლიზას უჯრა კიდევ ერთ საიდუმლოს ინახავდა. იქ იისფერ ხავერდის პარკუჭანაში რაღაც იყო გადამალული.

— ეს რა არის? — ვკითხე ლიზას.

— გახსენი და ნახე. It is my dowry, — მომიგო მან თავის ენაზე და დასძინა: — არ ვიცი, ამას რას ეძახიან თქვენში.

სხვა გზა არ იყო, სიტყვისკონაში ჩახედვა მომიხდა, და ჩემდა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ ეს სიტყვა მზითვს ნიშნავდა. მერმე გავხსენი ხავერდის პარკუჭანა და იქიდან აბრეშუმის მოგრძო ოქრონაქარგი წაღა ამოვიღე. გაცვეთილი. მამაკაცისა. მარცხენა. ძალიან, ძალიან ძველი.

თუ წმინდა რამ გწამს, მითხარი, რა არის ეს-მეთქი, ვკითხე გაკვირვებულმა.

და სრულიად წარმოუდგენელი პასუხი მივიღე:

— პაპის წაღაა. მრავალი საუკუნის წინათ რომიდან გამოგზავნილია ერთ-ერთი ჩემი წინაპრისადმი მადლიერების ნიშნად. იმ დროიდან ოჯახში ინახება და მემკვიდრეობით გადმოდის...

* * *

**რაც** შეეხება ჩვეულებებს, ლიზამ ინგლისიდან დორჩოლაზე მდებარე პირქუშ ბინაში რომ ჩამოიტანა, არც ერთი უცებ არ გამოვლენილა, მაგრამ ჩვენდამი რაც უფრო სასტიკი ხდებოდა სახლი, მით უფრო ცხადად ჩნდებოდა ზედაპირზე ლიზას ზოგიერთი მიდრეკილება. ლიზა თითქოს შეტევას იგერიებდა. მშობლების სახლიდან, სადაც ის დიდ სიმკაცრეში ჰყავდათ, ჯერ სკოლიდან, ხოლო მერმე უნივერსიტეტიდან, სადაც იმ მუდმივად ძნელ გამოცდებს აბარებდა, ლიზამ ყოველგვარი გამოკითხვის მიმართ სიძულვილი გამოიყოლა. ვერ იტანდა, როცა ვინმე რასმე ეკითხებოდა, უმალ წამოენთებოდა ხოლმე. ამას გარდა, ადვოკატი მამისგან ის ესწავლა, რომ, რა ვითარებაც არ უნდა ყოფილიყო, თავის გარემოცვაში ეძებნა და ეპოვა დამნაშავე, იმავდროულად თავს იცავდა ყოველგვარი ცდისგან, რომ თვითონ ის დაედანაშაულებინათ, თანაც მაშინაც კი, როცა არცვინ არ ეპირებოდა იმისთვის რისამე დაბრალებას. და კიდევ ერთი ჩვეულება მოიყოლა მან დორჩოლაზე მდებარე ბინაში. ლიზა თავის ახლობელ ადამიანთა მხრიდან ყოველგვარ ხელის წაშველებას ეწინააღმდეგებოდა. სულ კნინსაც და საკმაოდ მნიშვნელოვანსაც. პალტოს ის მუდამ უფრო სწრაფად იცვამდა, ვიდრე ვინმე მოასწრებდა და მიაწვდიდა. მანქანაში ბევრად უფრო ადრე ჯდებოდა და იქიდანაც ბევრად უფრო ადრე გადმოდიოდა, ვიდრე კარს გავუღებდი ხოლმე. მოგზაურობის დროს ჩემოდნების აღებას ვერ ვასწრებდი. ამა თუ იმ არქეოლოგიურ პროექტებში მონაწილეობისას თავის ჭკუაზე წყვეტდა სამუშაოს და სულ არ დაგიდევდათ, ამის თანახმა იყო თუ არა ხელმძღვანელობა, რის გამოც აშკარად უზარალდებოდა ბრწყინვალე პროფესიული კარიერა.




ამრიგად, პირქუშ დორჩოლურ სახლში ლიზას ხასიათის ეს თვისებები შიგადაშიგ ყვაოდა და იფურჩქნებოდა. სახლი, თავის მხრივ, არ ეშვებოდა ჩვენი გატეხის ცდას.

ამ ურთიერთობამ ჩვენს სამზარეულოშიც შემოაღწია.

ერთხელაც მე და ლიზა სასაუზმოდ ვისხედით უზარმაზარ პირქუშ ბინაში კი არა, რომელიც წამისწამ იკბინებოდა, არამედ კოსმაის ძირას მდებარე სოფელ ბაბეს სამიკიტნოში. ჭამით კვერცხიან და ნაღებიან კვერებსა ვჭამდით და იოგურტს ვაყოლებდით. შორიახლო კატა მზეს ეფიცხებოდა. ის ერთ-ერთი ის კატა იყო, ნადავლს არა მარტო წინა, უკანა თათებითაც რომ იჭერს. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ დროდადრო ის ბაღის მესერთან მდგარ თელასთან მიდიოდა და ზედ უკანა თათების ბრჭყალებს ილესავდა.

საუზმობისას, ჩვეულებისამებრ, ერთმანეთს ჩვენ-ჩვენს სიზმრებს ვუყვებოდით ხოლმე. უკანასკნელ ხანს ასეთი რამ სულ უფრო იშვიათად ხდებოდა, რადგან ახლა მხოლოდ გარკვეული ხასიათის სიზმრები გვაგულისყურებდა, ამ ხასიათის სიზმრებს კი არცთუ ხშირად ვნახულობდით. დანარჩენზე ვდუმდით და მალე ვივიწყებდით. იმ დილით ლიზამ მითხრა:

— რა დაგესიზმრა წუხელ?

— რაღაც-რაღაცები მესიზმრა, ჩემს სხეულზე.

— შენს სხეულზე? მერედა, როგორი იყო?

— წუხელ მესიზმრა, რომ ქალი ვიყავი. სიზმარში ჩემს ცოლად ვიქეცი, ანუ შენში განვსხეულდი.

— ჩემში განსხეულდი? — გაკვირვებისაგან სუნთქვა შეეკრა ლიზას.

— ჰო, შენში. რაც სიზმარში ვნახე, ჩვენს საძინებელში ხდებოდა. თავდაპირველად ვისიყვარულეთ, მერმე დავიძინეთ. მერმე ვიღაცის ხმამაღალმა სუნთქვამ გამომაღვიძა. სადაც ჩვეულებრივ ვწევარ ხოლმე, იმ მხარეს ვიწექი, ოღონდ შენში განსხეულებული ვიყავი და გადავწყვიტე, რომ ეს შენი ქმარი, ანუ მე ვსუნთქავდი აგრე ღრმად და ხმაურიანად. ვიფიქრე, ბალიშს გავუსწორებ-მეთქი, და, ჩემდა შესაზარად, აღმოვაჩინე, რომ ლოგინში, ჩემ გარდა, არავინ სხვა არა ჩანდა. თუმცაღა საწოლის მეორე ნახევარი ცარიელი იყო, მაგრამ ოთახში ცხადად ისმოდა სუნთქვა და რაღაც შრიალი, და კიდევ უფრო საზარელი ის იყო, რომ ეს მძიმე სუნთქვა თუ ქშენა საიდანღაც ზემოდან ისმოდა (ჩვენი საძინებლის ჭერი სიმაღლით სამნახევარი მეტრი მაინც იქნებოდა), თითქოს საწოლზე ვიღაც ფეხზე დგომელა ხვრინავდა, მერმე ეს ხვრინვის ხმა იქვე, სიმაღლეზევე, ამოძრავდა, გადავიდ-გადმოვიდა. ჯერეთ, დიაგონალურად საწოლის თავზე გამავალი, წამიერად მეც გადამევლო, მერმე კიდევ განაგრძო გზა, სანამ ოთახის კუთხეში არ შეჩერდა, სადაც შენი ელექტრონული პიანინო „ჟამაჰა“ დგას, იმის თავზე. საშინელ შიშსა ვგრძნობდი, თუმცა ეს შიში ჩემი კი არა, შენი, მდედრული შიში იყო. გემო ხანგრძლივი ჰქონდა, ჩემთვის სრულიად უცნობი. და უცებ ეს უცხო თუ უცნობი რამ სხეული, რომლის ყოფნაც ოთახის კუთხეში ისმოდა, ზედ მომედო. მერმე სუნთქვა-სუნთქვით მხარზე შემეხო, და იმ ადგილას წამსვე ნათელი დამადგა. ცივი და ნაზი ნათელი. ჩემი გაკვირვება შიშის ზარზე ბევრად ძლიერი იყო. შეხების ზედაპირი თანდათან გადიდდა, ნათელი ჩემი მხრის გასწვრივ გაიშალა. ამ ნათელში იმის დანახვა ვცადე, ვინ ან რა სუნთქავდა ჩვენს ოთახში, მაგრამ მრუმე ნათელში, როგორც გამჭვირვალე წყლის ნაკადში, მხოლოდ სარკმელს რასმე მოვკარი თვალი...

— სულ ეგ არის? — მკითხა ლიზამ.

— არა, კიდევ იყო რაღაც, იქნებ მნიშვნელოვანი რამეც მოხდა, მაგრამ დამავიწყდა. ვეცადე, რომ რაც შეიძლება მალე გამოვფხიზლებულიყავი, რათა თუნდაც ცოტა რამ მაინც დამეხსომებინა.

* * *

**ერთხელ** დილით ლიზამაც მიამბო უცნაურად მხრიანი სიზმარი. უცნაური არა თავისი შინაარსით, არამედ თავისი მომასწავებლობით.

ლიზას დასიზმრებოდა, რომ ბარძაყებზე კაპილარები დასკდომოდა. გამოღვიძებულმა მკითხა, ფეხებზე კაპილარები მართლა დამსკდარი ხომ არა მაქვსო. ტყუილი რატომ უნდა მეთქვა, როცა იმის შიშის საფუძველი არ ჰქონდა, და პატიოსნად ვუპასუხე, შენ იმ იშვიათ ქალთ ეკუთვნი, ვისაც შენს ასაკში ეგ პრობლემა არ აწუხებს-მეთქი.



— მაშ, აბა, რას უნდა ნიშნავდეს ეს სიზმარი? — იკითხა.

— მგონი, ავად გახდები.

— რა მომივა? გული შემიტევს? — კითხვას კითხვა მოაყოლა მან.

დრომ გვიჩვენა, რომ გვეშლებოდა. ის კი არა, ავად მე გავხდი. და პრობლემა კაპილარებში არ ყოფილა. გულში იყო. იმისი სიზმრისეული ავადობა ცხადლივ ჩემი ავადმყოფობის მაუწყებელი გახდა. ხოლო ცხადლივ ჩემი ავადმყოფობა ჩემი სიკვდილის მომასწავებელი შეიქნა...

— მე ქმარი ვხდები, შენ კი ცოლი, — მითხრა ლიზამ. — ვითომ სხვათაც ემართებათ მსგავსი რამ? მახსოვს, ბავშვობაში ძალიან მეშინოდა დამალობანას თამაში.

— რატომ?

— მეშინოდა, ისე არ დავმალულიყავი, რომ მერე ვაითუ ველარასოდეს ვერ ვეპოვე. და არ ვიცოდი,თუ ვერ მიპოვიდნენ, რა მოხდებოდა, სად დავრჩებოდი. იქნებ სულ სხვა ვინმეც გავმხდარიყავი იმათ თვალში, ვინც დამეძებდა, და სულ სხვა ვინმე ჩემს საკუთარ თვალში. რაღაც ამისდამაგვარი რამ აზრი მიტრიალებდა ხოლმე თავში...

რაკიღა თავს ვიცავდით შიშისგან, სხვა ადამიანებად გადაქცევისგან, ბინისგან და იქ დაბუდებული ავი ენერგიისგან, ვიდექით და ჩვენი საწოლი ხან რომელ ოთახში გაგვქონდა, ხან რომელში. დამშვიდებით მხოლოდ იმის შემდეგ დავმშვიდდით, რაც საწოლი ისე დავდგით, რომ იქიდან თუ იმ მხარეს გავიხედავდით, სადაც ფეხები გვეწყო, და გონებაში წარმოდგენილ ხაზს გავაგრძელებდით, ის ხაზი გადაკვეთდა დუნაის, რომელიც, როგორც ცნობილია, სამოთხიდან, ანუ მარადიულობიდან მოედინება.

გარდა ამისა, დავიწყეთ სუნთქვის ხელახლა სწავლა. ჩემს სიცოცხლეში სუნთქვა მეორედ ერთმა ფიზიოთერაპევტმა მასწავლა მძიმე ოპერაციის შემდგომ. ის ყოველ დილით მოდიოდა ჩემს საავადმყოფოს პალატაში და სუნთქვაში მავარჯიშებდა. ზოგიერთი ვარჯიში დავიხსომე, ლიზასაც შევასწავლე, და შინ დილაობით ხშირად გავდიოდით აივანზე სუნთქვაში სავარჯიშოდ და დიდი მიხვედრა არ იყო საჭირო, რომ ამგვარ სუნთქვა-ვარჯიშობაში მთელი ასოტანი მონაწილეობდა. ოღონდ ამ ვარჯიშობისთვის არასოდეს მკაცრად არ ვსაზღვრავდით დროს. ხან აივანსაც ვიცვლიდით, კოსმაის ძირას სოფელ ბაბეში ჩემს სახლში გადავდიოდით.

გადმოაენა
**ზურამ ზოზიაშვილმა**

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 100-115.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



*რუსეთი აგრძელებს უსაფრთხოების განმტკიცებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში და რეგიონის რეაბილიტაციას, რომელიც დაზარალდა საომარ მოქმედებათა შედეგად. მოსკოვის მოქმედებანი იწვევენ დასავლეთის ქვეყნების კრიტიკას, რომ არაფერი ვთქვათ თბილისის შესახებ. კონფლიქტის ზონაში სიტუაციისა და მოვლენათა შესაძლო განვითარების ვარიანტების შესახებ „უტროს“ კორესპონდენტს ესაუბრება რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის უფროსი ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე, სამხედრო საკითხებისა და უშიშროების პრობლემების ექსპერტი ვალერი მალახოვი.*



**— რატომ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ასე მკვეთრად რეაგირებს რუსეთის მოქმედებებზე აფხაზეთთან დაკავშირებით?**

— ამერიკის შეერთებული შტატების მიზანია შეინარჩუნოს ჩვენი საზღვრების მახლობლად დაძაბულობის კერები, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მათი დახმარებაც საქართველოსადმი და თბილისის სწრაფვა ნატოსაკენ. ამავე დროს ჩვენ ვაღიარებთ სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობას და გვესმის, რომ აფხაზებს, როგორც ეთნოსს, არაფერი აქვთ საერთო ქართველებთან. სახელმწიფოებრიობა აფხაზეთს ჰქონდა უფრო ადრეც, ვიდრე საქართველოს. 90-იან წლებში ჩვენ უზრუნველვყავით აფხაზეთის ყველა მოქალაქე რუსული პასპორტებით, მათი თხოვნის შესაბამისად. და დღეს ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რათა რესპუბლიკაში შენარჩუნებული იქნეს ჯანსაღი ვითარება.

**— თბილისში ამას უწოდებენ „აგრესიას“ და „ანექსიას“.**

— როგორც კი აფხაზეთში შევიდნენ ადამიანები ნიჩბებითა და წერაქვებით, ინჟინრებმა კი დაიწყეს დაზიანებული და დანგრეული სარკინიგზო ლიანდაგებისა და ხიდების გამოკვლევა, საქართველოს ხელმძღვანელობამ ატეხა ხმაური შეიარაღებულ შეჭრაზე. მაგრამ შეჭრაზე შეიძლება იყოს საუბარი, თუ ამ ჯარებს თავადაც სჭირდებათ დახმარება და დაცვა? რკინიგზის აღდგენა — ესაა გეგმიური გადაწყვეტა საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია ოლიმპიური ობიექტების მშენებლობასთან.

საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის საკითხი არასოდეს განუხილია რუსეთის მხარეს. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზების უმეტესობა ცხოვრობს რუსული დოკუმენტებით, ურთიერთობათა და პიროვნულ დამოკიდებულებათა გათვალისწინებით, აგრეთვე სასაზღვრო თანამშრომლობის შესაბამისად, ჩვენ ვეხმარებით აფხაზ ხალხს ჰუმანიტარულად. ეს არაა კონსერვის ყუთები, ესაა სეზონური ბოსტნეულისა და ხილის შესყიდვა, მათთვის კრასნოდარის მხარის სამხრეთით მუშაობის შესაძლებლობის მინიჭება.

**— საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის მეთაური გივი თარგამაძე გვპირდებოდა, რომ „საქართველო რუსეთთან იბრძოლებს ბოლომდე“...**

— მიმაჩნია, რომ კონფლიქტის გაჩაღების შესაძლებლობანი მეტად გადაჭარბებულია. როდესაც ვეცნობი ზოგიერთ პუბლიკაციას, აღვნიშნავ ხოლმე, რომ ჟურნალისტების ნაწილი ომს გვაწვდიან როგორც სააკაშვილის ლამის საჩუქარს და მისი წარმომადგენლებიც არაერთგზის გვიჩვენებდნენ, რომ მზად არიან წავიდნენ აფხაზეთთან ურთიერთობის მოლაპარაკებაზე. რუსეთის ხელმძღვანელობაც ახდენს იგივეს დემონსტრაციას. შარშან, როდესაც მე ვიყავი რუსეთის დელეგაციის შემადგენლობაში და ვეწვიეთ თბილისს, საქართველოს ხელმძღვანელობამ სთხოვა ევგენი პრიმაკოვს დახმარებოდა მას ემბარგოს მოხსნაში ქართული ღვინოების მიწოდების დროს. ევგენი მაქსიმოვიჩმა პირობა მისცა, რომ გაუწევდა დახმარებას ამ საკითხში, შემდეგ იგი არწმუნებდა ხელისუფლებას ამ პრობლემის მოწესრიგების აუცილებლობაში. თუმცა მისი მონაწილეობის გარეშე აღდგა მოსკოვსა და თბილისს შორის საჰაერო მიმოსვლა. მაგრამ ყოველთვის, როდესაც ჩვენი ურთიერთობა მიდის აღმავლობის გზით, უსათუოდ აღმოჩნდება ხოლმე მრავალი საბაბი, რომლებიც აფერხებენ წინათ მიღებულ ხელშეკრულებებს. ასეა ამჯერადაც — სარკინიგზო ჯარების შეყვანა გზებისა და ხიდების აღდგენისათვის გახდა ისტერიული ყვირილის საბაბი, რაც მოწმობს, რომ საქართველოში ელოდებიან ნებისმიერ საბაბს, რომ გაუარესდეს ურთიერთობა. სწორედ აქედან ვაკეთებ დასკვნას: საქართელოს ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს დაძაბულობა რუსეთთან ურთიერთობაში, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი მზად არ არის რეალური საბრძოლო მოქმედებებისათვის.

**— რას ემყარება ასეთი რწმენა?**

— ღია წყაროებიდანაც გამიგია, რომ ამერიკელებმა და ნატომ არჩევანი გააკეთეს საქართველოს ელიტური ქვედანაყოფების მომზადებაზე. უწინარეს ყოვლისა, ესაა ძალები, რომლებიც შეესაბამება ჩვენს დაცვის ფედერალურ სამსახურს და რომლებიც იცავენ საქართველოს ხელმძღვანელობას. ესაა პოლიციური ძალების ნაწილი, რომელიც დისლოცირებულია თბილისში, მაგრამ დღეს საქართველოს შიგნით ვითარება მეტად არაკეთილსასურველია. და ამიტომაც სააკაშვილი ვერ გარისკავს ჩართოს საომარ მოქმედებაში ეს კარგად შეიარაღებული და მომზადებული ნაწილები. დანარჩენი ქართული არმია კი 21 საუკუნის არმიის რაღაც საცოდავი მიმბაძველობაა. რაც შეეხება აფხაზეთის სამხედრო ფორმირებებს, ისინი სულიერად ძლიერები არიან, ვინაიდან ამ ქვედანაყოფებმა, თუნდაც უფრო უარესად შეიარაღებულებმა და მცირერიცხოვნებმა აჩვენეს, რომ როდესაც მეომრები იცავენ თავიანთ სახლს, მათი ძალები ათმაგდება.

**— და მაინც, თუ იქნება ომი, როგორ უნდა მოიქცეს რუსეთი?**

— აფხაზეთთან დაკავშირებით რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებათა შესასრულებლად ჩვენ გვაქვს უფლება სამშვიდობო ძალების კონტინგენტის გარკვეული ოდენობით გაძლიერების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი თავი თუმცა, არავითარი სამხედრო მოქმედებანი, მით უმეტეს საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვენთან არასოდეს დაგეგმილა და არც დაიგეგმება.

მიმაჩნია, რომ შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება გაჩნდეს კოდორის ხეობაში, სადაც დაძაბულობა აფხაზეთსა და საქართველოს შორის ყველაზე ძლიერია. მაშინ შესაძლებელია სამხედრო მოქმედებანი საქართველოს ნაწილებსა და იმ აფხაზების ფორმირებებს შორის, რომლებიც დაიცავენ თავიანთ სახლებს.

**— შარშან აფხაზეთში, ქართველმა დივერსანტებმა მხეცურად მოკლეს რუსეთის ორი სამხედრო ინსტრუქტორი. რატომ არ მიიღო ამ ფაქტმა ფართო გახმაურება?**

— ეს შემთხვევა გამოკვლეული იქნა, მაგრამ იმის სურვილით, რომ არ გაგვეღვივებინა რუსეთში ანტიქართული განწყობილება, ამ პროვოკაციას არ მივეცით ფართოდ გავრცელების საშუალება.

მიმაჩნია, რომ რუსეთი ძალიან სუსტად ამოქმედებს ქართული დიასპორის პოტენციალს. ცნობილი შემოქმედებითი მუშაკები, ბიზნესმენები აქტიურად უნდა მოქმედებდნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის. თორემ გამოდის ისე, რომ საზღვარზე ხდება ასეთი მხეცობა, რუსეთში მცხოვრები ქართველები კი გაჩუმებული არიან, თითქოს ეს მათ სულაც არ შეეხება.

**— თუ შეუძლია რუსეთს „ჩააბაროს“ აფხაზეთი, და სადამდე მიგვიყვანს ეს?**

— რუსეთის მიერ ჩრდილოეთი კავკასიის დაკარგვის საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს. მაგრამ, როგორც რეალური პრობლემა, რუსეთის ხელმძღვანელობის ძალისხმევით უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, გადაიწია იქით. კავკასიაში სიტუაციების განვითარების შესაძლო პერსპექტივებზე საუბრის დროს კარგად უნდა გვესმოდეს, რომ კოსოვოს პრეცედენტმა ადამიანების შეგნებაში შექმნა უღიარებელი რესპუბლიკების მიერ გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის შესაძლებლობის სახე. მიმაჩნია, რომ ჯერ მოხდება ამ რესპუბლიკების მიერ სუვერენიტეტის მოპოვება, რამდენიმე ხნის შემდეგ კი აქტუალური გახდება საკითხი რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. ვფიქრობ, რომ ჩვენ არ უნდა დავაჩქაროთ ეს პროცესი. საქართველოსაგან აფხაზეთის რეალური გამოყოფის შემთხვევაში ჩვენ წავალთ მის აღიარებაზე.

**— განა აფხაზეთი რეალურად არ არის გამოყოფილი საქართველოსაგან?**

— საქმე ისაა, რომ საქართველოს პოლიტიკურ ხაზს დღეს ხელს უშლის არა მხოლოდ პრობლემები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. კონფლიქტური სიტუაცია ამ ორ ეროვნულ წარმონაქმნში გავლენას ახდენს შინაგან ვითარებაზე. ქვეყნები, რომლებიც ესაზღვრებიან საქართველოს, არ ჩქარობენ დააბანდონ სახსრები, აღადგინონ ოდესღაც მოქმედი საწარმოები. თავად საქართველოშიც სიტუაცია მძიმეა. ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს, გაიგებს, რომ სააკაშვილის ფორმულა მიამბოხე ტერიტორიების დამორჩილების შესახებ 2013 წლისათვის განუხორციელებადია. დაბრუნების წერტილი დიდი ხანია გავლილია.

**იური კოტიონოკი**

Утро.ru



# „აფხაზეთში ომის ალბათობა მეტად გადაჭარბებულია“

# ევროკავშირს განზრახული აქვს დაიცვას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა

**ხანტა-მანსიისკის სამიტზე რუსეთის მხარესთან რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის განხილვის დროს ევროკავშირის წარმომადგენლებს განზრახული აქვთ დაიცვან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, იტყობინება რეიტერის სააგენტო.**

რუსეთის ფედერაციისა და ევროკავშირის სამიტი გაიმართება 26-27 ივნისს.

„ჩვენ მკაცრად დავიცავთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“, — აცნობეს სააგენტოს ევროკავშირის ხელმძღვანელობაში.

„ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ რუსეთი მოქმედებს კონსტრუქციულად, კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით“, — დაუმატა მან.

უფრო ადრე, ორშაბათს ევროკავშირთან რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა ვლადიმერ ჩიჟოვმა გვაცნობა, რომ რუსეთი მზადაა განიხილოს ევროკავშირის წარმომადგენლებთან საქართველოსთან დაკავშირებული სიტუაცია. რუსმა



დიპლომატმა გამოთქვა აზრი, რომ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჰავიერ სოლანამ იმოგზაურა საქართველოში. ამ ვიზიტის გეგმაში ჩართული იყო აფხაზეთის მონახულებაც, რაც დაეხმარება ევროპის მხარეს გაიგოს, თუ რა ხდება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში.

ელჩმა, როდესაც რუსეთის ფედერაციისა და ევროკავშირის სამიტის საერთაშორისო დღის წესრიგზე ლაპარაკობდა, აღნიშნა, რომ გარდა „გაყინული კონფლიქტების“ პრობლემატიკის განხილვისა, მისი მონაწილეები ისაუბრებენ აგრეთვე სიტუაციის შესახებ ახლო აღმოსავლეთში, ავღანეთსა და დასავლეთი ბალკანეთის რეგიონში, მათ შორის კოსოვოს პრობლემატიკაზეც.

Агентство международной информации НОВОСТИ

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სამხრეთ ოსეთში ევროკავშირის დელეგაციის ვიზიტი შეწყდა

**სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ შეაჩერა რესპუბლიკაში ევროკავშირის ქვეყნების საქართველოს საელჩოებში აკრედიტებული ელჩების დელეგაციის ყოფნა იმის გამო, რომ ეს დელეგაცია შეხვდა პროქართული „დროებითი ადმინისტრაციის“ ხელმძღვანელს დიმიტრი სანაკოევს. ამის შესახებ საუბარია შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის ნაწილის განცხადებაში რომელშიც აღნიშნულია:** დიპლომატების დარწმუნების საპირისპიროდ, რომ იმოძრავებდნენ სამხრეთ ოსეთის მხარესთან შეთანხმებული პროგრამით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ელჩები მაინც შეხვდნენ სოფელ ქურთაში დიმიტრი სანაკოევს. „მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, უკანა გზაზე სოფელ სვერიდან, სადაც დელეგაცია ათვალიერებდა ობიექტს, რომელიც შენდება საერთაშორისო დონორული პროგრამის ფარგლებში, სტუმრებმა დაათვალიერეს სოფელი ქურთა, სადაც შედგა მათი შეხვედრა სანაკოევთან“, – ნათქვამია განცხადებაში. ამასთან დაკავშირებით, სამხრეთ ოსეთის მხარე იძულებული გახდა შეეჩერებინა ელჩების შემდგომი ყოფნის პროგრამა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. „შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის ნაწილი აცხადებს შემდეგს: დღემდე საერთაშორისო დონორული პროგრამის პოლიტიზირების მცდელობას აწარმოებდა მხოლოდ ქართული მხარე, რის შედეგადაც მკვეთრად შენელდა მასთან ადრე შეთანხმებული და დამტკიცებული პროექტების განხორციელების ტემპები. მაგრამ მომხდარი საშუალებას გვაძლევს, ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ ვინ დგას ამის უკან“, – ხაზგასმულია განცხადებაში. შერეულ საკონტროლო კომისიაში აღნიშნეს, რომ სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციას არავითარი ურთიერთობა არ გააჩნია საერთაშორისო დონორის პროგრამასთან და მის რეალიზაციასთან, სამხრეთ ოსეთი ელჩების შეხვედრას სანაკოევთან განიხილავენ, როგორც „წინასწარ დაგეგმილ კონტრპროდუქტიულ, პროვოკაციულ მცდელობად – მიანიჭონ გარკვეული პოლიტიკური წონა და შეხედულება „დროებითი ადმინისტრაციის“ რესპექტაბელურობას, დაუკავშირონ გამოკვეთილად ეკონომიკური პროგრამის რეალიზაცია პოლიტიკურ საკითხებს, რაც ეწინააღმდეგება ადრე ხელმოწერილ შეთანხმებას შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში, მათ შორის დონორულ პროგრამასთან დაკავშირებითაც, აგრეთვე ადრე მიღწეულ შეთანხმებებს, რომლებიც შეეხებოდა ევროკავშირის ქვეყნების ელჩების დღევანდელ ვიზიტს სამხრეთ ოსეთში“. „ელჩების ასეთი მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგება დიპლომატიურ პროტოკოლს, რასაც დეკლარირებას უწევდა ევროკავშირი საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხთან დაკავშირებით. სამხრეთ ოსეთის მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო მოქმედებას ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში მთლიანად და საერთაშორისო დონორული პროგრამის რეალიზაციის საქმეში და გამოთქვამს რწმენას, რომ მიიღებს განმარტებას ამ ფაქტთან დაკავშირებით“.

შეგახსენებთ, რომ 23 ივნისს სამხრეთ ოსეთში იმყოფებოდა საქართველოში აკრედიტებული ელჩების დელეგაცია, რომელიც მიზნად ისახავდა გაცნობოდა საერთაშორისო დონორული პროგრამის რეალიზაციის მსვლელობას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის დარგში.

REGNUM

დედამიწის ზურგზე

## მეცნიერებმა ტროას ომიდან ოდისევსის სამშობლოში დაბრუნების ზუსტი თარიღი აღმოაჩინეს

**აშშ ეროვნული აკადემიის მეცნიერები აცხადებენ, რომ შეძლეს განესაზღვრათ ნახევრადისტორიული, ნახევრადმითოლოგიური მოვლენის – ძველბერძნული ლეგენდარული გმირის ოდისევსის ტროას ომიდან მშობლიურ იტაკაში დაბრუნების ზუსტი თარიღი. ეს მოხდა ქრისტეს შობამდე 1178 წლის 16 აპრილს, იტყობინება რეიტერის სააგენტო.**

თარიღის დადგენაში მათ დაეხმარათ ციური სხეულების განლაგების განმსაზღვრელი გასაღები, რაც სჩანს ჰომეროსის პოემის „ოდისეის“ ტექსტიდან – ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებისა, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი იტაკის მეფის ხეტიალი და მისი დაბრუნება სამშობლოში. გადმოცემის თანახმად, იქ ოდისევსმა მოაწყო „საქმროთა ცემა“, რომლებიც აიძულებდნენ მის ცოლს პენელოპას მისთხოვებოდა ერთ-ერთ მათგანს, რითაც ფაქტობრივად მთავრდება პოემა.

დავები იმის შესახებ, თუ რამდენად რეალურად ასახავს ჰომეროსის ნაწარმოები ისტორიას, არ წყდება დღემდე. მაგრამ მეცნიერები ნიუ-იორკიდან მარსელო მაგნასკო და არგენტინიდან კონსტანტინო ვაიკაუზისი, მიუხედავად თავიანთი აღმოჩენისა, პრეტენზიას არ აცხადებენ აღწერილის სიმართლის დადასტურებაზე. მაგნასკოს სიტყვებით, მათი გამოკვლევა უფრო მეტად ადასტურებს არა ჰომეროსის ტექსტების სინამდვილეს, არამედ იმას, რომ ავტორმა იცოდა იმ ასტრონომიული მოვლენების შესახებ, რაც ხდებოდა დიდი ხნით ადრე მის დრომდე, რომელშიც თავად ცხოვრობდა (დაახლოებით XII-XVII საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

ამოცანის ამოხსნის გასაღები, რის შესახებაც მიმდინარეობს საუბარი, არის ჰომეროსის ტექსტში მრავალჯერ ნახსენები ცის სხეულების მდგომარეობა იმ მომენტში, როცა ხდებოდა ესა თუ ის მოვლენა. განსაკუთრებით მზის სრული დაბნელება. იგი, „ოდისეის“ თანახმად მოხდა „საქმროების ცემის“ დღეს. ამავე დროს ავტორი არაერთგზის მიუთითებს, რომ იყო ახალი მთვარის დრო, ეს კი არის სრული დაბნელების აუცილებელი ნიშანი.

სხვა „საკარნახოების“ გარდა ნახსენებია ვენერის ხილვადობა და მდებარეობა ექვსი დღით ადრე, პლეიადისა და ვოლოპასის თანავარსკვლავების კულმინაციამდე – 29 დღით ადრე, მერკურისა – 33 დღით ადრე. ეს ყველაფერი მითითებულია ტექსტში.

მეცნიერები შეგვახსენებენ, რომ მეზღვაურები ორიენტაციას იღებდნენ ცის სხეულებზე და ერთადერთი კალენდარი იმ დროს იყო ვარსკვლავებიანი ზეცა.

## „ვაშინგტონ პოსტის“ სახელოვანი მთავარი რედაქტორი მიდის

**ამერიკული გაზეთის „ვაშინგტონ პოსტის“ მთავარი რედაქტორი ლეონარდ „ლენ“ დაუნ-უმცროსი ორშაბათს გადადგება პოსტიდან, რომელიც მას უკავია უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში. როგორც იტყობინებიან, მისი წასვლა მოულოდნელი არაა: 66 წლის დაუნი თავისი გეგმის მიხედვით ასრულებს კარიერას მას შემდეგ, რაც გაზეთმა მისი ხელმძღვანელობით მიიღო მთელი რიგი პრესტიჟული ჯილდოები.**

თავად დაუნი თავის წასვლას ხსნის იმით, რომ ადგილს უთმობს უფრო ახალგაზრდა კაცს, რომელიც უფრო აქტიურად ააგებს ჟურნალისტიკის ახალ მოდელს, გააგრძელებს ვებ-საიტების განვითარებას და უფრო მეტად შეესაბამება რედაქტორის პოსტს.

დაუნი მოვიდა გაზეთში 1964 წელს და მალე გაითქვა სახელი როგორც ჟურნალისტმა-მკვლევარმა, აგრეთვე „უოტერგეიტის საქმეზე“ მასალების უდიდესი ნაწილის რედაქტორმა.

1979 წელს მან მიიღო ლონდონის კორესპონდენტის წოდება. 1982 წელს კი დაბრუნდა ვაშინგტონში, როგორც ეროვნული რედაქტორი, შემდეგ გახდა წამყვანი რედაქტორი და, 1991 წელს – სახელგანთქმული გაზეთის მთავარი რედაქტორი. ამ პოსტზე მან შეცვალა ბენ ბრედლი. დაუნის შეფობის დროს გაზეთმა მიიღო 25 პულიცერის პრემია – ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ისტორიაში ერთი რედაქტორის რეკორდული ოდენობა. მხოლოდ მიმდინარე წელს გაზეთმა ექვსჯერ მიიღო „პულიცერი“.

მის დროს გაზეთი დროულად გადაერთო ახალ ციფრობრივ ფორმატზე – საიტზე, გადაიქცა ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს საცნობარო რესურსად.

„ლენის განსაკუთრებული ჟურნალისტური პრინციპულობა, სიმართლის დაუნდობელი გრძნობა, კოლეგებთან და მასალებზე მუშაობის დროს უმაღლესი პატიოსნება, მაღალი ეთიკურობა გახდა მთავარი პიროვნება თავისი დროის უდიდესი რედაქტორისათვის“, – აღნიშნავს „ვაშინგტონ პოსტის“ აღმასრულებელი დირექტორი დონალდ გრეჰი.

ინტერვიუში დაუნიმ აღნიშნა, რომ დარჩება კომპანია „ვაშინგტონ პოსტის“ ვიცე პრეზიდენტის პოსტზე, თუმცა არ ექნება ყოველდღიური ურთიერთობა გაზეთთან მუშაობაში 2008 წლის 8 სექტემბრიდან, როდესაც ოფიციალურად დატოვებს თავის პოსტს. დაუნი ფიქრობს, რომ უფრო მეტ დროს დაუთმობს მწერლურ მოღვაწეობას და იურიდიულ ჟურნალისტიკას. იანვარში გამოვიდა მისი პირველი რომანი „თამაშის წესები“.

## აზერბაიჯანი ნატოში შესვლას არ ჩქარობს

**ამის შესახებ ჟურნალისტებს აცნობა რესპუბლიკაში ალიანსის წარმომადგენელმა ქემილ ჰასიევმა. განცხადება გაკეთდა ბაქოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ენ დერსის განცხადების პასუხად, რომ აზერბაიჯანის ნატოში შესვლის შესაძლებლობის საკითხი გახდება ერთ-ერთი თემა აზერბაიჯანისა და ამერიკის მოლაპარაკებებისა, რომელიც ივლისში გაიმართება და რომელზეც „განხილული იქნება საკითხების ფართო წრე, მათ შორის უშიშროების სფეროს და ნატოში შესვლის შესახებ“ –** განაცხადა დერსიმ.



საპასუხო ცნობაში ამერიკის ელჩის პასუხად აზერბაიჯანის წარმომადგენელმა შენიშნა, რომ „თანამშრომლობა აზერბაიჯანსა და ნატოს შორის წარმატებით ვითარდება“. „დრო გვიჩვენებს“, – აღნიშნა მან.

როდესაც შეეხებოდა აზერბაიჯანში რეფერენდუმის მოწყობის შესაძლებლობას ქვეყნის ნატოში შესვლასთან დაკავშირებით, როგორც ეს მოხდა საქართველოში, ჰასიევმა თქვა, რომ „აზერბაიჯანი – სუვერენული ქვეყანაა და ნატოსთან ურთიერთობის განვითარებაში ჩვენ არავისზე არ ვღებულობთ ორიენტაციას“.

ამ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და აზერბაიჯანს შორის ბევრი უთანხმოებაა, განსაკუთრებით განიარაღებისა და ყარაბახის კონფლიქტის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ნატოს წესდება კრძალავს ალიანსში იმ ქვეყნების მიღებას, რომლებსაც აქვთ რაიმე გადაუწყვეტელი ტერიტორიული საკითხი მეზობლებთან.

უფრო ადრე ამერიკის შეერთებული შტატების მდივნის მოადგილემ დენიელ ფრიდმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანმა უარი უნდა თქვას სამხედრო რიტორიკაზე ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტაში, ვინაიდან საბრძოლო მოქმედებათა განახლებას რეგიონში შეიძლება მოჰყვეს დამღუპველი შედეგები ყველა მხარისათვის.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხმა დიდად ვერ დაამშვიდა ამერიკელები.

როგორც რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების პრესმდივანმა ხაზარ იბრაგიმმა განაცხადა, თავდაცვაზე ხარჯების გაზრდა აზერბაიჯანის მთლიანი განვითარების კანონზომიერი შედეგია.

თავდაცვითი ხარჯების რეგულარული გაზრდა აზერბაიჯანის თვითმიზანი როდია, განაცხადა მან. „აზერბაიჯანი ანვითარებს არა მხოლოდ სამხედრო ძლიერებას, ვინაიდან ეს არ არის ჩვენი ქვეყნის ძირითადი მიზანი. მიმდინარეობს ყველა სფეროს ეკონომიკური, პოლიტიკური, მათ შორის სამხედრო სფეროს კომპლექსური განვითარება, – თქვა იბრაგიმოვმა ორშაბათს გამართულ ბრიფინგზე.

ამავე დროს იბრაგიმოვმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანს განზრახული აქვს გამოიყენოს თავისი ყოველმხრივი განვითარების დივიდენდები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის სასწრაფო მოწესრიგებისათვის.

„აზერბაიჯანი ზრდის ტემპებით უსწრებს რეგიონის ყველა ქვეყანას, რაც, ბუნებრივია, აისახება სხვადასხვა სფეროს განვითარებაზე, მათ შორის სამხედრო პოტენციალის განვითარებაზე. ყველა ეს ზომა მიზნად ისახავს ოკუპირებული ტერიტორიების სასწრაფო დაბრუნებას“, – აღნიშნა მან.

შარშან აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა საფარ აბიევმა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომს უწოდა ერთობ სავარაუდო.

ყარაბაღის საკითხი ხელს უშლის ამერიკა-აზერბაიჯანის ურთიერთობის განვითარებას, აგრეთვე გაეროს საქმიანობის ფარგლებში, სადაც შარშან განიხილებოდა პოსტსაბჭოთა სივრცეში „კონფლიქტების გაყინვის საკითხი“. ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის მიღებაში აზერბაიჯანს ხელს უშლის სომხური დიასპორის მიერ ყარაბაღის პრობლემის ავადმყოფური აღქმაც, ვისაც გავლენა აქვს კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში. წინა დღით გამოქვეყნებულ მოხსენებაში, რომელიც შეეხებოდა დემოკრატიის განვითარებას, აზერბაიჯანი, ისევე როგორც რუსეთი და ყაზახეთი, გააკრიტიკა ამერიკის არასამთავრობო ორგანიზაციამ „ფრიდომ ჰაუზმა“.

## მედიცინა

# გამოეთხოვეთ სათვალეს ერთხელ და სამუდამოდ!

**რეფრაქციის მანკები (ახლომხედველობა, შორსმხედველობა, ასტიგმატიზმი) და ექსიმერული ლაზერი**

**დღესდღეობით, გლობალური კომპიუტერიზაციის პირობებში ძნელად ნახავთ ადამიანს, მხედველობის პრობლემა რომ არ ჰქონდეს. 40 წლის ზევით ყოველი ათი ადამიანიდან ცხრას მხედველობის კორექცია სჭირდება რეფრაქციის ამა თუ იმ მანკის (ახლომხედველობის, შორსმხედველობის და ასტიგმატიზმის) ან პრესბიოპიის (ასაკობრივი საკითხავი სათვალის საჭიროება) გამო. საბედნიეროდ, თუ ტექნიკური პროგრესი გარკვეულწილად ხელს უწყობს მხედველობის პრობლემების განვითარებას, იგივე შეიძლება ითქვას მათი გადაჭრის საშუალებებზეც. პირველ რიგში, ეს ეხება ექსიმერლაზერულ ოპერაციებს, რომლებიც ბოლო 20 წელია განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.**

ლაზერული ოპერაცია აბსოლუტურად უსაფრთხოა როგორც თვალისთვის, ასევე მთლიანად ორგანიზმისათვის. ოპერაციის დროს ხდება თვალის გარეთა გამჭვირვალე გარსის (რქოვანას) დოზირებული დასხივება ლაზერული სხივებით წინასწარ შემუშავებული პროგრამის შესაბამისად. რქოვანა გარსის სათანადო მოდელირება საშუალებას იძლევა, შეიცვალოს მისი გარდატეხის ძალა და მხედველობის სიმახვილე იყოს ისეთივე მაღალი, როგორც იდეალურად მორგებული სათვალით ან კონტაქტური ლინზებით, რაც პაციენტს საშუალებას აძლევს, ჰქონდეს ოპტიმალური მხედველობა ყოველგვარი დამატებითი მაკორეგირებელი საშუალებების გარეშე.

მოკლედ რომ ვთქვა, **ლაზერული ოპერაცია უსაფრთხო, უმტკივნეულო, ეფექტური და ზუსტი მეთოდია!** ოპერაციის შედეგად მიღებული მხედველობა პაციენტს სიცოცხლის ბოლომდე უნარჩუნდება, რა თქმა უნდა, თუ ასაკთან ერთად სხვა სახის დაავადებამ არ იჩინა თავი.

უკვე თითქმის 10 წელია ჩვენს კლინიკაში ყოველთვიურად დაახლოებით 30-მდე ლაზერული ოპერაცია კეთდება.ამ პროცედურის ჩვენებები განისაზღვრება ინდივიდუალურად, პაციენტის წლოვანების, პროფესიის, სურვილების გათვალისწინებით. მსოფლიოში პირველად, ჩვენს კლინიკაში დაინერგა ლაზერული ოპერაციები ბავშვებში. შორსმხედველობის და ასტიგმატიზმის დროს პაციენტთა მინიმალური ასაკი 8 წელია. ამ ასაკში გაადვილებულია მათთან კონტაქტი და ზოგადი ნარკოზის აუცილებლობა მოხსნილია. აღნიშნული ოპერაცია ე.წ. „ზარმაცი თვალის“ და ზოგიერთი სახის სიელმის განვითარების პროფილაქტიკის საშუალებას იძლევა. პაციენტის ასაკს პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, მოგვმართავენ ასაკოვანი ადამიანებიც. ყველა, ვისაც სხვადასხვა მიზეზით არ შეუძლია ან არ სურს სათვალის ტარება.

პაციენტები ლაზერულ კორექციას იკეთებენ აუცილებელი სამედიცინო ჩვენებებით, კოსმეტიკური თვალსაზრისით, ასევე პროფესიული საჭიროების გამო. ეს, პირველ რიგში, ეხება საჯარისო ნაწილებში სამსახურის მსურველთ, რომელთა რიცხვი ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა. ლაზერული კორექციის შესაძლებლობები ძალზე დიდია, **მისი საშუალებით შეიძლება ადამიანი ასაკობრივი, საკითხავი სათვალისაგანაც განთავისუფლდეს.**

მიუხედავად ლაზერული ოპერაციის დაბალი საფასურისა, ევროპასა და ამერიკასთან შედარებით ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, აღნიშნული ოპერაცია ჯერ კიდევ „ფუფუნებაა“.

ამერიკული კომპანია Bausch/ & Lomb-ის ლაზერული აპარატის



მომსახურების ცენტრი ევროპაშია, საიდანაც ყოველკვარტალურად ჩამოგვყავს ინჟინერი აპარატის გეგმიური შემოწმებისა და ტექნიკური მომსახურებისათვის, ყოველი ვიზიტისა და ოპერაციისათვის ჩვენ ე.წ. სერვის-კონტრაქტით გათვალისწინებული გარკვეული თანხის გადახდა გვეკისრება, რაც ბუნებრივია, საკმაოდ ძვირია. გარდა ამისა, ყოველ ჩატარებულ პროცედურაზე კომპანიას ერიცხება გარკვეული გადასახადი.

როცა რეფრაქციის მანკის ხარისხი ძალზე მაღალია (-15.0 ან +6.0 დიოპტრიაზე მეტი), პაციენტებს სათანადო გამოკვლევის შემდეგ მხედველობის კორექციის სხვა გზას ვთავაზობთ — რქოვანას მცირე განაკვეთით თვალში ისმება მოდიფიცირებული კონტაქტური ლინზა. ეფექტი ისეთივეა, როგორც ლაზერული ოპერაციის შემდეგ — მეორე დღიდანვე მხედველობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. თვალშიდა კონტაქტური ლინზები თითოეული პაციენტისათვის ინდივიდუალურად მზადდება უცხოეთში.

წინათ სახელმწიფო სადაზღვევო ფონდი აფინანსებდა იმ პაციენტთა ოპერაციებს, ვისთვისაც ლაზერული კორექცია ან თვალშიგა ლინზის იმპლანტაცია მხედველობის აღდგენის ერთადერთი საშუალება იყო. დღეს კი, კერძო სადაზღვევო კომპანიები, რომელთა ხელშიც მოსახლეობის დაზღვევა გადავიდა, ნაკლებად ითვალისწინებენ პაციენტთა მდგომარეობას და ამით იზღუდება მოსახლეობის პროფესიული შესაძლებლობები და არჩევანი.

**კატარაქტა (ბროლის შემღვრევა) და მულტიფოკალური ხელოვნური ბროლი**

**კატარაქტა, ანუ ბროლის შემღვრევა იწვევს მხედველობის თანდათანობით და უმტკივნეულოდ დაქვეითებას სრულ სიბრმავემდე (რჩება მხოლოდ სინათლის შეგრძნება). კატარაქტის მკურნალობა ქირურგიულია და ითვალისწინებს შემღვრეული ბროლის შეცვლას გამჭვირვალე ხელოვნური ბროლით.** კატარაქტის ოპერაციის ვადის განსაზღვრა ხდება პაციენტის მხედველობის გამო შრომის უნარის დაქვეითების ხარისხის შესაბამისად. კატარაქტის ოპერაციის ორი მეთოდი არსებობს: პირველი, კატარაქტის ექსტრაქცია მყარი ხელოვნური ბროლის იმპლანტაციით — შედარებით დიდი განაკვეთით, რეაბილიტაციის ხანგრძლივი პერიოდითა და გართულებების უფრო მაღალი რისკით ხასიათდება, ეს მეთოდი უკვე მოძველდა და მას განსაკუთრებული ჩვენების ან ფინანსური მიზეზების გამო თუ მიმართავენ; მეორე — **კატარაქტის ფაკოემულსიფიკაცია კუმშვადი და მულტიფოკალური ხელოვნური ბროლის იმპლანტაციით ძალზე ეფექტიანია,** ოპერაციის შემდეგ მხედველობის მაქსიმალური აღდგენა სულ რამდენიმე დღეში ხდება და პაციენტიც უბრუნდება თავის ჩვეულ საქმიანობას. უფრო მეტიც, მულტიფოკალური ბროლის იმპლანტაციის შემდეგ პაციენტი არ საჭიროებს საკითხავ სათვალეს და მისი მხედველობა ნებისმიერ მანძილზე ერთნაირად მკაფიოა. საქართველოში ყოველწლიურად 5-6 ათასი კატარაქტის ოპერაცია კეთდება, თუმცა ამას ორჯერ მეტი პაციენტი საჭიროებს. ასეთ ოპერაციებს ხშირად სახელმწიფო აფინანსებს, თუმცა სახელმწიფო და სადაზღვევო სტრუქტურები დასაფინანსებლად სწორედ შედარებით მოძველებულ მეთოდს ირჩევენ სიიაფის გამო. ამგვარად, თავისთავად ცხადია, გამოყოფილი თანხით რაოდენობრივად უფრო მეტი ავადმყოფის დახმარებაა შესაძლებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ხდება ხარისხის უგულებელყოფა.

ჩვენი კლინიკის თანამშრომლებს დაახლოებით 4-5 ჯერ აქვს გასვლები რეგიონებში, სადაც წელიწადში მინიმუმ 300-400 ოპერაციას ვაკეთებთ. ასევე ვაკეთებთ ოპერაციებს პოლისიანი პაციენტებისათვის. ასეთი ოპერაციები მთელი საქართველოს მასშტაბით გვაქვს ჩატარებული.

**კერატოკონუსი (რქოვანას გათხელება) და „პლასტიკური რკალები“**

**კერატოკონუსი არის დაავადება, რომლის დროსაც თვალის რქოვანა გარსი თხელდება და უსწორმასწორო კონუსის ფორმას ღებულობს. ის მეტად დამახასიათებელია სუბტროპიკული განედის ქვეყნების მცხოვრებთათვის. ფიქრობენ, რომ აღნიშნული დაკავშირებულია მზის ულტრაიისფერ გამოსხივებასთან ან ეკოლოგიურ პრობლემებთან. წინათ კერატოკონუსის მკურნალობა მყარი კონტაქტური ლინზებით (დაწყებით სტადიაში) ან გამჭოლი კერატოპლასტიკით შემოიფარგლებოდა. ეს უკანასკნელი ძალზე მძიმე, არაპროგნოზირებადი, ძვირადღირებული ოპერაციაა, ამას ისიც ემატება, რომ დონორის პოვნა ძალზე ძნელია.**

ჩვენს კლინიკაში დავნერგეთ კერატოკონუსის მკურნალობის ისეთი უახლესი და ეფექტიანი მეთოდები, როგორიცაა რქოვანას ინტრასტრომალური რკალების იმპლანტაცია და რქოვანას ულტრაიისფერი დასხივება რიბოფლავინით. ჩვენ წარმატებით ვიყენებთ ამ ორი მეთოდის კომბინაციას, რაც რქოვანაზე ორი სხვადასხვა მექანიზმით ზემოქმედების საშუალებას იძლევა. კერატოკონუსის სამკურნალოდ პირველი ტიპის ოპერაციის დროს რქოვანის სისქეში ისმება პატარა რკალის ფორმის იმპლანტატი, რაც ასწორებს რქოვანის უსწორმასწორო ზედაპირს. რქოვანას დასხივებისას ცვლილებები რქოვანას სტრუქტურაში მოლეკულურ დონეზე ვითარდება, რქოვანა კარგავს ჩვეულ ელასტიურობას, ძნელად იცვლის ფორმას, ეს კი ხელს უშლის დაავადების პროგრესირებას. ეს მეთოდები ძალზე ეფექტიანია, ამიტომაც უკვე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გვიწვევენ მის შესასწავლად და დასანერგად. ამ მხრივ ჩვენ პიონერები ვართ.

**მერაბ დვალი,**
**შპს „ახალი მზერის“ გენერალური დირექტორი, პროფესორი.**

## ჩვენი ყოველდღიურობა

# მოტყუებულნი

**მარო და ბესო უძილაურები თბილისში ცხოვრობენ. ვაჟი გოჩა უცხოეთშია სამუშაოდ წასული. დრო გადის, გოჩასაგან დოლარები არ ჩანს. მშობლები ნერვიულობენ, რადგან შვილის უცხოეთში გამგზავრების თანხა ვალად აწევს ოჯახს.**

ერთ დღეს მევალეებისგან შეწუხებულმა ბესომ ცოლს მიმართა:

— თუ შენ თანახმა იქნები, სანამ გოჩა ჩამოვა, ბინა გავაქირავოთ, ჩვენ კი სოფლად დროებით მშობლებთან გადავიდეთ, ამით ვალს გავისტუმრებთ და ეკონომიურად ცოტას მაინც მოვითქვამთ სულს.

ცოლს მოეწონა ქმრის წინადადება.

ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ პურის საყიდლად ქუჩაში გამოსული მარო კარგად ჩაცმულმა, კოხტა ახალგაზრდა ქალმა გააჩერა:

— ქალბატონო, იქნებ იცით, ბინას ვინ აქირავებს.

მარო წამით დაფიქრდა და მიუგო.

— მე მაქვს ბინა გასაქირავებელი, მაგრამ ვერ გადამიწყვეტია.

— რა გადაწყვეტა უნდა, თქვენ ფული გჭირდებათ, მე ბინა, მომაქირავეთ. ძალიან მომწონს ეს უბანი.

— მოგაქირავებ, მაგრამ რომ არ გიცნობ?

— მე გახლავარ მაყვალა ხათრიშვილი, გურჯაანის რაიონიდან. ვეწევი მცირე ბიზნესს. მყავს ქალიშვილი, რომელიც წელს სკოლას ამთავრებს. მინდა, რომ ჩამოვიყვანო და მოვამზადო უმაღლესში მოსაწყობად.

მარომ მაყვალას თვალი თვალში გაუყარა:

— სახელი მაყვალა ბევრს ჰქვია საქართველოში, მაგრამ გვარი ხათრიშვილი არ გამიგონია.

— ხათრიშვილები ცოტანი ვართ, ქალბატონო. გურჯაანის რაიონში რამდენიმე კომლი ვცხოვრობთ, რომ იცოდეთ, როგორი პატივისცემით გვეპყრობიან იქაურნი, ეს იმიტომ, რომ ჩვენი გვარი ცნობილია როგორც შრომისმოყვარე, ულალატო და ხათრიანი. ალბათ, აქედან წარმოიშვა გვარი ხათრიშვილი, — ეს თქვა და გადაიკისკისა.

— რადგან ეგრეა, წამობრძანდით და ნახეთ ჩვენი ბინა.

ბინის დათვალიერებით აღტაცებულმა მაყვალამ ტაში შემოჰკრა:

— ძალიან მომეწონა. მითხარით, თვეში რამდენს მომთხოვ?

მარომ თანხა დაუსახელა, თან გააფრთხილა, რომ ბინის ქირა ყოველი თვის 25 რიცხვში უნდა გადაეხადა.

გარიგება შედგა.

მარო ყოველ თვის ბოლოს ჩადიოდა თბილისში. ბინის ქირის თანხას მიითვლიდა, ცოტა რალაცებს იყიდდა და ისევ სოფელში ბრუნდებოდა.

ერთხელ, თვის 25 რიცხვი რომ მოახლოვდა, სცადა მაყვალასთან ტელეფონით დაკავშირება, მაგრამ ყურმილი დუმდა. მარო საჩქაროდ ჩავიდა თბილისში. ნახა, რომ ბინის კარის საკეტი გამოცვლილი იყო. შეშფოთებულმა თითი ელექტროზარის ღილაკს მიაჭირა. კარი ოციოდე წლის ქალიშვილმა გაუღო.

— ააა, ეს შენ ხარ მაყვალას ქალიშვილი?

— არა, დეიდა, მაყვალას ქალიშვილი არა ვარ. მე მდგმური გახლავართ. მშობლებმა ორი წლით დამიქირავეს ეს ბინა. მაყვალა დეიდას ქმარი ჰყოლია უცხოეთში სამკურნალოდ გაგზავნილი, სასწრაფოდ დასჭირდა ფული. მაყვალამ გვთხოვა და ერთი წლის ბინის ქირა წინასწარ გადავუხადეთ...

— რას ამბობთ, გოგო, რას?! — წამოიძახა მარომ და სიმწრისგან კინაღამ ჩაიკეცა.



მარომ იმავე დღეს პოლიციაში განაცხადა მომხდარის შესახებ. **გამომძიებელმა დიდი ძებნის შემდეგ მიაგნო ერთხელ უკვე თაღლითობისთვის ნასამართლევ მაყვალა ხათრიშვილის კვალს. ქუთაისში პრესტიჟულ უბანში ოროთახიანი ბინა დაექირავებინა. ალბათ, იქაც აპირებდა თავისი ოინის გათამაშებას, მაგრამ არ დასცალდა. თბილისში „ჩამოაბრძანეს“ და პასუხისგებაში მისცეს. კანონი, ცხადია, დაუსჯელს არ დატოვებს, მაგრამ რა ეშველებათ იმ მდგმურებს, რომლებსაც მან ლარები დასცინცლა ან მაროს, რომელსაც სასამართლოს ხარჯებისთვის უამრავი ფული დასჭირდა!..**

**ბორის ჭითანავა**

## ინფორმაცია

### სურსათის უვნებლობის სამსახური ამერიკული პეპლის წინააღმდეგ ღონისძიების გატარებას იწყებს

**გუშინ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა საკარანტინო მავნებლის — ამერიკული თეთრი პეპლის პირველი თაობის წინააღმდეგ მასშტაბური ღონისძიების გატარება დაიწყო.**

ამერიკული თეთრი პეპელა დასავლეთ საქართველოს რაიონებშია გავრცელებული და პრობლემას უქმნის როგორც მწვანე ნარგავებს, ასევე მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებს.

მიმდინარე წელს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური საკუთარი ძალებით 6000-მდე ჰა ფართობზე ჩაატარებს ქიმიურ ღონისძიებას. სამსახურის მიერ წლეულს მავნებლის ძლიერი და საშუალო გავრცელების კერებში ორივე თაობაზე დაგეგმილია აბაშაში — 100, ხობში — 600, სენაკში — 200, ზუგდიდში — 1000, ფოთში — 200, ლანჩხუთში — 1500, ჩოხატაურში — 300, ხოლო ოზურგეთში 2000 ჰა ფართობის დამუშავება.

ᲮᲝ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲝ

ცურვა

# 5 მედლითა და 3 რეკორდით

**მინსკში დამთავრდა ბელარუსის ღია ჩემპიონატი ცურვაში, რომელიც პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირიც იყო. შეჯიბრებაში 2008 წლის თამაშების საგზურების მოსაპოვებლად მასპინძლებთან ერთად უკრაინის, მოლდოვის, საქართველოს, უზბეკეთისა და ესტონეთის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას ირაკლი რევიშვილი, ანა სალნიკოვა, გიორგი მთვრალაშვილი და ბესარიონ მდივანი იცავდნენ.**



– შეჯიბრებიდან ხუთი მედლითა და საქართველოს 3 რეკორდით დავბრუნდით, – მითხრა მოცურავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირინა მინჟულინამ.** – გვასახელა ირაკლი რევიშვილმა, რომელიც პეკინის ოლიმპიადაზე 200 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში „ველური ბარათით“ იასპარეზებს. მინსკში ეს დისტანცია მან ერთ წუთსა და 53, 85 წამში დაფარა, რითაც საქართველოს 20 წლის წინანდელი რეკორდი (1.54.06ძ გააუმჯობესა, თან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა.

ირაკლიმ მეორე ოქროს მედალი 400 მეტრზე დაიმსახურა. ამ მანძილის გაცურვას 3 წუთი და 59,11 წამი მოანდომა და პეკინის სალიცენზიო ნორმატივის შესრულებამდე 1,1 წამი დააკლდა, თორემ ჩინეთის დედაქალაქში ამ დისტანციაზეც მოსინჯავდა ძალებს.

რევიშვილს 1500 მეტრზე „ბრინჯაო“ ერგო. თავისი საუკეთესო შედეგი რომ ეჩვენებინა, აქაც ყველას აჯობებდა, მაგრამ მთელი ენერგია წინა ორი დისტანციის გაცურვაში ჩადო და ძალები ბოლომდე საბრძოლველად არ ეყო.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა 16 წლის გიორგი მთვრალაშვილის შედეგებმა. იგი არ შეუშინდა უფროს მეტოქეებთან პაექრობას და ორ მედალთან ერთად ახალგაზრდებში ორ რეკორდსაც გამოკრა ხელი.

გიორგიმ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში საქართველოს ახალი მიღწევით (4.41,51ძ მოიპოვა ოქროს მედალი. მართალია, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მხოლოდ „ვერცხლი“ ხვდა, თუმცა ახალგაზრდებში ქვეყნის უწინდელი საუკეთესო მაჩვენებელი 2,3 წამით გააუმჯობესა. რაც შეეხებათ სალნიკოვასა და მდივანს, მათ ურიგოდ არ უასპარეზიათ, მაგრამ კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.

**– ოლიმპიადამდე კიდევ რომელ შეჯიბრებებში გამოხვალთ?**

– 8-10 ივლისს ჩვენი მოცურავეები ძალებს თბილისის მერიის თასზე მოსინჯავენ. პეკინის თამაშებამდე მეტი ტურნირი არ გვიწევს – სალნიკოვა და რევიშვილი საოლიმპიადოდ ვაკის საცურაო აუზში მოემზადებიან.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: გიორგი მთვრალაშვილი, ირინა მინჟულინა და ირაკლი რევიშვილი.**



ფრენბურთი

# მივიდა, ნახა, გაიმარჯვა

**საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი წლეულს პირველად ჩაება ეროვნულ ჩემპიონატში.** მედლებისთვის მასთან ერთად კიდევ 6 კოლექტივი იბრძოდა. ჯგუფური ტურნირის შემდეგ გამართულ ფინალში სტუდენტებმა დაძაბულ ბრძოლაში „ცაგერს“ სძლიეს 3:2 და ჩემპიონობა მოიპოვეს. „ყაზტრანსგაზის“ ფრენბურთელებმა იოლად დაამარცხეს (3:0ძ „ბათუმი“ და მესამე ადგილი დაიკავეს.

ხსოვნა

# უშანგი ჭიჭინაძე



საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ და თბილისის ჭიდაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი სპორტული ჟურნალისტი უშანგი ჭიჭინაძე.

წავიდა ჩვენგან უაღრესად განათლებული, ფართო ერუდიციის ადამიანი, ჩინებული ინტელიგენტი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა ქართული სპორტული მოძრაობის პროპაგანდას.

ბატონი უშანგი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობას. იგი თაობათა შორის ურღვევი კავშირის მუდმივად მქადაგებელი და პრაქტიკულად განმხორციელებელი გახლდათ. ყოველთვის იძლეოდა მამაშვილობის, მიმტევებლობის, კეთილშობილების, გაჭირვებაში მხარში მდგომის სანიმუშო მაგალითს.

მსუბუქი იყოს, ბატონო უშანგი, ქართული მიწა, რომლის სიყვარული და დარდიც თან წაიყოლეთ.

განუსვენე უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა შენისა.

საზოგადოება „რაინდის“ სახელით,

ვლადიმერ კანკავა, თამაზ მაჭავარიანი, თემურ ხუბულური, ნოდარ გელიაშვილი, გურამ სალარაძე, რომან რურუა, თემურ ქურციკიძე, თემურ აფხაზავა, ესტატე გოგლიჩიძე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ჟურნალისტი

უშანგი ჭიჭინაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კიკბოქსინგი

# აყვანილია სოკ-ის კონტროლზე

**სამოცი ქვეყნის 2000-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა კიკბოქსინგში მსოფლიო თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე.** საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ ელენე ბოლაშვილი, სოფიო ქავთარაძე, ნატო ბიჭიკაშვილი, დავით ჯავახია, გიგა კორძაძე, გიორგი ჩაგელიშვილი, გიორგი გიორგობიანი, დავით ლაშქარაშვილი და თენგიზ ოქრუაშვილი.



ყველაზე უკეთ დავით ჯავახიამ (71 კგ.ძ იასპარეზა. მან ყველა ორთაბრძოლა ნოკაუტით მოიგო და ოქროს მედალიც დაიმსახურა. ასევე, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გიგა კორძაძე (75ძ, რომელმაც ოპერაციის შემდეგ პირველად მოსინჯა ძალები ტატამზე.

თითო ორთაბრძოლა დათმეს და საბოლოოდ „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ ელენე ბოლაშვილი (56ძ და სოფიო ქავთარაძე (65ძ, ხოლო ია ინასარიძე (60ძ და იოსებ დანელია (63ძ მეხუთე ადგილებზე გავიდნენ.

ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ჯავახიამ განაცხადა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სპორტის ეს სახეობები თავის კონტროლზე აიყვანა და არ არის გამორიცხული, სამომავლოდ ისინი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჩართოს.

**ნინო გაფრინდაშვილი,**
**საავიაციო უნივერსიტეტის II კურსის მაგისტრი.**

კადრი



ოლიმპიზმი

# პეკინში მასპინძლები გაიმარჯვებენ?

**ჩინეთის ერთ-ერთი მსხვილი კომპანიის გამოკითხვით, მომავალ ოლიმპიურ თამაშებში 88 მედლით საერთო გუნდურ პირველობას მასპინძლები მოიპოვებენ.** ისინი ერთი ჯილდოთი გაუსწრებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს. 79 მედლით მესამე ადგილზე გადაინაცვლებს რუსეთი, რომელიც ათენში მეორე იყო. მომდევნო ადგილებზე გავლენ: გერმანია (49 მედალიძ, ავსტრალია (41ძ, იაპონია (34ძ, საფრანგეთი (30ძ, იტალია (29ძ, დიდი ბრიტანეთი (28ძ და სამხრეთ კორეა (27ძ. ჩინელებს ამგვარი პროგნოზის საფუძველს საკუთარი მოედნის ფაქტორი აძლევთ.



### ⦿ აკადემია

# ხელმძღვანელობის ფრონტი უცვლელია

**ახლახან გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (სმეა-ის) საერთო კრება. დღის წესრიგი შედგებოდა აკადემიის პრეზიდენტის თამაზ გამყრელიძის შესავალი სიტყვის, აკადემიის 2007 წლის მუშაობის ანგარიშის, აკადემიის წესდების შესახებ და აკადემიის პრეზიდენტის ასარჩევად დროებითი დებულების შესახებ მსჯელობებისაგან.**

სანამ მუშაობას შეუდგებოდნენ, სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომითა და დუმილით სცეს პატივი შეკრებამდე რამდენიმე დღით ადრე გარდაცვლილი მეტალურგიისა და ფიზიკური ქიმიის თვალსაჩინო სპეციალისტის, აკადემიკოს გურამ გველესიანის ხსოვნას.

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის „წინასიტყვაობიდან“ რამდენიმე მომენტს გამოვყოფთ. გაისად, 2009 წელს, ჩატარდება აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა და ნამდვილ წევრთა არჩევნები: ბევრი წევრი გამოგვაკლდა ბოლო წლებში და აკადემიის რიგები უნდა შეივსოსო, რისთვისაც დაფინანსება დაგვჭირდება. ეს წევრ-კორესპონდენტთა უკანასკნელი არჩევნები იქნება, რის შემდეგაც მხოლოდ ნამდვილ წევრებს ავირჩევთ ისე, რომ მათი რიცხვი 70-ს არ გადააჭარბებს; აკადემიას დაწესებული აქვს ათეულობით სახელობითი პრემია — განსვენებული სახელოვანი აკადემიკოსების სახელობისა. 3 მათგანი — დაწესებულია 5 000 ლარის ოდენობით, დანარჩენი — 3 000 ლარის ოდენობით. ყოველწლიურად მიენიჭება და გაიცემა 10 საააკადემიო პრემია; აღვადგენთ სახელმწიფო პრემიებს მეცნიერების დარგში, აგრეთვე — მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს ისე, როგორც ეს მოიაზრებოდა საბჭოურ ხანაში; აკადემია გამოსცემს პერიოდულ ინგლისურენოვან საერთაშორისო ჟურნალს „Bulletin“ („მოამბე“), ქართული რეზიუმეებით, არ არის გამორიცხული, რომ სრულად ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) გახდეს; პარალელურად ჩვენ ვაპირებთ სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის დაარსებას, რომელშიც გადმოიცემა მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და კულტურის საკითხები.

წლიური საანგარიშო მოხსენებები, ჩვეულებრივ, ვრცელი გამოდის ხოლმე, მაგრამ აკადემიკოს ოთარ ნათიშვილს ამოცანა ეთრმა გარემოებამ გაუადვილა და შემოკლებული გამოსვლის „ნება“ მისცა: ყველა დამსწრეს დაურიგდა და გაცნობილი ჰქონდა 210-გვერდიანი წიგნი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. წლიური ანგარიში. 2007“.

აკადემიკოს ოთარ ნათიშვილის მოხსენებიდან და წიგნად გამოცემული „ანგარიშიდან“ მკითხველს ზოგიერთ ინფორმაციას მივაწვდით:

მეცნიერმა თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს ან გამოსაქვეყნებლად გადასცეს 29 მონოგრაფია, მათ შორის უცხოეთში — 4; დაიბეჭდა ან დასაბეჭდად მიღებულია 304 სამეცნიერო სტატია, მათ შორის საზღვარგარეთ — 114; მიღებულია 46 გრანტი, იმათგან უცხოეთიდან — 29; გამოგონებებზე მიღებულია 14 პატენტი; აკადემიის მეცნიერი თანამშრომლები მონაწილეობდნენ 98 სამეცნიერო ფორუმში (კონფერენციები, სიმპოზიუმები), მათ შორის 63 უცხოეთში.

სმეა-ის პრეზიდიუმმა (ახალი სახელდებით — აკადემიური საბჭომ) 2007 წელს გამართა 15 სხდომა, სადაც არაერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოხსენება მოისმინეს (მკითხველს შევახსენებთ, რომ ჩვენი მეცნიერების მთავარ შტაბში მოხსენებით გამოსვლა გამორჩევით პრესტიჟულად ითვლება). აღვნიშნოთ რამდენიმე მათგანი.

ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის ა. ბაკურაძის მოხსენებას „ფარმაკოქიმიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ მოჰყვა პრეზიდიუმის დადგენილება, რომლითაც პარლამენტს, მთავრობას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეთხოვა ქვეყანაში ამ დარგის განვითარებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებასა და გატარებაში თანადგომა.

აკადემიკოს ც. მირცხულავას, მეცნიერებათა დოქტორების გ. გავარდაშვილისა და ნ. ბეგალიშვილის მოხსენების „კლიმატის გლობალური ცვლილება სამხრეთ კავკასიაში, მისი ნეგატიური ზემოქმედება გარემოზე და ზიანის შერბილების გზების“ შემდეგ პრეზიდიუმმა თხოვნით მიმართა მთავრობას: კლიმატის გლობალური დათბობის შედეგად მოსალოდნელ უდიდეს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ ზიანზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოთო; დაავალეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სმეა-სთან ერთად შეადგინოს ქვეყანაში კლიმატის გლობალური დათბობასთან დაკავშირებული სპეციალური პროგრამა მოსალოდნელი ზარალის პროგნოზირების, აცილებისა და შერბილების მიზნით.

ასევე ცხოველი ინტერესი გამოიწვია ფიზიკა-მათამეტიკის მეცნიერებათა დოქტორის ჯ. ხუბუას მოხსენებამ „დიდ საერთაშორისო პროექტებში (ცერნისა და დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტები) ქართველი ფიზიკოსების მონაწილეობის შესახებ“.

პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს მთიანეთში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოებები, წარმოდგენილი მთიანეთის კომპლექსური კომისიისაგან. შესაბამისი წინადადებები თუ რეკომენდაციები გაეგზავნა ქვეყნის პარლამენტსა და მთავრობას (აქ შესაფერისი იქნება გახსენება, რომ კანონის მიხედვით სმეა გახლავთ საქართველოს ხელისუფლების მეცნიერული მრჩეველი — **თ. ე.)**.

შარშან საააკადემიო სახელობითი პრემიები მიენიჭათ მეცნიერებათა დოქტორებს: ა. რაზმაძის სახელობისა — შაქრო ტეტუნაშვილს; პ. ქომეთიანის სახელობისა — ზურაბ ქომეთიანს; ი. ბერიტაშვილის სახელობისა — გურამ ბექაიას, ი. თარხნიშვილის სახელობისა — მერაბ ბერაიას, პ. მელიქიშვილის სახელობისა — ავთანდილ მიქაძეს, მეცნიერებათა კანდიდატებს ირმა მიქაძესა და მიხეილ ჟღენტს.

2007 წელს სმეა არაერთ საერთაშორისო ღონისძიებაზე წარმოადგინა მისმა პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ. ასეთი იყო, მაგალითად, აშშ-ის ეროვნული აკადემიის ყოველწლიური შეხვედრა (ვაშინგტონი), ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის სხდომა (ვენა), ევროპის აკადემიათა ფედერაციის მე-19 საერთაშორისო ყოველწლიური კონფერენცია (ტოლედო, ესპანეთი), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება (მოსკოვი) და სხვა. აქვე აღვნიშნეთ, რომ შარშანვე ბატონი თამაზი არჩეული იყო უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად და ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის ნამდვილ წევრად.

სმეა-სთან დაკავშირებული გასული წლის შეხვედრებიდან გამოვყოფთ რუსეთის საპატრიარქოს მიწვევით საქართველოს დელეგაციის ვიზიტს მოსკოვში, რომელსაც უწმინდესი და უნეტარესი ილია II მეთაურობდა და რომლის შემადგენლობაში იყვნენ აკადემიკოსები თამაზ გამყრელიძე და როინ მეტრეველი. ვიზიტი „რუსული მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ XII ტომის გამოცემას მიეძღვნა. ეს ტომი არსებითად საქართველოს ეხება და ამზეურებს ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის საკითხებს.

მეცნიერების ისტორიის დარგში დაწერილი შრომებისათვის ისტორიის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით პრემია მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს ლევან მგალობლიშვილს. პრემიით აღინიშნა მეცნიერების პროპაგანდისთვის ჟურნალისტ თამაზ ებანოიძის მოღვაწეობა პრესაში. მათვე გადაეცათ აკადემიკოს თენგიზ სანაძის შექმნილი ვერცხლის მედლები.



ჩვენ მხოლოდ ნაწილი ამოვარიდეთ დიდძალი ფაქტობრივი მასალის შემცველი, მდიდარშინაარსიანი ზემოხსენებული წიგნიდან.

იმ საანგარიშო შეკრებიდან ერთი კვირის თავზე კვლავ გაიმართა სმეა-ის საერთო კრება — ამჯერად აკადემიის ხელმძღვნელობის ასარჩევად წინა ფორუმზე მიღებული დებულების საფუძველზე. თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ოთარ ნათიშვილმა შეკრებილთ მოახსენა, რომ აკადემიის პრეზიდენტის პოსტზე აკადემიკოსთა რამდენიმე ჯგუფმა წამოაყენა ერთადერთი კანდიდატურა — აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისა.

ფარული კენჭისყრით სმეა-ის პრეზიდენტად კვლავ და ერთსულოვნად არჩეულია მსოფლიო სახელის მკვლევარი-ლინგვისტი, მრავალი უცხოური მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი თუ საპატიო წევრი (მათ შორის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, ადრე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი) თამაზ გამყრელიძე.

დახურული კენჭისყრის შედეგად ვიცე-პრეზიდენტებად არჩეული არიან გურამ თევზაძე (გაუძღვება ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროს), ფრიდონ თოდუა (სიცოცხლის შემსწავლელ და სამედიცინო მეცნიერებათა სფერო, გურამ ხარატიშვილი (მათემატიკის, ბუნების შემსწავლელ და საინჟინრო მეცნიერებათა სფერო). აკადემიის აკადემიკოს-მდივნად კი არჩეულია აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი. როგორც ვხედავთ, აკადემიის ხელმძღვანელთა ფრონტი უცვლელია.

დაბოლოს, კიდევ ერთ სასიამოვნო ფაქტად აღვნიშნავთ, რომ სმეა-ის რვა ტრადიციული სამეცნიერო განყოფილებას ემატება — ენის, ლიტერატურისა და ხელოვნებისა.

**თამაზ ებანოიძე**

### ⦿ ინფორმაცია

## საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ იანვარ-მაისში 3209,5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა

**საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვაჭრობა მიმდინარე წლის იანვარ-მაისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 3209,5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 40,5 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 611,4 მლნ. აშშ დოლარია (შესაბამისად 40,3 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი — 2598,2 მლნ. აშშ დოლარი (40,6 პროცენტით მეტი).**

იანვარ-მაისში საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 1986,8 მლნ. აშშ დოლარია.

იანვარ-მაისში საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს 92 პარტნიორ ქვეყანასთან, რომლებთანაც სავაჭრო დეფიციტი 2094,9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, ნაცვლად 95 ქვეყნისა და 1451,9 მლნ. აშშ დოლარისა, რაც დაფიქსირდა 2007 წლის იანვარ-მაისში. ხოლო დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს 18 ქვეყანასთან (108,1 მლნ. აშშ დოლარი), ნაცვლად 19 ქვეყნისა და 39,4 მლნ. აშშ დოლარისა, რაც დაფიქსირდა გასული წლის იანვარ-მაისში.

2008 წლის იანვარ-მაისში საქართველოს მილიონ აშშ დოლარზე მეტი დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს 4 ქვეყანასთან: კანადა (46,2 მლნ. აშშ დოლარი), მექსიკა (30,7 მლნ. აშშ დოლარი), სომხეთი (22,0 მლნ. აშშ დოლარი) და ესპანეთი (6,0 მლნ. აშშ დოლარი).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2008 წლის იანვარ-მაისში 1052,5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (2007 წლის იანვარ-მაისთან შედარებით 22,7 პროცენტით მეტი). დსთ-ის ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 32,8 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის 33,6 პროცენტი და იმპორტის 32,6 პროცენტი (2007 წლის იანვარ-მაისში — შესაბამისად 37,6 — 39,3 და 37,1 პროცენტი). ამ ქვეყნებზე მოდის სავაჭრო დეფიციტის 32,3 პროცენტი (2007 წლის იანვარ-მაისში — 36,5 პროცენტი).

## ქორწინების სახლების გარეთ რეგისტრაცია პოპულარული გახდა

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის შენობის გარეთ ქორწინების რეგისტრაციის მომსახურებით სულ უფრო მეტი წყვილი სარგებლობს.**

წლეულს 5 თვეში ქორწინების სახლს გარეთ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანამშრომლებმა 68 წყვილის ქორწინება დაარეგისტრირეს.

ამ მომსახურებით სარგებლობისას ოჯახის შექმნის მსურველები ხშირად ქორწინების რეგისტრაციის ორიგინალურ ფორმებს მიმართავენ, მაგალითად, წყვილებმა ხელი მოაწერეს: მდინარე მტკვარზე მდებარე ბორანზე, ვაკის პარკში, ღია ცის ქვეშ, ხეივანში და სხვა საგანგებოდ მოწყობილ ადგილებში.

ცნობისთვის: საქართველოში ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქორწინების სახლებში, სპეციალური სარიტუალო მომსახურებით, სამოქალაქო რეესტრის ნებისმიერი რაიონის ტერიტორიულ სამსახურში ან ტერიტორიული სამსახურის შენობის გარეთ.

ამ შემთხვევაში, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის თანამშრომელი თავად მიდის დასაქორწინებელი პირის მიერ არჩეულ ადგილზე და არეგისტრირებს ქორწინებას. ასეთი შესაძლებლობა, საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, 2006 წლის იანვრიდან არსებობს.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის შენობის გარეთ ქორწინების რეგისტრაციისა და შესაბამის მოწმობის გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟი 9 ლარია, ხოლო მომსახურების განაკვეთი - 170 ლარი.

## დროებითი მოთავსების იზოლატორებში ეპიდემიის გავრცელების საფრთხე არსებობს

**ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან“ იტყობინებიან.**

მათი ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინათ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ექიმებმა შს სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორები დაათვალიერეს. ექიმების თქმით, პატიმრები გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან, ყველაზე რთული ვითარება კი, რეგიონების იზოლატორებშია.

რეგიონულ იზოლატორებში არ არის საპირფარეშო, საკნებში ჩამოდის წყალი, ჩამსხვრეულია მინები ან საერთოდ არ არსებობს ფანჯრები, არ არის ნარები და პატიმრებს ბეტონის იატაკზე უწევთ დაძინება. პრობლემაა მათი კვებაც. მძიმე პირობები განსაკუთრებით აუტანელია ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული პირებისთვის, რომლებსაც 30 დღემდე უწევთ იზოლატორებში ცხოვრება. იმის გამო, რომ საკნებში ვირთხები, ბაღლინჯოები, რწყილები და სხვა პარაზიტებია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ექიმი-ეპიდემიოლოგები ინფექციური დაავადებების მასობრივად გავრცელებას ვარაუდობენ, — აღნიშნეს ორგანიზაციაში.

ეპიდემიოლოგები თინა წვერიკმაზაშვილი, ლალი ბაცანაძე და მარინა კაპანაძე ამბობენ, რომ მათ მიერ დათვალიერებულ იზოლატორებში ყველა პირობაა, რომ ადამიანი გადამდები დაავადებებით დაავადდეს. გარდა ამისა, შესაძლებელია ადამიანს სიბნელისგან მხედველობა დაერღვეს ან ფსიქიური აშლილობა განუვითარდეს.

იყო შემთხვევები, როდესაც იზოლატორში მოთავსებულ პატიმართაგან ერთი ვირთხამ დაკბინა, ერთი ტუბერკულოზით დაავადდა, ხოლო ერთს ფსიქიური აშლილობა განუვითარდა“,- აღნიშნეს ორგანიზაციაში.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

**დღე-სასწაული**

# ჩვენ თქვენი ეშხიც დაგვიფარავს...

**ახლახან ხელოვნების მუშაკთა სახლში ქართული პოეზიის ნამდვილი დღესასწაული იყო. პოეზია და ქართული რომანსი, თურმე, არ გარდაცვლილა. იმ საღამოს თავს დაგვტრიალებდნენ ბარათაშვილის, გალაკტიონის, გრიშაშვილისა და ანას სულები.**

„სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა" — გალაკტიონის ეს სტრიქონი ქრისტეს გზაზე მოარული პოეტის შეგონებაა.

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება" — მიმართავს იმედის მერანს ბარათაშვილი.

„საქართველოო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არის..." სითბო და სინაზე შემობრძანდა ანასთან ერთად.

ამ ზეიმის მთავარი გმირი გახლდათ მშვენიერი ქალბატონი **დამანა მღივნიშვილი.** იდგა იგი სცენაზე და ქართულ სიტყვას ეფერებოდა. თვალწინ ის თბილისი ცოცხლდებოდა, როცა ყოველ ქართულ ოჯახში ისმოდა ლექსი და რომანსი.

ქალბატონმა დამანამ იმ საღამოს ის საქართველო გვაჩუქა, რომელიც, თურმე, ძალიან მოგვენატრებია. დარბაზში მსხდომნი ჩურჩულით იმეორებდნენ სცენიდან გადმოღვრილ სტრიქონებს.

ქალბატონმა ლეილა აბაშიძემ თავის მეგობარს ასე მიმართა: „შენ სილამაზის ტრფიალი ხარ, რადგანაც თავად ხარ სილამაზე". ამ სიტყვების დასტურია ულამაზეს ქართველ ქალთა ფოტო-ალბომი (ტრილოგიაძ, რომელიც დიდი რუდუნებით შექმნა ქალბატონმა დამანამ.

„მხოლოდ გარეგნული სილამაზე როდი ამშვენებს ქართველ ქალებს, ისინი დღესაც ბურჯად უდგანან სამშობლოს და მათი სულიერი თუ ფიზიკური მშვენიერება მთელ ერს იხსნის გადაგვარებისაგან" — ვკითხულობთ ტრილოგიაში. სწორედ, ეს ულამაზესი ბანოვანნი ამშვენებდნენ იმ საღამოს, რომელმაც კიდევ ერთხელ გაგვახსენა, რომ ქართულ სიტყვას და მასთან ერთად ქართველ ერს გადაშენება არ უწერია.

**ნანა ჯიბლაძე**

**დაზუსტება**

**„საქართველოს რესპუბლიკის" 24 ივნისის ნომრის წერილი „რატომ გახდა სადავო უსინათლოთა ქონება?" მე-7 გვერდზე დაბეჭდილ მე-4 სვეტის ბოლო აბზაცში გაიპარა შეცდომა: „გავყიდეთ ქუთაისში არსებულ შპს-ში 500 ჰექტარი მიწის ფართობი, რადგან სულ 3 500 ჰექტარი იყო". უნდა იყოს „გავყიდეთ ქუთაისში არსებულ შპს-ში 0,5 ჰექტარი მიწის ფართობი, რადგან სულ 3,5 ჰექტარი იყო".**

**აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF), საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ), საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ)**

**2008 წლის 25 ივნისს აცხადებენ ბიზნეს პარტნიორობის საგრანტო საკონკურსო პროგრამას**

პროგრამის მიზანია სამეწარმეო იურიდიულ პირებსა და მეცნიერთა ჯგუფებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ხელშეწყობა, ქვეყნის საინოვაციო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა და მეცნიერთა მჭიდრო კავშირის დამყარება წარმოებასთან.

პროგრამის ხანგრძლივობაა 12 თვე, ხოლო თითოეული გრანტის ოდენობა – არა უმეტეს 40,000 ლარისა. სამეწარმეო იურიდიული პირის მონაწილეობის სავალდებულო წილი ინდივიდუალურ პროექტში შეადგენს გრანტის თანხის მინიმუმ 10%-ს. ეს თანხა მთლიანად გამოყენებული უნდა იქნეს მეცნიერთა (გრანტის მიმღებთა) ჯგუფის ხარჯებისთვის.

კონკურსთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია განთავსებულია სესფ-ის და სსგფ-ს ვებ-გვერდებზე: www.gnsf.ge და www.grdf.ge

**პროექტების სსგფ-ში წარდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 15 აგვისტო**

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ:

საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ)

**მისამართი: ქ. თბილისი, 0168, მინდელის ქ. №7, მე-3 სართული.**
**ტელეფონი: 21 03 61; 32 01 58 ფაქსი: 21 02 28**
**ელ.ფოსტა: step@grdf.ge ან george@grdf.ge**
**საკონტაქტო პირი: ნინო კუნცევა-გაბაშვილი.**

**ინფორმაცია**

## ეთნოგრაფიულ მუზეუმში თუშეთის დღე მოეწყობა

**28 ივნისს 16 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში „თუშეთის დღე" მოეწყობა. ღონისძიებაზე დაგეგმილია მუზეუმში დაცული XIX-XX საუკუნის ფარდაგების გამოფენა, XX საუკუნის დასაწყისის თუშეთის პეიზაჟებისა და ყოფის ამსახველი ფოტოების გამოფენა.**

ადგილზე მოიხარშება ლუდი თუშური წესით და მოხდება თუშური ხინკლის მომზადება-დაგემოვნება. წარმოდგენილი იქნება თუშური ტრადიციული ნივთების გამოფენა-გაყიდვა. დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცემა ჩაებას ლუდის სმის შეჯიბრში და ტრადიციული თუშური წესით ისრის სროლის შეჯიბრებაში.

სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის თბილისში ჩამოდიან სტუმრები თუშეთიდან, რომლებიც ჩაატარებენ ფარდაგების ქსოვის ვორკშოპს და შეასრულებენ ტრადიციულ თუშურ სიმღერებს.

ბავშვებისათვის გაიმართება სპეციალური ვორკშოპები თუშური ნივთების დამზადებასა და ხატვაში. იქნება საბავშვო შეჯიბრი სირბილსა და ისრის სროლაში.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება თუშური ფოლკლორი – სიმღერა, ცეკვა და ლექსის თქმა. ღონისძიების დასასრულს ეთნოგრაფიული მუზეუმის ამფითეატრში გაიმართება ეროვნული მუზეუმის არქივში დაცული 40-წუთიანი ფილმის ჩვენება, რომელიც გადაღებულია 1960-70 წლებში და ასახავს თუშურ ყოფასა და ტრადიციებს.

**ჯი-ეიჩ-ეჩი**

**ცხრა მთას იქით**

# ვატიკანმა კოსოვო არ სცნო

**წმინდა ტახტი დასავლელ პოლიტიკოსებს გადაელობა**

**ჩვენს გაზეთში ერთხელ უკვე დაიწერა, რომ კოსოვოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და არაერთმა ევროპულმა ქვეყანამ ზურგში დანა ჩასცა საქართველოს (რომლის მეგობრადაც ზოგიერთ მათგანს მოაქვს თავიძ: ამით ხომ კიდევ მეტი სალაპარაკო მიეცათ რუსეთს, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს (გახსოვთ, გლეხს რომ ვენახი ესეტყვებოდა და ელვას საყვედუროზდა — გაუნათე, ბიჭო, გაუნათე, ისე ხომ ვერ ხედავსო...ძ.**



იმ სახელმწიფოთა მწყობრში, ფეხშეწყობილად რომ გამოცვივდნენ კოსოვოს სუვერენიტეტის საცნობად, მოულოდნელად გაჩნდა ბზარი, თანაც როგორი! გამორჩეული პოზიცია დაიკავა ვატიკანმა, რომელმაც ოფიციალურად განაცხადა, რომ „წმინდა ტახტი არ აღიარებს კოსოვოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და უახლოეს დროში არც გეგმავს ამის გაკეთებას".

ასეთი რადიკალური ნაბიჯის ახსნა კი სულაც სენსაციად გამოიყურება: ვატიკანში კარგად ესმით ის შეშფოთება, რაც რუსეთმა და რუსულმა მართლმორწმუნე ეკლესიამ გამოხატეს კოსოვოს პრობლემის გამო. ამრიგად, რომის კათოლიკურმა ეკლესიამ მშობლიურივით აღიქვა და გულთან ახლოს მიიტანა მართლმადიდებელ ქრისტიანთა მჭმუნვარება.

მაინც, რატომ მოხდა ეს? ჯერ ერთი, ახლო მომავალში მოელიან პაპის ბენედიქტ XVI-ის შეხვედრას პატრიარქ ალექსი II-სთან და კოსოვოს საკითხში ერთმორწმუნეთა ურთიერთმხარდაჭერას კარგი ფონის შექმნა შეუძლია იერარქთა შეყრისათვის. მეორეც, წმინდა ტახტი აშკარად არაა აღფრთოვანებული იმით, რომ ქრისტიანულ სიწმინდეთა მხარის ადგილზე, როგორიც ყოველთვის იყო კოსოვო, ახალი მუსულმანური სახელმწიფო წარმოიქმნა.

ნებისმიერ შემთხვევაში ვატიკანის დემარში გამომაფხიზლებელი სიგნალია აშშ-სა და სხვა დასავლელი ქვეყნებისათვის, რომლებსაც, გეოპოლიტიკაში შეტოპილებს, ნაღდად გამოეპარათ ევროპული ცივილიზაციისათვის რაღაც შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანი.

**რუსეთული პრესის მიხედვით**



**დედა ქეთევან გარსიაშვილი, ძმა ლევან კლიმიაშვილი, რძალი თეა ქუთათელაძე, ძმისწულები ირინა, დათი კლიმიაშვილები, ბიძა კოტე ჩოლოყაშვილი, ბიძაშვილები ბიძინა, რუსუდან ჩოლოყაშვილები, მერაბ კლიმიაშვილი, გიგა, ირაკლი კიკნაძეები, დეიდები ნანა გარსიაშვილი, ელენე ბაქრაძე-დადიანი, ირა ქუთათელაძე, დეიდაშვილები გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი, სანდრო დავითაშვილი, მანანა, მიკა ჯულელები, გიგა დადიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**თამრიკო კლიმიაშვილი**

**პანაშვიდი 24, 25 VI, 16 სთ. ი. ჭავჭავაძის გამზ.№11 VII სად. გამოსვენება 26 VI, 15 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან (ცენტრალურ შესასვლელთანძ.**



**ნანა ფანცხავა, დენიტა ბიბილეიშვილი, თინა კვინტრაძე, მანანა ჭურაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი**

**თამრიკო კლიმიაშვილი**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

**გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის დირექცია და თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ცენტრის მთავარ მეცნიერს კიტი მაჩაბელსა და უფროს მეცნიერს ნინო ჭიჭინაძეს მეუღლისა და მამის**

**უშანგი ჭიჭინაძის**

**გარდაცვალების გამო.**

## განცხადება

**2008 წლის 15 ივლისს 16 საათზე შედგება სს „ამწეს" აქციონერთა კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. **სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;**
2. **დირექტორის არჩევა;**
3. **გასული წლის შედეგები.**

**მისამართი: გარდაბნის რ-ნი სოფელი გამარჯვება – 2.**

**ვეტერანთა და ინვალიდთა კავშირი „თანადგომა – 2006" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე დიდი დიღომი IV მიკრორაიონი, მე-16 კორპუსი, ბინა 3, ტელ: 855 56 08 11.**

**რეკლამა**
*„საქართველოს რესპუბლიკაში"*
**98-65-87;**
**899 32-85-76.**
*კოსტავას 12*

## ინფორმაცია



### აფეთქება შარდენის ქუჩაზე

**შარდენის ქუჩაზე მდებარე „მეიდან-პალასთან“ გუშინ დილით „სალფორდ ჯორჯიას“ დირექტორის ირაკლი რუხაძის კუთვნილი „მერსედესი“ აფეთქდა.**

როგორც კორესპონდენტი შემთხვევის ადგილიდან იტყობინებიან, აფეთქების დროს მანქანის მეპატრონე „მეიდან პალასში“ იმყოფებოდა, სადაც კომპანიის ოფისია განთავსებული.

წინასწარი ინფორმაციით, აფეთქება მანქანის საბარგულში მოხდა. აფეთქების შედეგად მსუბუქად დაზიანდა გვერდით მდებარე რამდენიმე ავტომანქანა. მომხდარის მიზეზებზე ჯერ კონკრეტული კომენტარები არ კეთდება.

რაც შეეხება „სალფორდ ჯორჯიას“, იგი ფონდებისა და ინვესტიციების მმართველი კომპანიაა. სათაო ოფისი კი ლონდონში მდებარეობს.

### კომპანია „გრანდ-თრეიდი“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უჩივის

**როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან“ იტყობინებიან, კომპანია სამინისტროსგან, დაახლოებით, 28 000 ლარის თანხას ითხოვს.**

გორის სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ირინა ბულისკერიას განცხადებით, შპს „გრანდ-თრეიდსა“ და თავდაცვის სამინისტროს შორის დავის საგანი შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულება გახდა.

შპს „გრანდ-თრეიდს“ თავდაცვის სამინისტროსთვის 35 822 ლარის სამეურნეო საქონელი უნდა მიეწოდებინა. ხელშეკრულების თანახმად, 27 709 ლარის საქონელი კომპანიამ უკვე მიაწოდა და ახლა სწორედ ამ საქონელის ღირებულების მიღებას ითხოვს.

„უფრო დეტალურ ინფორმაციას დავის შესახებ გორის სასამართლო ასაიდუმლოებს“,- აღნიშნეს არასამთავრობო ორგანიზაციაში.

### მეწყერის შედეგად დაღუპულები საკუთარ სოფლებში გადაასვენეს

**ახმეტის რაიონში მეწყერის შედეგად დაღუპულები საკუთარ სოფლებში გადაასვენეს. სტიქიას პანკისის ხეობის სოფელ ძიბახევში მცხოვრები მამა-შვილი ომარ და არბი ასიშვილები და ასევე სოფელ ძირკიანის მკვიდრი, ალეკო ცედიშვილი ემსხვერპლნენ.**

ისინი პანკისის ხეობაში ჩამოწოლილმა მეწყერმა ჩაიყოლა. ცხედრები რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ იპოვეს. დაღუპულთა შორის 14 წლის მოზარდიცაა. დაკრძალვის ხარჯებს რაიონის გამგეობა გაიღებს.

— ჩვენ, როგორც კი ეს ფაქტი შევიტყვეთ, დაზარალებულ ოჯახებში მივედით. ჩვენზე რაც იქნება დამოკიდებული, მაქსიმალურად დავეხმარებით ფინანსურად როგორც ადგილობრივი გამგეობა, ისე რეგიონის გუბერნია, — განაცხადა კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ გიორგი ბოტკოველმა.



ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენ-ს მიხედვით

## განცხადება



ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით, საავტომობილო გზებზე მკვეთრად იზრდება ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობა. ამასთან, გზების საფარის გაუმჯობესების პირობებში, იმატა სიჩქარის გადაჭარბებით მოძრაობის ფაქტებმაც, რაც ზრდის ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რისკს.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი მძღოლებს შეახსენებს, რომ საქართველოს საავტომობილო გზებზე, საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ თანახმად, მსუბუქი ავტომობილებისათვის დასაშვებია მაქსიმალური სიჩქარე 110 კმ/სთ-ში, ხოლო სამგზავრო და სატვირთო ავტოტრანსპორტისათვის 90 კმ/სთ-ში.

გთხოვთ, დაიცვათ აღნიშნული მოთხოვნები!
ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო,
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ.
ფაქსი: 98-65-87.

## ქირავდება ან იყიდება

კომერციული ფართი — 100 კვ. მ. ნავთლუღის ბაზრის პირდაპირ. ამჟამად ფუნქციონირებს სრულყოფილი აფთიაქი. დაგვირეკეთ: 70.70.95 (დღისით, 20 სთ-მდეძ, 91-24-91 (საღამოსძ, — 899-37.00.35; იკითხეთ მანანა.

## იყიდება ბინა!

5-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა, ბელეტაჟზე, დიდი აივნით (საერთო ფართობი 200 კვ.მ.ძ. ვაკე. ატენის ქ.№3. ტ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92. ფასი შეთანხმებით.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— ბიჭებო, ქალაქში მიდიხართ?
— ჰო.
— ფოსტას ხომ არ წაიღებდით?
— ფოსტა უკვე წავიღეთ. დაგვრჩა ბანკები და ტელეგრაფი.

* * *



— მამი, ადექი, სამსახურში გაგვიანდება, — აღვიძებს შვილი ავტოინსპექტორ მამას.
— რომელი საათია?
— შვიდი.
— ჯერ ადრეა.
— როგორ თუ ადრეა, მძღოლები უკვე ერთი საათია უფასოდ დაქრიან.

* * *

ახალი რუსი სამშობიაროში მივიდა და იკითხა:
— აბა, როგორ არის საქმე?
— გილოცავთ, ბიჭი შეგეძინათ!
— კარგია, რამდენია?
— სამნახევარი.
— ნოუ პრობლემ! ეს ათასი, ეს ორი, სამი ათასი და კიდევ 500 დოლარი.

* * *

— ქალბატონო, ისე გაგიხარდათ განქორწინება, რომ ნაღდად კარგი წილი გერგოთ, არა?
— კი, ჩემმა მეხუთე ქმარმა მრავალმილიონიანი ბიზნესი დამიტოვა!
— რას ამბობთ!
— ეს რა არის, ჩემმა მეოთხე ქმარმა მდიდრული ვილა დამიტოვა!
— ჰო? მესამემ?
— ბინა ლონდონში.
— მეორემ?
— მშვენიერი მანქანა.
— პირველმა?
— ორი შვილი და სასაცილო გვარი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.